

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)

საქართველოს კანონი

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2002 წლის 25 ივნისის კანონი 1596 – სსმ I, 13.07.2002 წ., 22, მუხ.103 (/ka/document/view/13954#)

საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი 2988 – სსმ I, 05.09.2003 წ., 26, მუხ.194 (/ka/document/view/12946#)

საქართველოს 2004 წლის 25 ივნისის კანონი 248 - სსმ I, 18, 09.07.2004 წ., მუხ.66 (/ka/document/view/688#)

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი 4285 - სსმ I, 51, 31.12.2006 წ., მუხ.444 (/ka/document/view/1162#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008 წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010 წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 2. აღსრულების ქვემდებარე აქტები

ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება:

ა) სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა;

ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი ფიზიკური პირისათვის ან/და იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების ან/და ქონების ჩამორთმევის შესახებ;

გ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება;

დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინებისა და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების ნაწილში;

ე) სასამართლოს ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალის (გადასახადის გამძხვებლის) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ;

ზ) საქართველოს საერთო სასამართლოს თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის დაჯარიმების ან დაპატიმრების შესახებ;

თ) მოსამართლის ბრძანება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII^ბ თავით გათვალისწინებულ საკითხებზე;

ი) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, საქართველოსთვის სავალდებულოა;

კ) უცხო ქვეყნის სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;

ლ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება;

მ) უცხო ქვეყნის არბიტრაჟის ან საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით;

ნ) სანოტარო აქტი;

ო) გირავნობის მოწმობა;

პ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ჟ) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;

რ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სახელმწიფო ქონებისათვის ან/და თვითმმართველი ერთეულის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ;

ს) რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის და მისი კომიტეტის გადაწყვეტილებები;

ტ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

უ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ (შემდგომ – დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება) და აღსრულების შესახებ ბრძანება;

ფ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹³ თავით გათვალისწინებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება;

ქ) ლიზინგის მოწმობა;

ღ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება პროდუქტის სავაჭრო ქსელიდან (ბაზრიდან) ამოღების შესახებ.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2002 წლის 7 მაისის კანონი 1397 – სსმ I, 28.05.2002 წ., 13, მუხ.54 (/ka/document/view/16378#)

საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი 2988 – სსმ I, 05.09.2003 წ., 26, მუხ.194 (/ka/document/view/12946#)

საქართველოს 2004 წლის 25 ივნისის კანონი	248 - სსმ I,	18, 09.07.2004 წ., მუხ.66 (/ka/document/view/688#)
საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბრის კანონი	784 - სსმ I,	5, 18.01.2005 წ., მუხ.23 (/ka/document/view/32890#)
საქართველოს 2005 წლის 30 ივნისის კანონი	1828 - სსმ I,	41, 19.07.2005წ., მუხ.285 (/ka/document/view/27040#)
საქართველოს 2005 წლის 22 დეკემბრის კანონი	2407 - სსმ I,	1, 04.01.2006წ., მუხ.6 (/ka/document/view/27922#)
საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი	3384 - სსმ I,	24, 29.06.2006წ., მუხ.192 (/ka/document/view/23914#)
საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი	3534 - სსმ I,	37,27.08. 2006წ., მუხ.275 (/ka/document/view/24532#)
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი	4210 - სსმ I,	12.01.2007წ., 4, მუხ.52 (/ka/document/view/22450#)
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი	4285 - სსმ I,	51, 31.12.2006წ., მუხ.444 (/ka/document/view/1162#)
საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი	822 - სსმ I,	41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)
საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი	1282 - სსმ I,	13, 02.07.2009წ., მუხ.65 (/ka/document/view/89296#)
საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი	1542 - სსმ I,	21, 03.08.2009წ., მუხ.125 (/ka/document/view/89692#)
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი	1687 - სსმ I,	29, 12.10.2009წ., მუხ.170 (/ka/document/view/89932#)
საქართველოს 2009 წლის 1 დეკემბრის კანონი	2183 - სსმ I,	38, 01.12.2009წ., მუხ.283 (/ka/document/view/90700#)
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი	2459 - სსმ I,	49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
საქართველოს 2009 წლის 23 დეკემბრის კანონი	3884 - სსმ I,	72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი	4073 - სსმ I,	76, 29.12.2010 წ., მუხ.503 (/ka/document/view/1160274#)
საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი	5355 - ვებგვერდი,	08.12.2011წ. (/ka/document/view/1524870#)
საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი	5665 - ვებგვერდი,	11.01.2012წ. (/ka/document/view/1558546#)
საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კანონი	5641 - ვებგვერდი,	12.01.2012წ. (/ka/document/view/1558789#)
საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი	6145 - ვებგვერდი,	17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)
საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი	6433 - ვებგვერდი,	25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი	4 66 - ვებგვერდი,	05.04.2013წ. (/ka/document/view/1885869#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2013 წლის 4 ოქტომბრის კანონი	1467 - ვებგვერდი,	16.10.2013წ. (/ka/document/view/2044997#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2013 წლის 20 ნოემბრის კანონი	1589 - ვებგვერდი,	03.12.2013წ. (/ka/document/view/2091228#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი	2049 - ვებგვერდი,	17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2015 წლის 19 თებერვლის კანონი	3095 - ვებგვერდი,	27.02.2015წ. (/ka/document/view/2741932#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი	4632 - ვებგვერდი,	23.12.2015წ. (/ka/document/view/3097720#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი	4628 - ვებგვერდი,	29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი	1198 - ვებგვერდი,	14.07.2017წ. (/ka/document/view/3737676#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2018 წლის 29 ივნისის კანონი	2758 - ვებგვერდი,	19.07.2018წ. (/ka/document/view/4253347#DOCUMENT:1;)

მუხლი 2¹. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განხორციელების შეზღუდვა

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით (/ka/document/view/112588#part_7) გათვალისწინებული ქონება არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებას და სეკვისტრს.

2. ამ კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები არ ვრცელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/1673253#) გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოზე (ფინანსური გირაოს საგანზე).

3. ამ კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, გარდა საინკასო დავალებისა, არ ვრცელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/1673253#) გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის, ბანკის, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის, საბროკერო კომპანიის, ნოტარიუსის ან საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვადერის, როგორც გადამხდელის, მიმართ იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენებისას დაუშვებელია ამ ღონისძიებათა მიმართვა იმ აქტივებზე, რომლებიც განთავსებულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ან/და რომლებიც არ არის მისი საკუთრება და მიეკუთვნება მისი კლიენტის აქტივებს (კერძოდ, ნომინალურ მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე, აგრეთვე ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე დეპონირებულ ფულსა და ფასიან ქაღალდებზე, საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვადერის ანგარიშზე განთავსებულ მომხმარებლის ფულად სახსრებზე). კლიენტის ასეთი აქტივები უნდა ირიცხებოდეს საკუთარი აქტივებისაგან განცალკევებულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ამ კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები არ ვრცელდება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/4280127#DOCUMENT:1;) გათვალისწინებულ საპენსიო აქტივებზე.

საქართველოს 2002 წლის 14 თებერვლის კანონი 1284 - სსმ I, 05.03.2002 წ., 4, მუხ.19 (/ka/document/view/15934#)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება 1/14/184,228 - სსმ IV, 19, 29.07.2005 წ., გვ.5 (/ka/document/view/1093472#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი 1945 - სსმ I, 35, 19.11.2009წ., მუხ.250 (/ka/document/view/90406#)

საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი 3520 - სსმ I, 48, 09.08.2010წ., მუხ.321 (/ka/document/view/93184#)

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი 6310 - ვებგვერდი, 12.06.2012წ. (/ka/document/view/1672612#)

საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი 3307 - ვებგვერდი, 06.08.2018წ. (/ka/document/view/4276852#DOCUMENT:1;)

თავი II

აღსრულების ორგანოები

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 3. სააღსრულებო დაწესებულებები

1. ამ კანონის მე-2 მუხლით (/ka/document/view/18442#part_5) გათვალისწინებული აღსრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში - აღსრულების ეროვნული ბიურო).

1¹. აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საგადასახადო ორგანოს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში ამავე ხელშეკრულების

საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საგადასახადო დავალიანების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების განსახორციელებლად გადასახადის გადამხდელისაგან ქონების ნუსხის გამოთხოვას, პირის ქონების აღწერას, შეფასებას, ქონებაზე ყადაღის დადების აქტის შედგენას, დალუქვას, მარეგისტრირებელ ორგანოში გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის უზრუნველყოფას, საქართველოს საგადასახადო კოდექსით (/ka/document/view/1043717#) განსაზღვრულ შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენას, საგადასახადო ორგანოს სახელით სასამართლოსადმი მიმართვას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პირის ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში ამ ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით და ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნით სხვა აუცილებელ მოქმედებებს ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

1². აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, სააღსრულებო წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მოვალის საკუთრებაში არსებული შენობისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის განსაზღვრის თაობაზე, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართულობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების მიზნით.

1³. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია პირის მიმართვის საფუძველზე განხორციელოს შეფასების მომსახურება. ასეთი მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

1⁴. აღსრულების ეროვნული ბიურო გადახდისუნარიობის საქმის წარმოებისას შეასრულებს მეურვის ან/და გაკატრების მმართველის ფუნქციას, ასევე განხორციელებს სააუქციონო მომსახურებას „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/23572#) დადგენილი წესით. აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

1⁵. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს მესამე პირთა მომსახურებით და განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების შესრულებას.

1⁶. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობა (/ka/document/view/79654#), რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

1⁷. აღსრულების ეროვნული ბიურო „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/112594#) გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფს მისთვის დროებით შესანახად გადაცემული ქონების შენახვას.

2. (ამოღებულია).

3. ამ კანონის მე-2 მუხლით (/ka/document/view/18442#part_5) გათვალისწინებული აღსრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აგრეთვე ახორციელებს ამ კანონის III² თავით (/ka/document/view/18442#part_27) გათვალისწინებული კერძო აღმასრულებელი.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2002 წლის 25 ივნისის კანონი 1596 – სსმ I, 13.07.2002 წ., 22, მუხ.103 (/ka/document/view/13954#)

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი 4230 – სსმ I, 50, 30.12.2006წ., მუხ.381 (/ka/document/view/22696#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 – სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 – სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი 1914 – სსმ I, 35, 19.11.2009წ., მუხ.224 (/ka/document/view/90226#)

საქართველოს 2009 წლის 1 დეკემბრის კანონი 2183 – სსმ I, 38, 01.12.2009წ., მუხ.283 (/ka/document/view/90700#)

საქართველოს 2010 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 – სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 17 სექტემბრის კანონი 3598 – სსმ I, 54, 12.10.2010 წ., მუხ.350 (/ka/document/view/1043815#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 – სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2010 წლის 10 დეკემბრის კანონი 3970 – სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.434 (/ka/document/view/1147627#)

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი 4207 – ვებგვერდი, 10.03.2011წ. (/ka/document/view/1232802#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 – ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 – ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

საქართველოს 2018 წლის 20 ივლისის კანონი 3159 – ვებგვერდი, 06.08.2018წ. (/ka/document/view/4269939#DOCUMENT:1;)

მუხლი 4. აღსრულების ეროვნული ბიურო

1. აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართულობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულებას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (/ka/document/view/79654#).

4. (ამოღებულია).

5. აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

6. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეებს და აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. აღსრულების ეროვნული ბიუროს სხვა მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

6¹. აღსრულების ეროვნული ბიუროს საჯარო მოსამსახურეებს (გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირებისა) შრომითი ხელშეკრულებით სამსახურში იღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

7. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებულ პირზე მოახდინოს თავისი უფლებამოსილების დელეგირება. აღნიშნულ პირს ეკრძალება მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა, თუ ამის თაობაზე სპეციალურად არ არის აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებაში.

8. აღსრულების ეროვნული ბიუროს ხარჯთაღრიცხვას, სამტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

9. აღსრულების ეროვნული ბიუროს ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან.

10. აღსრულების ეროვნულ ბიუროს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში. ამასთანავე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჰქონდეს ანგარიში კომერციულ ბანკშიც.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)
 საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
 საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი 2939 - ვებგვერდი, 24.12.2014წ. (/ka/document/view/2631338#DOCUMENT:1;)
 საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი 4367 - ვებგვერდი, 11.11. 2015 წ. (/ka/document/view/3008498#DOCUMENT:1;)
 საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი 145 - ვებგვერდი, 28.12.2016წ. (/ka/document/view/3503949#DOCUMENT:1;)

მუხლი 5. სააღსრულებო ბიურო

1. აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

2. ამ კანონის მე-2 მუხლით (/ka/document/view/18442#part_5) გათვალისწინებულ აღსრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ აღსრულებენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე – აგრეთვე აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაკმეხული პირები და აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორები (შემდგომ – აღმასრულებელი).

3. სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

3¹. აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასურის ოდენობა, (/ka/document/view/83668#) აღსრულების ეროვნულ ბიუროში კონკურსის ჩატარებისა (/ka/document/view/1499057#) და სტაჟიორების გავლის წესი (/ka/document/view/1499031#) განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

4. სააღსრულებო ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით.

5. სააღსრულებო ბიუროს დებულებასა და სამტატო ნუსხას ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

6. სააღსრულებო ბიუროს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

7. (ამოღებულია).

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
 საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)
 საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი 4367 - ვებგვერდი, 11.11. 2015 წ. (/ka/document/view/3008498#DOCUMENT:1;)
 საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი 145 - ვებგვერდი, 28.12.2016წ. (/ka/document/view/3503949#DOCUMENT:1;)

თავი III

(ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 6. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი 941 – სსმ I, 03.07.2001 წ., 20, მუხ.68 (/ka/document/view/15412#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 824 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.302 (/ka/document/view/20584#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 7. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 8. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 9. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 10. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)
 საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2002 წლის 25 ივნისის კანონი 1596 – სსმ I, 13.07.2002 წ., 22, მუხ.103 (/ka/document/view/13954#)
 საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი 885 - სსმ I, 6, 19.01.2005 წ., მუხ.40 (/ka/document/view/28840#)
 საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი 4230 - სსმ I, 50, 30.12.2006წ., მუხ.381 (/ka/document/view/22696#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 11. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)
 საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი 941 – სსმ I, 03.07.2001 წ., 20, მუხ.68 (/ka/document/view/15412#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 12. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 13. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 14. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი III¹**აღსრულების პოლიცია**

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 14¹. აღსრულების პოლიციის სამმართველო

1. აღსრულების პოლიციის სამმართველო (შემდგომში – სამმართველო) არის აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეული.

2. სამმართველოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

3. სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებითა და აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულებით.

4. აღსრულების პოლიციელის უფლება-მოვალეობანი, სამმართველოს ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

5. სამმართველოში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია: ეს კანონი, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ (/ka/document/view/17758#) და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონები (/ka/document/view/28312#), აგრეთვე აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 14². აღსრულების პოლიციელი

1. აღსრულების პოლიციელი არის მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (/ka/document/view/3031098#DOCUMENT:1;) შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

2. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას აღსრულების პოლიციელი არის ხელისუფლების წარმომადგენელი და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში აღსრულების პოლიციელის უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (/ka/document/view/28216#).

3. აღსრულების პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

4. (ამოღებულია).

5. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელი ატარებს სამსახურებრივ ფორმას, რომლითაც მას უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიურო. სამსახურებრივი ფორმის ატარებულობას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (/ka/document/view/79666#). აღსრულების პოლიციელს ეძლევა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ნიშნის პირადობის მოწმობა (/ka/document/view/79666#).

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი 4367 - ვებგვერდი, 11.11.2015 წ. (/ka/document/view/3008498#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი 145 - ვებგვერდი, 28.12.2016წ. (/ka/document/view/3503949#DOCUMENT:1;)

მუხლი 14³. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 14⁴. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები, პირადი, აღსრულების ეროვნული ბიუროს პერსონალის და სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუ იგი ძალის გამოყენების გარეშე ვერ უზრუნველყოფს კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

1¹. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები.

2. აღსრულების პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უფლება აქვს, გამოიყენოს შემდეგი სპეციალური საშუალებები:

ა) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – იმ პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება;

ბ) რეზინის ხელკეტი და ელექტროშოკური მოწყობილობა – იმ პირის მიმართ, რომელიც თავს ესხმის.

3. აღსრულების პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უფლება აქვს, უკიდურესი საშუალების სახით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი:

ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთა, აგრეთვე სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა და თავის დასაცავად ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, აგრეთვე საშიში ცხოველის თავდასხმისას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

გ) განგაშის ნიშნის მისაცემად.

4. აკრძალულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის და ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ახდენენ შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას ან შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწყვეტ აღსრულების პოლიციელს, რაც საფრთხეს უქმნის სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვა ხერხითა და საშუალებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

5. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში აღსრულების პოლიციელი ვალდებულია, ყველა ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

6. აღსრულების პოლიციელი ვალდებულია, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 14⁵. აღსრულების პოლიციელის სოციალური დაცვა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს აღსრულების პოლიციელის სოციალურ დაცვას.

2. აღსრულების პოლიციელისათვის დადგენილია არანორმირებული სამუშაო დღე.

3. აღსრულების პოლიციელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას.

4. (ამოღებულია).

5. ზიანი, რომელიც აღსრულების პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიადგა, სრულად აუნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აღსრულების პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 ათასი ლარის ოდენობით. აღსრულების პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

7. აღსრულების პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრების ან/და დაინვალიდების შემთხვევაში სხულის დაზიანების სიმძიმის შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 5 ათასი ლარისა.

8. (ამოღებულია).

9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში აღსრულების პოლიციელისათვის შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გაუთვალისწინებელი სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი III²

კერძო აღმასრულებელი

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

მუხლი 14⁶. კერძო აღმასრულებელი

1. კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. სავალდებულოა კერძო აღმასრულებელს ჰქონდეს სამუშაო ადგილი (ოფისი, ბიურო) და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში

ბანკში. მას უფლება აქვს, სამუშაოზე აიყვანოს და სამუშაოდან გაათავისუფლოს მუშაკი საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განკარგოს სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებისათვის მიღებული საზღაური.

3. ორ ან ორზე მეტ კერძო აღმასრულებელს შეიძლება ჰქონდეს საერთო სამუშაო ადგილი (ოფისი, ბიურო). კერძო აღმასრულებელთა უფლება-მოვალეობანი საერთო სამუშაო ადგილის მიმართ განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში თითოეული კერძო აღმასრულებელი სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის.

3¹. კერძო აღმასრულებელს უფლება აქვს, სააღსრულებო საქმიანობის ორგანიზების მიზნით გაერთიანდეს სხვა კერძო აღმასრულებელთან, ადვოკატთან ან/და აუდიტორთან, ამხანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/28408#) განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით, გარდა სააქციო საზოგადოებისა, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/90928#) დადგენილი წესით. ასეთ გაერთიანებაში უნდა მონაწილეობდეს ერთი ნოტარიუსი მაინც.

4. ამ თავის მიზნებისათვის სააღსრულებო საქმიანობად აგრეთვე მიიჩნევა დანტერესებული პირებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით.

5. კერძო აღმასრულებელთა რეგისტრს აწარმოებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

6. კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის მიმართ, ამ თავის თავისებურებათა გათვალისწინებით, გამოიყენება ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის „ბ“, „დ“ და „ვ“-„კ“ ქვეპუნქტებისა, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებასთან (თუ გამარტივებული წარმოებისას აპლიკანტმა მოითხოვა დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულება) და აღსრულების შესახებ ბრძანებასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოებისა, მე-3 მუხლის პირველი-1⁴ პუნქტებისა, მე-4 და მე-5 მუხლებისა, III¹ თავისა, 15² მუხლისა, მე-17 მუხლის მე-11 პუნქტისა, 18¹ მუხლის მე-2 პუნქტისა, 21-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, 25-ე მუხლის მე-4, 4¹ და მე-13 პუნქტებისა, 28¹ მუხლისა, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა, 38-ე და 39-ე მუხლებისა, 47-ე მუხლის მე-4 პუნქტისა, 49-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 50-ე და 62-ე მუხლებისა, 69-ე მუხლის პირველი-1² პუნქტებისა, 75-ე, 76-ე, 77¹ და 77² მუხლებისა, 82³ მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა, 90¹, 90³, 90⁴ და 90⁵-91-ე მუხლებისა, XVI¹-XVI³ თავებისა, 113-ე მუხლის პირველი-მე-6 და მე-9-მე-11 პუნქტებისა, მე-12 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებისა და მე-13-მე-16 პუნქტებისა და 113² მუხლისა.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1323 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.58 (/ka/document/view/89338#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2012 წლის 16 მარტის კანონი 5851 - ვებგვერდი, 23.03.2012წ. (/ka/document/view/1618518#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 - ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 - ვებგვერდი, 06.06.2012წ. (/ka/document/view/1668412#)

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 - ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 14⁷. კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია

1. კერძო აღმასრულებელი ახორციელებს ამ კანონის მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ და „ლ“-„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტების (გადაწყვეტილებების) აღსრულებას ამავე კანონით დადგენილი წესით.

2. კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულება ხორციელდება კრედიტორის მიმართვისა და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. კერძო აღმასრულებელი აღსრულებას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები და თუ სააღსრულებო დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილი აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნა არ აღემატება 500 000 ლარს.

4. კერძო აღმასრულებლის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/18442#part_46) განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას კრედიტორის მოთხოვნის და აღსრულების საზღაურის ამოღების უზრუნველსაყოფად მოვალის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალებების წარდგენა ხდება ცალ-ცალკე.

4¹. კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით საჯარო შეტყობინების აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით. მიმართვა შესაძლებელია განხორციელდეს მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის აღნიშნული მომსახურების საფასური (/ka/document/view/1027449#) დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

5. კერძო აღმასრულებელი ყადაღადადებული ქონების საჯარო აუქციონზე რეალიზაციის მიზნით:

ა) კრედიტორის შესაბამისი განცხადების საფუძველზე დამოუკიდებლად ახორციელებს ამ კანონით დადგენილ აუქციონის მოსამზადებელ პროცედურებს;

ბ) მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით, წარუდგენს მას სააუქციონო დოკუმენტაციის (სააღსრულებო წარმოების შესაბამისი მასალების) თავის მიერ დამოწმებულ ასლებს და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეაქვს სააუქციონო მომსახურების დადგენილი საფასური, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#). სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის მართვის ავტომატური საშუალებებით წარდგენის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოების მასალები დამოწმებას არ საჭიროებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს განმეორებითი და ხელახალი აუქციონების მომზადებას ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

6. კერძო აღმასრულებელი პასუხისმგებელია წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის ფაქტობრივი მონაცემების სისწორეზე.

6¹. სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიღებისას და მისი კრედიტორისათვის დაბრუნებისას სააღსრულებო ფურცელს ბოლოში უნდა დაემატოს კერძო აღმასრულებლის ხელმოწერა, თარიღი და სამსახურებრივი ბეჭედი.

7. აღსრულების ეროვნული ბიურო ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კერძო აღმასრულებლის სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აკმაყოფილებს განაცხადს ან უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე.

8. აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მისთვის წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის ამ კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან/და სააუქციონო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის საფუძველით კერძო აღმასრულებელს განაცხადის მიღებისას დაუდგინოს ხარვეზი. კერძო აღმასრულებლისათვის ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო უნდა ეუბნება კერძო აღმასრულებელს სააუქციონო მომსახურების გაწევაზე. კერძო აღმასრულებელს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სააუქციონო მომსახურების საფასურის ნახევარი. კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია იმ გარემოებათა აღმოფხვრისას, რომლებიც საფუძველად დაედო აღსრულების ეროვნული ბიუროს უნდა, მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ ახალი განაცხადით. კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის სააუქციონო დოკუმენტაციის განმეორებით წარდგენისას იგი სრულად იხდის სააუქციონო მომსახურების საფასურს.

9. განაცხადის დაკმაყოფილებაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს უარი კერძო აღმასრულებელმა შეიძლება გაასაჩივროს სასამართლოში მისი შეტყობიდან 1 თვის ვადაში.

10. კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია პირველი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე გაითხოვოს განაცხადი. ამ შემთხვევაში მას უბრუნდება მის მიერ გადახდილი სააუქციონო მომსახურების საფასურის ნახევარი.

11. სააუქციონო მომსახურება გულისხმობს:

- ა) აუქციონის შესახებ საჯარო ინფორმაციის დადგენილი წესით განთავსებას;
- ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აუქციონების ჩატარებას;
- გ) პირველი აუქციონის ამ მუხლით დადგენილი განაცხადის დაკმაყოფილებიდან ერთი თვის ვადაში ჩატარებას;
- დ) აუქციონზე ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე, ამავე კანონით დადგენილი წესით განაწილებას.

12. აღსრულების ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია მხოლოდ აუქციონის ჩატარების დღეს განხორციელებული, ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის ამ კანონთან შესაბამისობისთვის. ყველა სხვა მოსამზადებელ თუ აუქციონის შემდგომ მოქმედებას ახორციელებს კერძო აღმასრულებელი საკუთარი პასუხისმგებლობით.

13. სააუქციონო მომსახურების გაწევისას კერძო აღმასრულებელი ვალდებულია აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაუყოვნებლივ აცნობოს კრედიტორის მიერ აღსრულების შეჩერებისა და განახლების თაობაზე. თუ კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებულ საქმეზე კრედიტორის განცხადების საფუძველზე შეჩერებული აღსრულება არ განახლება შეჩერებიდან 3 თვის განმავლობაში, სააუქციონო მომსახურება წყდება, ხოლო კერძო აღმასრულებელს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სააუქციონო მომსახურების საფასურის ნახევარი. კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის სააუქციონო დოკუმენტაციის განმეორებით წარდგენისას იგი სრულად იხდის სააუქციონო მომსახურების საფასურს.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი	822 - სსმ I,	41, 30.12.2008წ., მუხ.300	(/ka/document/view/20572#)
საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი	1323 - სსმ I,	12, 29.06.2009წ., მუხ.58	(/ka/document/view/89338#)
საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი	1542 - სსმ I,	21, 03.08.2009წ., მუხ.125	(/ka/document/view/89692#)
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი	1687 - სსმ I,	29, 12.10.2009წ., მუხ.170	(/ka/document/view/89932#)
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი	2459 - სსმ I,	49, 30.12.2009წ., მუხ.371	(/ka/document/view/91204#)
საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი	3167 - სსმ I,	34, 09.07.2010წ., მუხ.203	(/ka/document/view/92578#)
საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი	3884 - სსმ I,	72, 22.12.2010წ., მუხ.438	(/ka/document/view/1147542#)
საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი	4827 - ვებგვერდი,	28.06.2011წ.	(/ka/document/view/1387361#)
საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი	5171 - ვებგვერდი,	07.11.2011წ.	(/ka/document/view/1504792#)
საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი	5668 - ვებგვერდი,	16.01.2012წ.	(/ka/document/view/1561418#)
საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი	4628 - ვებგვერდი,	29.12.2015წ.	(/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 14⁸. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემა

1. კერძო აღმასრულებელზე სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემს აღსრულების ეროვნული ბიურო.
2. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია გაცივმა ამ თავითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/26824#) დადგენილი წესით.
3. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური პირი, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/26824#) დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) იყოს ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე;
 - ბ) ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
 - გ) ჩაბარებული ჰქონდეს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით;
 - დ) ჰქონდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის (/ka/document/view/84472#) შესაბამისად აღჭურვილი სამუშაო ადგილი.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 - ვებგვერდი, 06.06.2012წ. (/ka/document/view/1668412#)

მუხლი 14⁹. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები

1. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია არ გაცივმა იმ ფიზიკურ პირზე:
 - ა) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ კანონის 14⁸ მუხლის მე-3 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_39) გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - ბ) რომელიც ნასამართლევა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ან რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე;
 - გ) რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე შეწყდა ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო;
 - დ) რომელიც განთავისუფლებულია საჯარო სამსახურიდან ან ნოტარიუსის თანამდებობიდან ანდა რომელსაც შეუწყდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა დისციპლინური გადაცდომის, კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევის, თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენების ან კორუფციული სამართალდარღვევის გამო;
 - ე) რომლის საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (/ka/document/view/28312#) თანახმად;

ვ) რომელსაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაუქმდა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია, გარდა ამ კანონის 14 (/ka/document/view/18442#part_35) 14 (/ka/document/view/18442#part_35) მუხლის „ა“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/18442#part_35) გათვალისწინებული შემთხვევისა;

ზ) რომელიც მოქმედი ნოტარიუსი, ადვოკატი, აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირი ან აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორია;

თ) რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამოერთვა სააღსრულებო საქმიანობის უფლება;

ი) რომელსაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაუქმდა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია ამ კანონის 14 (/ka/document/view/18442#part_35) 14 (/ka/document/view/18442#part_35) მუხლის „ა“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/18442#part_35) გათვალისწინებული საფუძვლით და ლიცენზიის გაუქმებიდან არ გასულა 1 წელი.

2. კერძო აღმასრულებელი არ შეიძლება იყოს არბიტრაჟის წევრი.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 - ვებგვერდი, 06.06.2012წ. (/ka/document/view/1668412#)

მუხლი 14¹⁰. განცხადება სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად

1. ფიზიკური პირი სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განცხადებით მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

2. განცხადებას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/26824#) დადგენილი დოკუმენტებისა, უნდა დაერთოს:

ა) ამ კანონის 14⁸ მუხლის მე-3 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_30) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონის 14⁹ მუხლის პირველი პუნქტით (/ka/document/view/18442#part_31) გათვალისწინებული გარემოებების არარსებობას;

გ) სამუშაო ადგილის მისამართი და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი იმ უძრავი ქონების საკუთრების თაობაზე, სადაც უნდა განთავსდეს კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილი, ან ამ უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებაზე.

3. სამუშაო ადგილის შეცვლის შემთხვევაში კერძო აღმასრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს და წარუდგინოს მას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 - ვებგვერდი, 06.06.2012წ. (/ka/document/view/1668412#)

მუხლი 14¹¹. კერძო აღმასრულებლის რეგისტრაცია კერძო აღმასრულებელთა რეესტრში და მის მიერ სააღსრულებო საქმიანობის დაწყება

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კერძო აღმასრულებელი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს:

ა) სამსახურებრივ ბეჭედს (რომელზედაც აღინიშნება კერძო აღმასრულებლის სახელი და გვარი და კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის ნომერი) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულ ხელმოწერის ნიმუშს;

ბ) ბანკში საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშის გახსნის დამადასტურებელ დოკუმენტს და ამ ანგარიშის ნომერს;

გ) სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს; დაზღვევის ოდენობასა და პირობებს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (/ka/document/view/84484#).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ახორციელებს კერძო აღმასრულებლის რეგისტრაციას კერძო აღმასრულებელთა რეესტრში, რის შემდეგაც კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია დაიწყო სააღსრულებო საქმიანობა. კერძო აღმასრულებელთა რეესტრის ფორმასა და წარმოების წესს (/ka/document/view/84490#) განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2011 წლის 19 აპრილის კანონი 4566 - ვებგვერდი, 05.05.2011წ. (/ka/document/view/1321762#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 - ვებგვერდი, 06.06.2012წ. (/ka/document/view/1668412#)

მუხლი 14¹². სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა

კერძო აღმასრულებელი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინოს სტატისტიკური ინფორმაცია თავის წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების შესახებ.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 - ვებგვერდი, 06.06.2012წ. (/ka/document/view/1668412#)

მუხლი 14¹³. სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერება

1. ამ კანონის 14⁸ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/18442#part_30) გათვალისწინებული სალიცენზიო პირობის დარღვევის შემთხვევაში კერძო აღმასრულებელს შეუჩერდება სააღსრულებო საქმიანობის უფლება სალიცენზიო პირობის დარღვევის აღმოფხვრამდე. კერძო აღმასრულებელმა გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, უნდა უზრუნველყოს ამ კანონის 14⁸ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/18442#part_30) გათვალისწინებულ სალიცენზიო მოთხოვნასთან შესაბამისობა.

2. კერძო აღმასრულებლის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მას შეუჩერდება სააღსრულებო საქმიანობის უფლება.

3. პროცესის მწარმოებელი ორგანო/პირი კერძო აღმასრულებლის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, აცნობოს ამის თაობაზე აღსრულების

ეროვნულ ბიუროს.

4. კერძო აღმასრულებლისათვის სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერების თაობაზე შესაბამისი ჩანაწერი აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეაქვს კერძო აღმასრულებელთა რეესტრში. თუ აღმოიჩინა კერძო აღმასრულებლისათვის სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერების საფუძვლები, აღსრულების ეროვნული ბიურო აუქმებს შესაბამის ჩანაწერს, რის შემდეგაც კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია გააგრძელოს სააღსრულებო საქმიანობა.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 – ვებგვერდი, 06.0 6 .2012წ. (/ka/document/view/1668412#)

მუხლი 14¹⁴. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება

სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლები, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით (/ka/document/view/26824#) დადგენილი საფუძვლებისა, არის:

ა) კერძო აღმასრულებლის წერილობითი განცხადება თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, რომელიც წარედგინება აღსრულების ეროვნულ ბიუროს;

ბ) კერძო აღმასრულებლის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

გ) ამ კანონის 14¹¹ მუხლის პირველი პუნქტით (/ka/document/view/18442#part_33) გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა;

დ) კერძო აღმასრულებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კერძო აღმასრულებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო;

ე) კერძო აღმასრულებლისათვის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (/ka/document/view/32596#) თანახმად საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ვ) კერძო აღმასრულებლისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით სააღსრულებო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

ზ) ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს;

თ) კერძო აღმასრულებლისათვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

ი) ამ კანონის 14¹³ მუხლის პირველი პუნქტით (/ka/document/view/18442#part_34) გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1323 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.58 (/ka/document/view/89338#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 – ვებგვერდი, 06.0 6 .2012წ. (/ka/document/view/1668412#)

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი 3383 - ვებგვერდი, 31.03.2015წ. (/ka/document/view/2787621#DOCUMENT:1;)

მუხლი 14¹⁵. სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერების ან სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში შეჩერებული საქმეების აღსრულების წესი

1. კერძო აღმასრულებლისათვის ამ კანონის 14 (/ka/document/view/18442#part_34) ¹³ (/ka/document/view/18442#part_34) ან 14 (/ka/document/view/18442#part_35) ¹⁴ (/ka/document/view/18442#part_35) მუხლით (/ka/document/view/18442#part_35) გათვალისწინებულ შემთხვევაში სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერებისას ან სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისას მის წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების აღსრულებას უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიურო ამ კანონით დადგენილი წესით. აღსრულების ეროვნული ბიურო აღნიშნული საქმეების აღსრულებას განაგრძობს კერძო აღმასრულებლის მიერ განხორციელებული ბოლო სააღსრულებო მოქმედებიდან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სააღსრულებო საქმეზე კრედიტორი თავისუფლდება აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი ნაწილის გადახდისაგან.

3. კრედიტორს კერძო აღმასრულებლისათვის წინასწარი საზღაურის სახით გადახდილი თანხა უზრუნველდება აღსრულების შედეგად ამოღებული თანხის პროპორციულად.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი 6255 – ვებგვერდი, 06.0 6 .2012წ. (/ka/document/view/1668412#)

მუხლი 14¹⁶. კერძო აღმასრულებლის პასუხისმგებლობა

1. კერძო აღმასრულებელი პასუხისმგებელია სააღსრულებო წარმოების მხარეების წინაშე მის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

2. კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და ამ კანონის 14 (/ka/document/view/18442#part_35)¹⁴ (/ka/document/view/18442#part_35) მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (/ka/document/view/18442#part_35) გათვალისწინებული დარღვევებისათვის კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. (/ka/document/view/84484#)

3. კერძო აღმასრულებელი ვალდებულია სააღსრულებო საქმის წარმოება განხორციელოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირობებითა და ფორმით. (/ka/document/view/1011444#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1323 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.58 (/ka/document/view/89338#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

მუხლი 14¹⁷. საზღაური

1. კერძო აღმასრულებელი სააღსრულებო საქმიანობისათვის, აგრეთვე ამ საქმიანობასთან დაკავშირებული იურიდიული კონსულტაციისა და ტექნიკური სამუშაოსათვის იღებს საზღაურს, რომლის ოდენობა, გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება დაინტერესებულ მხარესთან დადებული ხელშეკრულებით.

2. კრედიტორის მიერ გადახდილი ან გადასახდელი საზღაურის გადახდა ეკისრება მოვალეს და იგი ამოიღება აღსრულებელ

მოთხოვნასთან ერთად. არ შეიძლება მოვალეს დაეკისროს საზღაურის გადახდა ამ კანონის 38-ე მუხლით (/ka/document/view/18442#part_84) დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით.

3. სააღსრულებო ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის სააუქციონო მომსახურების გაწევის შედეგად ამოღებული თანხებიდან:

ა) კრედიტორის მიერ გადახდილი საზღაური ამ კანონის 38-ე მუხლით (/ka/document/view/18442#part_84) დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ამოღებული მოთხოვნის პროპორციულობით გადაერიცხება კრედიტორს. კრედიტორს ასევე გადაერიცხება ამოღებული მოთხოვნა;

ბ) კრედიტორის მიერ გადასახდელი საზღაური ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ამოღებული მოთხოვნის პროპორციულობით გადაერიცხება კერძო აღმასრულებელს.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

მუხლი 14¹⁸. აღსრულების პოლიციის მონაწილეობა კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობაში

1. კერძო აღმასრულებელი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისათვის მიმართავს სამმართველოს, რომელიც მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს კერძო აღმასრულებელს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესაძლებლობის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით სამმართველოს მიერ მომსახურების გაწევაზე თანხმობის შემთხვევაში კერძო აღმასრულებელმა წინასწარ უნდა აუნაზღაუროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სამმართველოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური, რომლის ოდენობა, სააღსრულებო მოქმედებათა კატეგორიების მიხედვით, დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

მუხლი 14¹⁹. კერძო აღმასრულებლის აცილების საფუძველები, აცილების წესი და თვითაცილება

1. კერძო აღმასრულებლის აცილება დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით (/ka/document/view/29962#part_36) გათვალისწინებული საფუძველებით.

2. კერძო აღმასრულებლის აცილების საკითხს მოვალის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე წყვეტს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობს აღსრულება.

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

თავი IV

სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 15. სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები

სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობენ:

- კრედიტორი და მოვალე (შემდგომში ასევე – სააღსრულებო წარმოების მხარეები);
- აღმასრულებელი;
- კერძო აღმასრულებელი;
- სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ სააღსრულებო წარმოების პროცესში.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 15¹. სააღსრულებო წარმოების მხარეები

1. სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელთა სასარგებლოდ ან/და ინტერესებისათვის მიღებულია ამ კანონის მე-2 მუხლით (/ka/document/view/18442#part_5) გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილება.

2. სააღსრულებო წარმოებაში მოვალეა ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომლებსაც ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილება ავალდებულებს, შესაძლოა განსაზღვრული მოქმედებები ან თავი შეიკავონ განსაზღვრული მოქმედებების შესრულებისაგან.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 15². აღმასრულებლის აცილების საფუძველი, აცილების წესი და თვითაცილება

1. აღმასრულებლის აცილება დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით (/ka/document/view/29962#part_36) გათვალისწინებული საფუძველებით. აღმასრულებლის აცილების ან თვითაცილების საკითხი შეიძლება დააყენონ სააღსრულებო წარმოების მხარეებმა ან/და თავად აღმასრულებელმა.

2. სამოქმედო ტერიტორიაზე აღმასრულებლის აცილების ან თვითაცილების საკითხს განიხილავს და წყვეტს სააღსრულებო ბიუროს უფროსი, ხოლო ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_10) გათვალისწინებული აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირის აცილების ან თვითაცილების საკითხს – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებათ სააღსრულებო წარმოების მხარეებს.

3. სააღსრულებო ბიუროს უფროსის გადაწყვეტილება აცილების ან თვითაცილების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით. საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 16. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 17. აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

2. ყველა ადმინისტრაციული ორგანო, საბანკო დაწესებულება, მოვალესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია მოვალის ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლების, საბანკო ანგარიშების, ანგარიშებზე არსებული ნაშთებისა და თანხის ბრუნვის შესახებ.

3. აღმასრულებელი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა და იგი მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის გამოიყენოს. ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელებისას უფლება აქვს, შევიდეს მოვალის ბინაში, დაათვალიეროს ყველა სათავსი და მოვალის ქონება. დათვალიერება ფორმდება ოქმით.

5. იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) გადახდევინება:

ა.ა) მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით, ხოლო თუ საკითხი ეხება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ქონებას, ამის შესახებ აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს;

ა.ბ) მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან (მათ შორის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული პენსიიდან), სტიპენდიიდან და სხვა შემოსავლიდან;

ა.გ) მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან, აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან;

ბ) მოვალისთვის იმ საგნების ჩამორთმევა, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებით კრედიტორს უნდა გადაეცეს;

გ) კანონის შესაბამისად აღსასრულებელ გადაწყვეტილებაში მითითებული სხვა ღონისძიებები.

6. (ამოღებულია).

7. აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუშარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

8. თუ მოვალე არ დაუშვებს აღმასრულებელს, განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, აღმასრულებელს შეუძლია დასახმარებლად მიმართოს აღსრულების პოლიციას ან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც ვალდებულია აღმოუჩინოს მას საჭირო დახმარება.

9. აღმასრულებლისათვის წინააღმდეგობის გაწევს შემთხვევაში ან თუ მოვალის ბინაში განსახორციელებელ სააღსრულებო მოქმედებას არც მოვალე ესწრება და არც მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი, აღმასრულებელი ადგენს აქტს და აგრძელებს სააღსრულებო მოქმედებას ადგილობრივი თვითმმართველობის ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

10. აღსრულების მსვლელობისას აღმასრულებელი უფლებამოსილია გამოიძახოს სააღსრულებო წარმოების მხარეები სააღსრულებო დოკუმენტების გასაცნობად, სააღსრულებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, მიიღოს ზეპირი და წერილობითი ინფორმაცია, თუ ეს აუცილებელია აღსრულების მიზნებისათვის.

11. აღმასრულებელს თავისი ქვემდებარე სააღსრულებო საქმის წარმოებისას მომრავ ქონებაზე და საბანკო ანგარიშებზე უფლება აქვს, სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს სხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზედაც.

12. აღმასრულებელს უფლება აქვს, სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს ნებისმიერ დროს, მათ შორის, არასამუშაო დროს და უქმე დღეს, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული სააღსრულებო წარმოების ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 - სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2006 წლის 10 ნოემბრის კანონი 3648 - სსმ I, 44, 27.11.2006 წ., მუხ.296 (/ka/document/view/24706#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008 წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009 წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009 წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011 წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი 3307 - ვებგვერდი, 06.08.2018 წ. (/ka/document/view/4276852#DOCUMENT:1;)

მუხლი 17¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი 941 - სსმ I, 03.07.2001 წ., 20, მუხ.68 (/ka/document/view/15412#)

საქართველოს 2002 წლის 25 ივნისის კანონი 1596 - სსმ I, 13.07.2002 წ., 22, მუხ.103 (/ka/document/view/13954#)

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი 4230 - სსმ I, 50, 30.12.2006 წ., მუხ.381 (/ka/document/view/22696#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008 წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009 წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 17 სექტემბრის კანონი 3598 - სსმ I, 54, 12.10.2010 წ., მუხ.350 (/ka/document/view/1043815#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2010 წლის 10 დეკემბრის კანონი 3970 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.434 (/ka/document/view/1147627#)

მუხლი 18. კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებანი

1. კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ:

ა) დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები, გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომლებიც შეეხება აღსრულებას;

ბ) მორიგდნენ;

გ) იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე;

დ) აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინონ რეალიზაციას დაქვემდებარებული ქონების შემენით დანტერესებული პირები;

ე) გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში;

ვ) გაასაჩივრონ საჩივართან დაკავშირებით მიღებული აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

2. კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცემენ მორიგების

შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი 3 დღის ვადაში სააღსრულებო წარმოების მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად უზღავნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობს აღსრულება, ხოლო თუ აღსრულება ერთდროულად მიმდინარეობს ერთზე მეტი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიებზე – ერთ-ერთ სასამართლოს.

3. კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ, აღსრულების გადადების, განწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების თაობაზე მიმართონ სასამართლოს.

4. ქონების საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებულ დავაზე დაუშვებელია ამ ქონების შეფასების და მის საფუძველზე განხორციელებული სააღსრულებო მოქმედების, ასევე აუქციონის შედეგის გაუქმება, თუ პირველ აუქციონზე გამოცხადებული ქონების საწყისი ფასი არ აღემატება ამ ქონების საბაზრო ღირებულებას.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 - სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 18¹. მხარეთა წარმომადგენლობა სააღსრულებო წარმოების პროცესში

1. მხარეთა წარმომადგენლობა სააღსრულებო წარმოების პროცესში განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილი წესით.

2. თუ გადაწყვეტილებაში კრედიტორად მითითებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, მისი აღსრულებისას სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკას ან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენს ის სახელმწიფო ორგანო/პირი, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზედაც წარმოებს აღსრულება ან/და რომლის მიმართვის საფუძველზედაც გამოიტანა სასამართლომ აღსაღსრულებელი გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებისას, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ამ პუნქტით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოს/პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია წარმოადგინოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

მუხლი 18². დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვა

დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვა სავალდებულოა. მისი შენახვის წესი, პირობები და ამგვარი დოკუმენტაციის ასლის მიღებისათვის გადასახდელის ოდენობა დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1014976#).

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

მუხლი 18³. აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრება აღსრულების ეროვნულ ბიუროში

1. სააღსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზედაც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. ასეთი გასაჩივრება ავტომატურად ვერ შეაჩერებს გასაჩივრებულ სააღსრულებო ქმედებას. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან სააღსრულებო წარმოების მხარის/დაინტერესებული პირის შუამდგომლობით შეაჩეროს გასაჩივრებული სააღსრულებო ქმედება.

2. საჩივარი შეიტანება აღსრულების ეროვნულ ბიუროში. მასში უნდა აღინიშნოს:

ა) საჩივრის შემტანის ვინაობა/დასახელება, საიდენტიფიკაციო მონაცემები, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) სააღსრულებო წარმოების საქმის რეკვიზიტები: სააღსრულებო საქმის ნომერი, სააღსრულებო ფურცელი/აღსაღსრულებელი გადაწყვეტილება, სააღსრულებო წარმოების მხარეები;

გ) იმ აღმასრულებლის ვინაობა, რომლის მოქმედებაც საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული მოქმედების შინაარსი;

ე) საჩივრის შემტანის მოთხოვნა, მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები;

ვ) საჩივარზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალი, თუ საჩივარს დაერთვის რაიმე დოკუმენტი;

ზ) საჩივრის შეტანის თარიღი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

2¹. საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, უნდა უპასუხებდეს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შესაბამებოდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს (/ka/document/view/1392686#).

3. საჩივარს უნდა დაერთოს მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. აღსრულების ეროვნული ბიურო არ მიიღებს საჩივარს, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და 2¹ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე არ განიხილავს საჩივარს, თუ:

ა) იგი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან სააღსრულებო წარმოების მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;

დ) არსებობს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილება ამავე საკითხზე;

ე) (ამოღებულია - 20.03.2015, 3383) (/ka/document/view/2787621#DOCUMENT:1;);

ვ) (ამოღებულია - 08.05.2012, 6145); (/ka/document/view/1655791#)

ზ) გასულია საჩივრის შეტანის ამ კანონით დადგენილი ვადა.

6. თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს ან იგი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა, ამის თაობაზე 7 კალენდარული დღის ვადაში ეცნობება საჩივრის შემტანს და განესაზღვრება ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.

7. დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენამდე საჩივრის განხილვის ვადის დინება ჩერდება. იგი განახლება შესაბამისი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისთანავე.

8. დადგენილ ვადაში საჩივრის შემტანის მიერ შესაბამისი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში საჩივარი არ განიხილება.

9. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საჩივარს განიხილავს მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და საჩივრის შემტანს აცნობებს საჩივრის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საქმის სირთულიდან გამომდინარე, არა უმეტეს 15 კალენდარული დღით გააგრძელოს საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადა, რის შესახებაც იგი ატყობინებს საჩივრის შემტანს. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე დასაბუთებული უნდა იყოს. საჩივრის შემტანი უფლებამოსილია საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ამ კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადის დარღვევა ჩაითვლება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად.

10. სააღსრულებო წარმოებისას ქონების შემმენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი გასაჩივრდება სასამართლოში.

11. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გააუქმოს აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედება.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი 3383 - ვებგვერდი, 31.03.2015წ. (/ka/document/view/2787621#DOCUMENT:1;)

მუხლი 18⁴. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადება

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების 12 თვემდე ვადით განწილვადების შესახებ: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელ საქმეზე – თავისი ინიციატივით, ხოლო სხვა საქმეზე – კრედიტორის თანხმობით. განწილვადების პირობების დარღვევის შემთხვევაში სააღსრულებო საქმის წარმოება განახლება.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 19. სააღსრულებო საქმის მასალების გაცნობა და მათი ასლების გადაცემა

სააღსრულებო წარმოების მხარეს უფლება აქვს, გაეცნოს სააღსრულებო საქმის მასალებს და მიიღოს მათი ასლები, გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური დოკუმენტებისა და მათი ასლებისა, ხოლო სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირს უფლება აქვს, გაეცნოს იმ სააღსრულებო საქმის მასალებს და მიიღოს მათი ასლები, რომლებიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის უფლებაზე ან/და კანონიერ ინტერესზე, გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური დოკუმენტებისა.

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

თავი IV¹

მოვალეთა რეესტრი

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 19¹. მოვალეთა რეესტრის წარმოება

1. მოვალეთა რეესტრი არის ფულადი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფამდე წარმოებული საშუალება – სისტემატიზებული ელექტრონული ერთობლიობა მონაცემებისა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნთა შესახებ, რომელთა მიმართაც აღსრულება დაიწყო 2010 წლის 1 იანვრიდან, გარდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალისა. პირი მოვალეთა რეესტრში შეიტანება დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ დაიწყება სააღსრულებო წარმოება.

1¹. იმ პირის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია, რომლის მიმართაც აღსრულება დაიწყო 2010 წლის 1 იანვრამდე, შესაძლებელია განხორციელდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ინიციატივით.

2. მოვალეთა რეესტრს (შემდგომში – რეესტრი) აწარმოებს აღსრულების ეროვნული ბიურო. რეესტრის წარმოების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (/ka/document/view/87976#).

3. რეესტრში რეგისტრაცია არ ათავისუფლებს პირს ფულადი გადახდევინების აღსრულებისაგან.

4. რეესტრის მონაცემები საჯაროა და აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს რეესტრის მონაცემების ხელმისაწვდომობას ამ კანონის 19 (/ka/document/view/18442#part_56) ² (/ka/document/view/18442#part_56) მუხლში (/ka/document/view/18442#part_56) მითითებული ორგანოებისათვის, აგრეთვე მონაცემების მუდმივ განახლებას.

5. აღსრულების ეროვნული ბიუროს და სააღსრულებო ბიუროების საამისოდ უფლებამოსილი პირები რეესტრის მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფენ შესაბამისი ცნობებისა და ამონაწერების გაცემას ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. რეესტრიდან შესაბამისი ცნობა და ამონაწერი გაიცემა დადგენილი საფასურის წინასწარ გადახდისა და დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

6. რეესტრიდან შესაბამისი ცნობისა და ამონაწერის მისაღებად საფასურის ოდენობა და გადახდის წესი (/ka/document/view/87976#) განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2461 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.373 (/ka/document/view/91216#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 19². რეესტრიდან გამომდინარე სახელმწიფო, საბანკო და სხვა დაწესებულებების ვალდებულებები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილია ორგანოებმა რეესტრში რეგისტრირებული პირის სახელზე სატრანსპორტო საშუალებისა და სამოქალაქო იარაღის რეგისტრაციისას ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს მის მიერ წარმოებულ საქმეზე და უნდა შეაჩერონ მოვალის ქონების შემდგომი განკარგვის რეგისტრაცია პირის რეესტრიდან ამორიცხვამდე, გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ ქონების იძულებით განკარგვისა და ამ კანონის 19⁴ მუხლის მე-3 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_58) გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ ქონებაზე საკუთრების ან სხვა უფლების რეგისტრაციისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს მის მიერ წარმოებულ საქმეზე და უნდა შეაჩეროს მოვალის ქონების შემდგომი განკარგვის რეგისტრაცია პირის რეესტრიდან ამორიცხვამდე, გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ ქონების იძულებით განკარგვისა და ამ კანონის 19⁴ მუხლის მე-3 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_58) გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. საბანკო დაწესებულება ვალდებულია პირის რეესტრში რეგისტრაციის დღიდან არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა აცნობოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს მის მიერ წარმოებულ საქმეზე რეესტრში რეგისტრირებული პირის ანგარიშების და მათზე არსებული ნაშთების შესახებ. ამასთანავე, საბანკო დაწესებულება ამ პირის ანგარიშზე (ანგარიშებზე) ავრცელებს ყადაღს აღსასრულებელი მოთხოვნის ფარგლებში. საბანკო დაწესებულება დაუყოვნებლივ აცნობებს აღსრულების ეროვნულ ბიუროს რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ ახალი საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) გახსნისა და განხორციელებული ოპერაციების შესახებ და ვალდებულია გაავრცელოს ყადაღა ასევე ამ ანგარიშზე (ანგარიშებზე), თუ ანგარიშზე (ანგარიშებზე) მანამდე განხორციელებული ყადაღის დადებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი ყადაღის გავრცელება აღსასრულებელი მოთხოვნის სრული მოცულობის ფარგლებში.

4. აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ამ მუხლში მითითებულ დაწესებულებებს შორის მიმოწერა ხორციელდება მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით. ასეთი მიმოწერის წესი და პირობები განისაზღვრება აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ამ მუხლში მითითებულ დაწესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2461 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.373 (/ka/document/view/91216#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 19³. რეესტრში რეგისტრირებული პირის უფლების შეზღუდვა

რეესტრში რეგისტრაციისთანავე პირს ეზღუდება შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის (უფლებრივად დატვირთვის) უფლება, გარდა ამ კანონის 19⁴ მუხლის მე-3 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_58) გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2461 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.373 (/ka/document/view/91216#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 19⁴. რეესტრში რეგისტრირებული პირის მიმართ დაწესებული შეზღუდვების მოხსნა და რეესტრიდან ამორიცხვა

1. რეესტრში რეგისტრირებულ პირზე დაწესებული შეზღუდვები მთლიანად იხსნება რეესტრიდან მისი ამორიცხვისთანავე.

2. პირის რეესტრიდან ამორიცხვის საფუძველია:

ა) ფულადი გადახდევინების სრულად აღსრულება;

ბ) დაკისრებული ჯარიმის სხვა სახდელით შეცვლა;

გ) ამ კანონის 34-ე (/ka/document/view/18442#part_79) და 35-ე მუხლებით (/ka/document/view/18442#part_80) გათვალისწინებული შემთხვევები;

დ) სასამართლოს გადაწყვეტილება;

ე) (ამოღებულია – 17.06.2011, 4827). (/ka/document/view/1387361#)

3. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების სასარგებლოდ აღსასრულებელ საქმეებზე აღსრულების ეროვნული ბიუროს თანხმობის, ხოლო სხვა საქმეებზე – აგრეთვე კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევაში რეესტრში რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს, მოახდინოს რეესტრში რეგისტრაციის შედეგად შეზღუდული ქონების განკარგვა.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

თავი V

აღსრულება

მუხლი 20. სააღსრულებო ფურცელი

1. სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258¹ მუხლით გათვალისწინებული გირავნობის მოწმობის, იმავე კოდექსის 580⁸ მუხლით გათვალისწინებული ლიზინგის მოწმობის, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებისა და აღსრულების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმეებისა.

2. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე.

3. სასამართლოს განჩინება, რომელიც მიიღება სააღსრულებო წარმოების პროცესში და ექვემდებარება აღსრულებას, აღსრულდება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ან ისეთი განჩინების საფუძველზე, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

4. აღსრულების შეწყვეტა სააღსრულებო ფურცლის გარეშე შესაძლებელია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს 2005 წლის 7 ივლისის კანონი 1865 – სსმ I, 38, 15.07.2005წ., მუხ.261 (/ka/document/view/27142#)

საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი 3384 - სსმ I, 24, 29.06.2006წ., მუხ.192 (/ka/document/view/23914#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი 1542 - სსმ I, 21, 03.08.2009წ., მუხ.125 (/ka/document/view/89692#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი 2049 – ვებგვერდი, 17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი 1198 - ვებგვერდი, 14.07.2017წ. (/ka/document/view/3737676#DOCUMENT:1;)

მუხლი 21. სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტები

1. (ამოღებულია).

2. სააღსრულებო ფურცელს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გადასცემს კრედიტორს, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილი დაუყოვნებლივი აღსრულების შემთხვევებისა, როდესაც სააღსრულებო ფურცელი გაიცემა გადაწყვეტილების გამომტანისთანავე.

3. სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს:

ა) სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლოს ან იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც მიიღო აღსასრულებელი გადაწყვეტილება;

ბ) საქმე, რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი;

გ) გადაწყვეტილების გამომტანის თარიღი;

დ) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი;

ე) სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი;

ვ) კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები, ასევე სააღსრულებო ფურცლის გამცემი ორგანოსთვის ცნობილი სხვა საკონტაქტო მონაცემები. ეს წესი არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისას.

3¹. ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, უნდა აღინიშნოს:

ა) სააღსრულებო ფურცლის გამცემი ნოტარიუსის სახელი, გვარი და სანოტარო ბიუროს მისამართი;

ბ) ვალდებულების წარმოშობის საფუძველი;

გ) ვალდებულების შესრულების დრო;

დ) აღსასრულებელი ვალდებულების სახე და მოცულობა;

ე) სანოტარო მოქმედებათა რეესტრში სააღსრულებო ფურცლის რეგისტრაციის ნომერი.

3². საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, უნდა აღინიშნოს:

ა) სესხის გაცემის საფუძველი (განკარგულების მიმღები და მიღების თარიღი);

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და სააღსრულებო ფურცლის ამოწერის თარიღი;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილი, აღსრულების წესისა და საშუალების მითითებით.

4. სააღსრულებო ფურცელი დამოწმებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღები პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, გარდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისა, როდესაც სააღსრულებო ფურცელი დამოწმებული უნდა იქნეს სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლოს მიერ.

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს გადაწყვეტილების გამომტანიდან ორი კვირის ვადაში გამოსცემს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

6.(ამოღებულია - 05.03.2014, 2049) (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2005 წლის 30 ივნისის კანონი 1828 - სსმ I, 41, 19.07.2005წ., მუხ.285 (/ka/document/view/27040#)

საქართველოს 2005 წლის 7 ივლისის კანონი 1865 – სსმ I, 38, 15.07.2005წ., მუხ.261 (/ka/document/view/27142#)

საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი 3384 - სსმ I, 24, 29.06.2006წ., მუხ.192 (/ka/document/view/23914#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1282 - სსმ I, 13, 02.07.2009წ., მუხ.65 (/ka/document/view/89296#)

საქართველოს 2009 წლის 1 დეკემბრის კანონი 2183 - სსმ I, 38, 01.12.2009წ., მუხ.283 (/ka/document/view/90700#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი 2049 – ვებგვერდი, 17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი 652 - ვებგვერდი, 10.05.2017წ. (/ka/document/view/3648296#DOCUMENT:1;)

მუხლი 22. ერთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემა

თუ აღსრულება უნდა მოხდეს სხვადასხვა ადგილზე, ან თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, მაშინ სასამართლოს შეუძლია რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემა აღსრულების ადგილის და გადაწყვეტილების იმ ნაწილის ზუსტი აღნიშვნით, რომელიც ამ ფურცლით უნდა აღსრულდეს.

მუხლი 23. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა

სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში ორგანოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი. საკარტველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 24. სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ

სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

საკარტველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საკარტველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 25. აღსრულების დაწყება

1. აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით – საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258¹ მუხლით გათვალისწინებული გირავნობის მოწმობის აღსრულებასთან დაკავშირებით – გირავნობის მოწმობის მფლობელი მოგირავნის განცხადებისა და გირავნობის მოწმობის საფუძველზე, იმავე კოდექსის 580⁸ მუხლით გათვალისწინებული ლიზინგის მოწმობის აღსრულებასთან დაკავშირებით – ლიზინგის მოწმობის მფლობელი ლიზინგის გამცემის განცხადებისა და ლიზინგის მოწმობის საფუძველზე, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით – დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებისა და კრედიტორის განცხადების საფუძველზე, აღსრულების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით – აღსრულების შესახებ ბრძანებისა და კრედიტორის განცხადების საფუძველზე. თუ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების თაობაზე მოთხოვნთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოებისას წინასწარ მოთხოვნილი იყო დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულება, კრედიტორი აღარ წარადგენს განცხადებას აღსრულების დაწყების მოთხოვნით. აღსრულების დაწყების თაობაზე კრედიტორის განცხადების წარდგენა აგრეთვე არ მოითხოვება, თუ აღსრულების შესახებ ბრძანება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად უნდა მიეცეს. ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული იმ გადაწყვეტილების აღსრულებისას, რომელზედაც აუცილებელია სააღსრულებო ფურცლის არსებობა, აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუ პირები, რომელთა სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება, კონკრეტულად არიან დასახელებული სააღსრულებო ფურცელში. თუ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით ან რეგისტრირებული გირავნობით, იძულებითი აღსრულება წარმოებს მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონების შესაკუთრე არ არის სააღსრულებო ფურცელში მოხსენიებული მოვალე. ასეთ შემთხვევაში ქონების რეგისტრირებული შესაკუთრის მიმართ მოქმედებს მოვალის უფლებამონაცვლე ყოფნის პრეზუმცია, სანამ სხვა რამ არ დამტკიცდება. თუ გადაწყვეტილება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა აღსრულდეს, სასამართლო სააღსრულებო ფურცელს უგზავნის აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს მოვალის ადგილსამყოფლის მიხედვით.

2. იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, რომლებითაც გათვალისწინებულია კრედიტორის მოთხოვნის ზრდა ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვის შედეგად, სააღსრულებო წარმოების დაწყების დღიდან შეწყდება კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა, გარდა საგადასახადო მოთხოვნის შემთხვევებისა. კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა გაგრძელდება იმ დღიდან, როდესაც აღსრულების ეროვნული ბიურო ამ კანონის 35-ე მუხლის (/ka/document/view/18442#part_80) შესაბამისად დაუბრუნებს კრედიტორს სააღსრულებო ფურცელს.

3. სააღსრულებო ფურცელი ან/და აღსასრულებელი გადაწყვეტილება წარედგინება აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო ამ კანონის III² თავით (/ka/document/view/18442#part_27) განსაზღვრულ შემთხვევებში – კერძო ადმინისტრაციულს. აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართვისას ტერიტორიულობის პრინციპის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ კრედიტორია ფიზიკური პირი, კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად. სააღსრულებო ფურცელს უნდა დაერთოს აღსასრულებელი გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი.

4. სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან ქონების გამოთხოვისას სააღსრულებო ფურცელთან ან ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გირავნობის მოწმობის მფლობელი მოგირავნის განცხადებასთან ან ლიზინგის მოწმობის მფლობელი ლიზინგის გამცემის განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც კომპეტენტურმა პირმა ან ორგანომ გასცა. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია არ დაეყრდნოს ქონების შეფასებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტს და თავად შეაფასოს ქონება. თუ ქონების შეფასებისას აღმოჩნდება, რომ მისი ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე დაფიქსირებულია პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში, ამასთანავე, დაწყებულია სააღსრულებო წარმოება, აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც იგი ვალდებულია მის მიერ გადახდილი საფასურის თანხა სრულ ოდენობამდე შეავსოს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კრედიტორისათვის სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულებლად დაბრუნებას.

4¹. იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც სურს აღსასრულებლად წარადგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული (/ka/document/view/1027449#) მომსახურების საფასურის შესაბამისად დადგენილი საფასურის სანაცვლოდ, შეაფასოს ქონება. ასეთ შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება შეიძლება დაიწყოს ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. აღსრულების ეროვნული ბიურო მის მიერ ქონების შეფასების შემდეგ კრედიტორს განუსაზღვრავს ვადას დადგენილი წინასწარი საფასურის გადახდისათვის. ამ ვადაში კრედიტორის მიერ აღნიშნული საფასურის გადაუხდელობა გამოიწვევს მისთვის სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულებლად დაბრუნებას.

5. (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;).

6. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების დაწყების შესახებ სააღსრულებო წარმოების მხარეთა ინფორმირება ხდება ამ მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო უწყების ჩაბარებისთვის დადგენილი წესით (/ka/document/view/29962#).

7. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. მოვალეს ეცნობება:

ა) ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილის, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში – აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაკისრების შესახებ;

ბ) ამ კანონის მე-18 მუხლით (/ka/document/view/18442#part_48) დადგენილი უფლებები;

გ) სააღსრულებო წარმოების დაწყების სამართლებრივი შედეგები;

დ) იძულებითი აღსრულებისათვის ამ კანონით გათვალისწინებული შესაძლო გასატარებელი ღონისძიებები;

ე) აღსრულების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიღების წესი და საშუალებები.

8. მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება.

9. თანხის გადახდევინების, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის, ქონების გადაცემის ან სხვა ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როდესაც აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებაზე ან ამ ქონების ხარჯზე, წინადადების ჩაბარებასთან ერთად (ან თუ წინადადების ჩაბარება დროულად ვერ ხდება) აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას, აღწერას და მასზე ყადაღის დადებას ამ კანონით დადგენილი წესით.

10. ამ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულებისას აღსრულების ეროვნული ბიურო მოვალის (გადასახადის გამომხდელის) ქონებას ყადაღს არ დაადებს, თუ აღნიშნულ ქონებას ყადაღა დაედო ამ კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

10¹. ამ კანონის მე-2 მუხლით (/ka/document/view/18442#part_5) გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებისას მოვალის ქონებას აღსრულების ეროვნული ბიურო ყადაღს განმეორებით არ დაადებს, თუ აღნიშნულ ქონებას ყადაღა დაედო ამ კანონის XVI თავით გათვალისწინებული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოებისას.

11. თუ გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, მოვალეს ეგზავნება შეტყობინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე.

12. ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაგზავნილი შეტყობინებები, წინადადებები, გადაწყვეტილებები და სხვა დოკუმენტები სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირებს ჩაჰბარდებათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

13. აღსრულების ეროვნული ბიურო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე კრედიტორის განცხადების მიღებისთანავე უზრუნველყოფს მოვალე სახელმწიფო ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმირებას ბიუჯეტის სახსრებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი 2049 – ვებგვერდი, 17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი 652 - ვებგვერდი, 10.05.2017წ. (/ka/document/view/3648296#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი 1198 - ვებგვერდი, 14.07.2017წ. (/ka/document/view/3737676#DOCUMENT:1;)

მუხლი 25¹. სააღსრულებო წარმოების ეტაპები

თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებია:

ა) აღსრულების დაწყება;

ბ) ქონებაზე ყადაღის დადება;

გ) აუქციონის ჩატარება;

დ) კრედიტორისათვის თანხის გადაცემა.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 26. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2005 წლის 7 ივლისის კანონი 1865 – სსმ I, 38, 15.07.2005წ., მუხ.261 (/ka/document/view/27142#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 27. აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტება

აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტება ხდება სააღსრულებო წარმოების მხარეთა განცხადების ან აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილი წესით.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 28. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 13 ივლისის კანონი 485 – სსმ I, 30, 27.07.2000 წ., მუხ.95 (/ka/document/view/1738#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
 საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)
 საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 28¹. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში განაჩენით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების წესი აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მსჯავრდებულისა და გირაოს შემტანის წერილობითი თანხმობის საფუძველზე (ხოლო თუ გირაოს შემტანი თავად მსჯავრდებულს ან გირაო შეტანილია მსჯავრდებულის სახელით – მისი თანხმობის გარეშე) მოახდინოს აღსრულება გირაოს სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილ ფულად თანხაზე ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი 2939 - სსმ I, 14, 15.05.2006წ., მუხ.91 (/ka/document/view/26122#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 28². სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს სახით შეტანილ უძრავ ქონებაზე აღსრულების მიქცევა

1. გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შემთხვევაში ამ ქონების მესაკუთრე (დაინტერესებული პირი) ვალდებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში გირაოს სახით განსაზღვრული თანხა შეიტანოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, რის შემდეგაც აღნიშნული ქონება თავისუფლდება ყადაღისაგან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უძრავი ქონება გირაოს სახით განსაზღვრული თანხის იძულებით ამოღების მიზნით სარეალიზაციოდ მიიქცევა ამ კანონის XIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. (ამოღებულია).

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)
 საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 29. ოქმი

1. აღმასრულებელმა ყოველი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ, გარდა აუქციონის ჩატარებისა, უნდა შეადგინოს ოქმი.

2. ოქმი უნდა შეიცავდეს:

- ა) შედგენის ადგილსა და დროს;
- ბ) აღმასრულებლის ვინაობას, რომელმაც შეადგინა ოქმი;
- გ) იმ პირების ვინაობას, რომლებიც ესწრებოდნენ სააღსრულებო მოქმედებას;
- დ) სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დასახელებას, რომლის მიხედვითაც წარმოებს აღსრულება;
- ე) კრედიტორისა და მოვალის დასახელებას;
- ვ) სააღსრულებო მოქმედების დასახელებას.

3. ოქმს ხელს აწერენ აღმასრულებელი და ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ სააღსრულებო მოქმედებას. ხელის მოწერაზე უარის თქმა უნდა აღინიშნოს ოქმში. სააღსრულებო მოქმედების ვიდეოფორზე ასახვის შემთხვევაში ოქმი უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებს, გარდა იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი მონაცემებისა.

4. (ამოღებულია – 17.06.2011, 4827). (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

თავი VI

სასამართლო კომპეტენცია

მუხლი 30. მოვალის ძებნა

როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით, რომლის საფუძველზედაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნისა და მოყვანის შესახებ.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 31. მოვალის ინტერესების დაცვა იძულებითი აღსრულებისას

1. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_46) გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენებისას, აგრეთვე ამავე კანონის 83-ე (/ka/document/view/18442#part_147), 84-ე (/ka/document/view/18442#part_149) და 90¹ მუხლებით (/ka/document/view/18442#part_157) განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებისას, თუ აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება ან სხვა საგანგებო შემთხვევა) გამო შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია არა უმეტეს 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება.

აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე ვადით.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ფაქტობრივი ვითარება არ შეიცვლება, მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს იძულებითი აღსრულების ღონისძიება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს ესა თუ ის ღონისძიება არა უმეტეს 3 თვის ვადით.

3. თუ შეიცვალა ფაქტობრივი ვითარება, სასამართლოს შეუძლია კრედიტორის განცხადების საფუძველზე გააუქმოს ან შეცვალოს აღსრულების თაობაზე გამოტანილი განჩინება.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებები განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით (/ka/document/view/29962#part_289) დადგენილი წესით.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 32. მესამე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ

1. თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ).

2. სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს.

3. თუ ყადაღადადებული ქონება უკვე რეალიზებულია, მესამე პირი უფლებამოსილია მოვალეს, რომლის ვალდებულების გამოც მოხდა მესამე პირის ქონების გასხვისება, მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

თავი VII

აღსრულების გადადება, შეწყვეტა, შეჩერება, აღსასრულებელი დოკუმენტის უკან დაბრუნება

მუხლი 33. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 34. აღსრულების შეწყვეტა

1. აღსრულება შეწყდება, თუ:

ა) კრედიტორმა უარი თქვა აღსრულებაზე;

ბ) კრედიტორი და მოვალე მორიგდნენ;

გ) კრედიტორის ან მოვალის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნები ან მოვალეობები ვერ გადავა გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეზე;

დ) გადაწყვეტილება, რომლის აღსასრულებლადაც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება, გაუქმებულია;

ე) გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება;

ზ) განხორციელდა იურიდიული პირის (კრედიტორის ან მოვალის) ლიკვიდაცია და სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია ან არ არსებობს უფლებამონაცვლე;

თ) (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1.);

ი) (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1.);

კ) თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი, გარდა ალიმენტის გადახდევინების შესახებ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრებით ან უანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა, აგრეთვე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოებული სააღსრულებო საქმეებისა;

ლ) ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 5 წელი;

მ) (ამოღებულია – 25.03.2013, 466 (/ka/document/view/1885869#DOCUMENT:1.)) (/ka/document/view/1885869#DOCUMENT:1.);

2. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში აღსრულებისათვის განხორციელებული ყველა ღონისძიება უქმდება.

3. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში იმავე გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოების განახლება დაუშვებელია.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

საქართველოს 2012 წლის 20 მარტის კანონი 5916 – ვებგვერდი, 30.03.2012წ. (/ka/document/view/1624925#)

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი 466 – ვებგვერდი, 05.04.2013წ. (/ka/document/view/1885869#DOCUMENT:1.);

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1.);

მუხლი 35. სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება

1. სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა აღსრულება, უბრუნდება კრედიტორს:

ა) კრედიტორის განცხადებით;

ბ) თუ მოვალე არ ცხოვრობს კრედიტორის მიერ მითითებულ მისამართზე, ან თუ ქონება იქ არ იმყოფება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოვალე იძებნება პოლიციის ორგანოების მეშვეობით;

გ) თუ კრედიტორი, აღსრულების ეროვნული ბიუროს გაფრთხილების მიუხედავად, გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაშიც არ ასრულებს ამ კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება;

დ) ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/18442#part_81) გათვალისწინებულ შემთხვევაში;
 ე) თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო. ამ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნების საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე;

ვ) თუ ამ კანონის 25-ე მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტებით (/ka/document/view/18442#part_65) გათვალისწინებულ შემთხვევაში კრედიტორი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსებს წინასწარი საფასურის თანხას იმ ოდენობამდე, რომელიც დადგენილია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასების შედეგად, ან არ შეიტანს წინასწარი საფასურის თანხას, თუკი სააღსრულებო წარმოება დაიწყო კრედიტორის მიერ წინასწარი საფასურის გადახდის გარეშე.

1¹. თუ თანხის გადახდებიდან შემდეგ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში ვერ დაკმაყოფილდა კრედიტორის მოთხოვნა იმის გამო, რომ მოვალეს არ გააჩნია ქონება, რომლიდანაც შესაძლებელია გადახდები, სააღსრულებო ფურცელი / აღსასრულებელი გადაწყვეტილება უბრუნდება კრედიტორს, გარდა ალიმენტის გადახდებიდან შემდეგ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა, აგრეთვე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოებული სააღსრულებო საქმეებისა.

1². ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმავე პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვამდე კრედიტორი უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართოს განცხადებით და მოითხოვოს სააღსრულებო წარმოების 1 წლით გაგრძელება, რისთვისაც იგი იხდის საფასურს 200 ლარის ოდენობით. ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/18442#part_79) გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე კრედიტორი ამ პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში უფლებამოსილია ყოველწლიურად მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო წარმოების გაგრძელების თაობაზე.

2. სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნებისას აღსრულებისათვის განხორციელებული ყველა ღონისძიება უქმდება, ხოლო ამ კანონით დადგენილი გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა ჩერდება ამავე საქმესთან დაკავშირებით ახალი სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე.

საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი 941 – სსმ I, 03.07.2001 წ., მუხ.68 (/ka/document/view/15412#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 36. აღსრულების შეჩერება და მისი ვადები

1. სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება:

ა) მოვალე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას – მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით დაიშვება უფლებამონაცვლეობა;

ბ) მოვალის მხარდაჭერის მიმდებარე ცნობის საკითხის სასამართლოს მიერ განხილვისას – საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე საჩივრის შეტანისას – გადაწყვეტილების მიღებამდე;

დ) იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზედაც მიქცეულია გადახდა, – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;

ე) (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;);

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს:

ა) კრედიტორის მოთხოვნით, ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება კრედიტორს, თუ იგი არ მოითხოვს აღსრულების გაგრძელებას;

ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადით;

გ) კრედიტორის ან მოვალის გარდაცვალებისას – სასამართლოს მიერ უფლებამონაცვლის დადგენამდე და მოვალის ქონების უფლებამონაცვლის საკუთრებაში გადასვლამდე;

დ) ამ კანონის 18⁴ მუხლით (/ka/document/view/18442#part_52) გათვალისწინებული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადებისას – საქმის წარმოების განახლებამდე;

ე) ამ კანონის 18³ მუხლით (/ka/document/view/18442#part_51) დადგენილი წესით სააღსრულებო წარმოების მხარის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;

ვ) ამ კანონის 25-ე მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტებით (/ka/document/view/18442#part_65) გათვალისწინებულ შემთხვევაში კრედიტორისათვის საფასურის გადახდის ვადის განსაზღვრისას – ამ ვადის ამოწურვამდე;

ზ) განსაკუთრებულ შემთხვევაში – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით.

(ძალადაკარგულია „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კოტროლის გარეშე) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება 1/2/596 - ვებგვერდი, 12.10.2016წ. (/ka/document/view/3410240#)

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებამდე ან ყადაღის დადების შემდეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (/ka/document/view/16426#) შესაბამისად ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უბრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩერებს პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2006 წლის 13 ივლისის კანონი 3437 - სსმ I, 32, 31.07.2006წ., მუხ.244 (/ka/document/view/24160#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
 საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი 3383 - ვებგვერდი, 31.03.2015წ. (/ka/document/view/2787621#DOCUMENT:1;)
 საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)
 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება 1/2/596 - ვებგვერდი, 12.10.2016წ. (/ka/document/view/3410240#)

მუხლი 37. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი VIII

აღსრულების საფასური და ხარჯები

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 38. აღსრულების საფასური

1. აღსრულების საფასური (შემდგომ – საფასური) არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე.

2. საფასურიდან მიღებული შემოსავალი (დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით) სრულად ხმარდება აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს შემოსავლები სრულად ხმარდება აღსრულების ეროვნულ ბიუროს, გარდა საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საფასურის ოდენობა და გადახდის წესი (/ka/document/view/1027449#) განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

5. საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად.

6. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს, გარდა ამ მუხლის 6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით (/ka/document/view/29962#part_296) განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა.

6¹. აღსრულების საქმეზე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის აღსრულების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) 100 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 25%, მაგრამ არანაკლებ 20 ლარისა;

ბ) 100 ლარიდან 200 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 20%, მაგრამ არანაკლებ 30 ლარისა;

გ) 200 ლარიდან 500 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 10%, მაგრამ არანაკლებ 40 ლარისა;

დ) 500 ლარი ან 500 ლარზე მეტი სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა.

7. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში შეტანისას გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი მოთხოვნის 2%-ს და არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები. საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად.

7¹. ამ კანონის მე-2 მუხლით (/ka/document/view/18442#part_5) გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყებისას აღსრულების წინასწარი საფასური ჩაითვლება კრედიტორის მიერ გადახდილად, თუ გამარტივებული წარმოებისას მან აღნიშნული საფასური საგარანტიო თანხის სახით სრულად შეიტანა აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

8. ამ კანონის 34-ე (/ka/document/view/18442#part_79) და 35-ე მუხლებით (/ka/document/view/18442#part_80) განსაზღვრულ, ასევე სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების ამ გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოს/პირის მიერ გათხოვის, მასში ცვლილებების შეტანის ან მისი გაუქმების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი საფასური კრედიტორს არ უბრუნდება.

9. მოთხოვნის არასრულად ან ეტაპობრივად დაკმაყოფილების შემთხვევაში პირველ რიგში ივარება აღსრულების ხარჯი, ხოლო შემდეგ – საფასური და აღსასრულებელი მოთხოვნა ამოღებული თანხის პროპორციულად.

10. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმის/ნივთის გადაცემის შესახებ საქმის, რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებულ ნივთზე სარჩელის უბრუნველყოფის ღონისძიებისა და სხვა კატეგორიის საქმეთა აღსრულებისათვის კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენისას გადასახდელი საფასურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. კრედიტორი უფლებამოსილია მის მიერ გადახდილი საფასურისა და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება მოვალისაგან სასამართლო წესით მოითხოვოს.

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების, სისხლისსამართლებრივი წესით მიღებული გადაწყვეტილებების (გარდა ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა), საქართველოს ეროვნული ბანკის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის, სახელმწიფო ორგანოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სასარგებლოდ, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების (მათ შორის, სახელმწიფო ბაჟის) გადახდები შესახებ გადაწყვეტილებების და ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საფასური წინასწარ არ გადაიხდებინება. საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრება.

12. საფასურის წინასწარ გადახდისაგან თავისუფლება :

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება შესაბამისი მოწმობით;

ბ) კრედიტორი სასამართლოს გადაწყვეტილებით (სასამართლოს შეუძლია კრედიტორი, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გაათავისუფლოს საფასურის წინასწარ გადახდისაგან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით);

გ) კრედიტორი აღსრულების შესახებ ბრძანების აღსრულებისას.

13. საფასურის გადახდისა და დაკისრებისაგან თავისუფლებიან სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკების/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას (გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), და ამ ორგანოთა კრედიტორები. საფასურის გადახდა და დაკისრება არ ხდება აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საქმეებზე.

13¹. საფასურის წინასწარ გადახდისა და დაკისრებისაგან არ თავისუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – შემოსავლების სამსახურისა.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული კრედიტორების, რომელთაც აქვთ ფულადი მოთხოვნები, მოვალეების მიერ ამ კანონით დადგენილ ვადებში მოთხოვნის სრულად შესრულებისას გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 2%-ს და არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები.

15. საფასური არ გადაიხდებინება აღსრულების ეროვნული ბიუროს სადემოკრატიო ანგარიშზე აღსრულების დაწყებამდე თანხების შეტანაზე, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის პირველი ნაწილის (/ka/document/view/90034#part_233) შესაბამისად თანხების შეტანაზე.

16. სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას საფასური გადაიხდებინება სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ ამ ქონების შემდგომი რეალიზაციის შემთხვევაში და შეადგენს ამონაგები თანხის 7%-ს.

საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი 3384 - სსმ I, 24, 29.06.2006წ., მუხ.192 (/ka/document/view/23914#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი 1542 - სსმ I, 21, 03.08.2009წ., მუხ.125 (/ka/document/view/89692#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2010 წლის 6 ივლისის კანონი 3374 - სსმ I, 39, 19.07.2010წ., მუხ.243 (/ka/document/view/92764#)

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი 3619 - სსმ I, 51, 29.09.2010 წ., მუხ.332 (/ka/document/view/1027497#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 - ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 - ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

საქართველოს 2013 წლის 4 ოქტომბრის კანონი 1467 - ვებგვერდი, 16.10.2013წ.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი 2049 - ვებგვერდი, 17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი 2939 - ვებგვერდი, 24.12.2014წ. (/ka/document/view/2631338#DOCUMENT:1;)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 39. აღსრულების ხარჯები

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით (/ka/document/view/29962#part_296) განსაზღვრული გადაწყვეტილებების, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების, მათ შორის, სახელმწიფო ბაჟის, ამ კანონის 90¹ მუხლით (/ka/document/view/18442#part_157) გათვალისწინებული აქტების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების, ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_84) გათვალისწინებულ შემთხვევებში აღსრულების დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით.

2. (ამოღებულია).

3. (ამოღებულია - 05.03.2014, 2049).

4. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გაწეული ქონების შენახვის, ტრანსპორტირების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლების აღიარების ან/და დადგენის პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი დაეკისრება მოვალეს და ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად, თუ ეს ხარჯი გაიღო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და შესაძლებელია მისი დადასტურება შესაბამისი დოკუმენტაციით.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი 2049 - ვებგვერდი, 17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

მუხლი 39¹. თანხის დაბრუნება

1. პირს უფლება აქვს, მოითხოვოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თავისი კუთვნილი თანხა, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას აღსრულების ეროვნული ბიუროს შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

2. პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განუხორციელებლობის შემთხვევაში თანხა მიექცევა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

თავი IX

აღსრულება მოძრავ ქონებაზე

მუხლი 40. მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება

1. მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების – აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახავად გადაცემას. აღმასრულებელი ყადაღადადებულ ნივთებს აღწესსავს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში.

1¹. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის მიზნებისათვის კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია ყადაღადადებული ანგარიშები, აგრეთვე ის ანგარიშები, რომლებზედაც წარდგენილია საინკასო დავალება, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად სხვა კომერციულ ბანკში ან/და საქართველოს ეროვნულ ბანკში გადაიტანოს. ამ პუნქტის მოქმედება ვრცელდება როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს, ისე კერძო აღმასრულებლის მიერ დადებულ ყადაღასა და საინკასო დავალებაზე.

2. ბათილია ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გარიგება.

3. (ამოღებულია).

4. აღმასრულებელს ყადაღადადებული ფული დაუყოვნებლივ შეაქვს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე (კერძო აღმასრულებელს – საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშზე), ხოლო ყადაღადადებულ ფასიან ქალაქებსა და ძვირფასეულობას იგი იღებს და ინახავს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სათავსში. ეს ეხება სხვა ყადაღადადებულ ნივთებსაც, თუ არსებობს ამ ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ ყადაღადადებული მოძრავი ნივთები რჩება მოვალესთან ან შესანახად ბარდება სხვა პირს, მაშინ ყადაღის დადება შეიძლება მოხდეს დალუქვით. ყადაღადადებული ქონების მოვალის ან მინდობილი პირის – შემნახველის მიერ ყოველგვარი განკარგვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. აღმასრულებელს კრედიტორის მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია დალუქოს აღწერილი ნივთები, რასაც აღნიშნავს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში.

5. ნაყოფს, რომელიც ჯერ არ არის მოცილებული მიწას, შეიძლება დაედოს ყადაღა მანამ, სანამ არ მომხდარა უძრავ ქონებაზე აღსრულება. ყადაღის დადება არ შეიძლება მოხდეს მოსავლის მოწვეამდე ერთი თვით ადრე.

6. თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისას მესამე პირი განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას, იგი მაინც შეიტანება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში და კეთდება აღნიშვნა. აღმასრულებელი პირს იმავდროულად განუმარტავს მის უფლებას – მიმართოს სასამართლოს სარჩელით ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით. თუ მესამე პირი წარმოადგენს ქონებაზე თავისი საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, აღმასრულებელი, კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ეს ქონება ამორიცხოვოს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან.

6¹. (ამოღებულია – 08.05.2012, 6145). (/ka/document/view/1655791#)

7. (ამოღებულია – 08.05.2012, 6145). (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2005 წლის 30 ივნისის კანონი 1828 - სსმ I, 41, 19.07.2005წ., მუხ.285 (/ka/document/view/27040#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი 1904 – ვებგვერდი, 11.01.2018წ. (/ka/document/view/3980542#DOCUMENT:1;)

მუხლი 40¹. მოვალის მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება

1. თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია გაათავისუფლოს მოვალის მოძრავი ქონება ყადაღისაგან იმ შემთხვევაში, თუ მოვალე დაფარავს მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას ამ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე. თუ ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია გირავნობა (მათ შორის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა) სხვა პირის/პირების სასარგებლოდ, ამ მუხლით დადგენილი წესით ყადაღის მოხსნის მიუხედავად, გირავნობა უცვლელი რჩება.

2. თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული მოძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია ყადაღისაგან გაათავისუფლოს მოძრავი ქონება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ქონებაზე არ არის რეგისტრირებული გირავნობის უფლება სხვა მოგირავნის/მოგირავნების სასარგებლოდ და მოვალე დაფარავს მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას ამ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალის განცხადების საფუძველზე მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას ადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალებით სხვა კომპეტენტური

პირი. მოვალე უფლებამოსილია მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების შესახებ განცხადებას დაურთოს სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში გაცემული კომპეტენტური პირის ან ორგანოს დასკვნა ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ, რომლის დასაშვებობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული წესებით მოვალის მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების შემთხვევებში ამ ქონებაზე ამავე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღსრულება არ დაიშვება, ხოლო მოვალის მიერ გადახდილი ქონების საბაზრო ღირებულება ჩაითვლება აღსასრულებელი მოთხოვნის შესრულებულ ნაწილად.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით მოძრავი ქონების, როგორც გირავნობის საგნის, ყადაღისაგან განთავისუფლება იწვევს აღნიშნულ ქონებაზე ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო გირავნობის გაუქმებას.

6. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე კრედიტორის განცხადების საფუძველზე ყადაღადადებული ქონება ამორიცხოს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან.

7. არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ იძულებითი აღსრულების განხორციელებისას, თუ მოვალის მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ამ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებისა, მოგირავნე განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას და აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს გირავნობის უფლების დამადასტურებელ ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებას ყადაღისაგან ათავისუფლებს.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 41. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 42. მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა

1. (ამოღებულია).

2. აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია დაავალდებულოს მოვალე, წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა და ინფორმაცია ამ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. ქონების ნუსხაში მოვალემ უნდა მიუთითოს აგრეთვე მესამე პირის მიმართ თავისი მოთხოვნის საფუძველი და მტკიცებულებები. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ასევე ის ქონება, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მას მესამე პირის მიმართ.

3. მოვალე წერილობით გარანტიას იძლევა, რომ მან ყველა მონაცემი, რომლებიც მისგან მოითხოვეს, მაქსიმალურად სწორად და სრულად წარადგინა. წერილობითი გარანტიის მიცემის შემდეგ მოვალის მიერ ქონების ან/და ქონებრივი უფლებების შექმნის, ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის შემთხვევაში იგი ვალდებულია ამის შესახებ დამატებით, წერილობით აცნობოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

4. თუ მოვალე აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში არ წარუდგენს ქონების ნუსხას, ან უარს ამბობს წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეგნებულად წარუდგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4¹. აღსრულების ეროვნული ბიურო ამოწმებს მოვალის მონაცემების სისწორესა და სისრულეს.

5. (ამოღებულია).

6. (ამოღებულია).

7. (ამოღებულია).

8. (ამოღებულია).

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 43. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 30 ივნისის კანონი 1828 - სსმ I, 41, 19.07.2005წ., მუხ.285 (/ka/document/view/27040#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 44. ყადაღის საგანი

1. ყადაღას ექვემდებარება მოვალის ყველა ნივთი, გარდა ამ კანონის 45-ე მუხლში (/ka/document/view/18442#part_94) ჩამოთვლილი ქონებისა (იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებსაც პოულობენ მოვალესთან, მას ეკუთვნის).

2. (ამოღებულია).

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 45. ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება

1. ყადაღას არ ექვემდებარება:

ა) პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის;

ბ) მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანაბი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა;

გ) წვრილფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მეწველი ძროხა, ან მოვალის არჩევანით – ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა;

დ) პირებისათვის, რომლებიც პროფესიის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;

ე) პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.

ვ) სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დახმარება;

ზ) იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება იმ საარსებო მინიმუმის ოდენობა, რომელიც აუცილებელია პირის ყოფითი საჭიროებისათვის.

3. ყადაღისაგან გათავისუფლება ზემოაღნიშნული საფუძვლით ეხება საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს.

4. დავა გადახდებიდან გამომდინარე ქონების გათავისუფლების შესახებ განიხილება სასამართლო წესით.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 46. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 47. ყადაღადადებული ქონების შეფასება

1. ქონების აღწერის დროს, მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების საბაზრო ღირებულება აღინიშნება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში.

2. თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, ქონებას ყადაღის დადების რეგისტრაციის შემდეგ შეაფასებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალებით სხვა კომპეტენტური პირი.

3. აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდებიანების უზრუნველყოფის მიზნით გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების განსახორციელებლად გადასახადის გადამხდელის ქონების შეფასების შემთხვევაში სააღსრულებო წარმოებისას ამ ქონების განმეორებითი შეფასება საავალდებულო არ არის, თუ სარეალიზაციო ქონების შეფასება სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელდა.

4. სააღსრულებო წარმოების მხარეს უფლება აქვს, სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე წარმოადგინოს ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ქონება შეფასებულია სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დაეყრდნოს სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, ხოლო თუ ერთსა და იმავე ქონებაზე დასკვნები წარმოადგინა ორივე მხარემ – ერთ-ერთ დასკვნას. სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დასაშვებად მიჩნევის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი 4207- ვებგვერდი, 10.03.2011წ. (/ka/document/view/1232802#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 48. ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტი

1. ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში უნდა აღინიშნოს:

ა) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) სააღსრულებო ბიუროს დასახელება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, აგრეთვე აღმასრულებლის სახელი და გვარი, ამ კანონის III² თავით (/ka/document/view/18442#part_27) გათვალისწინებულ შემთხვევაში – კერძო აღმასრულებლის სახელი და გვარი, სამუშაო ადგილის მისამართი და ის პირები, რომლებიც აქტის შედგენას დაესწრენ;

გ) სასამართლოს დასახელება და გადაწყვეტილება, რომელსაც აღსრულებენ, ან სხვა სააღსრულებო საბუთის დასახელება და ორგანო, რომელმაც ის გასცა;

დ) კრედიტორისა და მოვალის დასახელება;

ე) აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება, მისი განმასხვავებელი ნიშნები (რაოდენობა, ზომა, წონა, ცვეთა და სხვა);

ვ) აქტში შეტანილი თითოეული საგნის ცალკე შეფასება და მთელი ქონების ღირებულება, თუ აღწერისას შესაძლებელია აღმასრულებლის მიერ ფასების დადგენა;

ზ) თუ საგნები ან/და სადგომები დაილუქა – რომელი საგნები ან/და სადგომები იქნა დალუქული, და ლუქების ნომრები;

თ) იმ პირის დასახელება, რომელსაც ქონება გადაეცა შესანახავად, და მისი მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაევალა;

ი) რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესი; მოვალეს ან ქონების შემნახველს განემარტა მისი მოვალეობა ქონების შენახვისათვის და გადაცემული ქონების გაფლანგვისათვის, გასხვისებისათვის ან გადამალვისათვის პასუხისმგებლობის საკითხი;

კ) კრედიტორისა და მოვალის შენიშვნები და განცხადებები და მათზე აღმასრულებლის განმარტებანი.

2. ქონებაზე ყადაღის დადებამდე ერთად ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში ღირებულების მითითებით ჩამოთვლილი უნდა იყოს ის ნივთები, რომლებიც ამ კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის (/ka/document/view/18442#part_94) შესაბამისად დარჩა მოვალესთან, აგრეთვე მოვალის სხვა ქონება, რომელიც სხვა პირებთან საერთო საკუთრებაში იმყოფება და რომელსაც ყადაღა არ დაედო.

3. ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტს ხელს აწერენ აღმასრულებელი, ქონების შემნახველი, კრედიტორი, მოვალე და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ქონებაზე ყადაღის დადებას.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 49. რეალიზაცია

1. ყადაღადადებულ ან მოვალის მიერ გადახდილ თანხას, საფასურის და აღსრულების ხარჯის გამოკლებით, აღსრულების ეროვნული ბიურო გადასცემს კრედიტორს.

2. სხვა ყადაღადადებულ ნივთებს აღსრულების ეროვნული ბიურო საჯაროდ ყიდის აუქციონზე.

3. (ამოღებულია).

4. აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე მოვალეს მისცეს შესაძლებლობა, თვითონ მოახდინოს ქონების რეალიზაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს კონტროლით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების რეალიზაციით დაიფარება საფასური, აღსრულების ხარჯი და კრედიტორის მოთხოვნები.

5. მოძრავი ნივთების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციამდე ან რეალიზაციის შემდეგ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, ამოიღოს ყადაღადადებული ნივთი მოვალის მფლობელობიდან.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 50. ყადაღადადებული მოძრავი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია

1. აღსრულების ეროვნული ბიურო ან მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სხვა პირი მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_96) გათვალისწინებულ შემთხვევაში – სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, მისი რეალიზაციის მიზნით აცხადებს საჯარო აუქციონს.

2. ყადაღადადებული მოძრავი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია ხდება ამ კანონის XIII თავით დადგენილი წესით, ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. თუ მოვალის ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე, რომლის იძულებითი წესით რეალიზაციასაც ითხოვს კრედიტორი, რეგისტრირებულია გირავნობის უფლება სხვა მოგირავნის/მოგირავნეების სასარგებლოდ, აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილი წესით ატყობინებს მოგირავნეს/მოგირავნეებს გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ და განუსაზღვრავს მას/მათ მოთხოვნების წარმოდგენის ვადას. შეტყობინების ჩაბარებისას მოგირავნეს/მოგირავნეებს ეცნობება/ეცნობებათ დადგენილ ვადაში მის/მათ მიერ თავისი/თავიანთი მოთხოვნების წარუდგენლობისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის სამართლებრივი შედეგების შესახებ. მოგირავნეს/მოგირავნეებს დამატებით არ ეცნობება/ეცნობებათ სააღსრულებო მოქმედებების და გასატარებელი ღონისძიებების კონკრეტული დრო.

4. სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის უფლების არსებობისას აღსრულების ეროვნული ბიურო ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ შეტყობინებას საგადასახადო ორგანოს არ უგზავნის, ხოლო საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა განისაზღვრება იძულებითი აუქციონის დასრულების დღისათვის საგადასახადო ორგანოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების (გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების) მიხედვით. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოთხოვნის დასაზუსტებლად მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

5. სხვა მოგირავნემ/მოგირავნეებმა შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროში უნდა წარადგინოს/წარადგინონ თავისი/თავიანთი ფულადი სახით გამოხატული მოთხოვნები. მოგირავნე/მოგირავნეები პასუხისმგებელი არის/არაიან წარდგენილი მოთხოვნების სისწორისთვის. მოგირავნეს/მოგირავნეებს ეკისრება/ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშობა მის/მათ მიერ წარდგენილი მოთხოვნების საფუძველზე ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის განაწილებით.

6. გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან პირველ რიგში დაიფარება საფასური და აღსრულების ხარჯი; შემდეგ დაკმაყოფილება მოგირავნეთა მოთხოვნები მათი რიგითობისა და აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის წარდგენილი მოთხოვნების მიხედვით. ყოველი შემდგომი რიგის მოგირავნის მოთხოვნა დაკმაყოფილება წინა რიგის მოგირავნის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

7. თუ სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის უფლება, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან, საფასურისა და აღსრულების ხარჯის დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში დაკმაყოფილება საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომელი რიგის მოგირავნედ არის იგი რეგისტრირებული.

8. თუ სარეალიზაციო ყადაღადადებულ მოძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის უფლების წინ რეგისტრირებულია საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სადაზღვევო ორგანიზაციის, საერთაშორისო ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის (/ka/document/view/32962#part_3) შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის უფლება, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან, საფასურისა და აღსრულების ხარჯის დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში დაკმაყოფილება ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები, ხოლო შემდეგ – საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა.

9. შემძენის საკუთრებაში ყადაღადადებული მოძრავი ქონების გადასვლის შედეგად უქმდება მასზე არსებული ყველა ყადაღა, სანივთო და ვალდებულებითი უფლებები, თუ შემძენი არ გამოთქვამს სურვილს, გახდეს ამ ქონებასთან არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის მხარე.

10. თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ (მათ შორის, ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით) და პირველ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც გადაეცემა ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს. თუ განკარგულება აღნიშნულ ვადაში არ გამოიგა, აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს პირველი განმეორებითი აუქციონის (თუ პირველ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი) ან ხელახალი აუქციონის (თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა) ჩატარებას.

11. თუ პირველ განმეორებით აუქციონზედაც არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც გადაეცემა ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს. თუ განკარგულება არ გამოიგა აღნიშნულ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს მეორე განმეორებითი აუქციონის (თუ პირველ განმეორებით აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი) ან ხელახალი აუქციონის (თუ გამარჯვებულმა პირმა ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა ქონების ფასი) ჩატარებას.

12. თუ მეორე განმეორებით აუქციონზედაც არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც გადაეცემა ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს. თუ განკარგულება არ გამოიგა აღნიშნულ ვადაში, ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და უზრუნველდება მოვალეს.

12¹. თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ (მათ შორის, ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით) და ჩატარდა ამ კანონის 75-ე მუხლის 8¹ პუნქტით განსაზღვრული ერთი აუქციონი და მასზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც გადაეცემა ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს. თუ განკარგულება აღნიშნულ ვადაში არ გამოიგა, ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და მოვალეს უზრუნველდება.

13. ნატურით გადაცემისას ქონების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს (/ka/document/view/1027449#) იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი	636 – სსმ I,	48, 16.12.2000 წ., მუხ.136	(/ka/document/view/17746#)
საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი	210 - სსმ I,	17, 28.07.2008წ., მუხ.126	(/ka/document/view/18820#)
საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი	1321 - სსმ I,	12, 29.06.2009წ., მუხ.57	(/ka/document/view/89332#)
საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი	3884- სსმ I,	72, 22.12.2010 წ., მუხ.438	(/ka/document/view/1147542#)
საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი	4207- ვებგვერდი,	10.03.2011წ.	(/ka/document/view/1232802#)
საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი	4827 - ვებგვერდი,	28.06.2011წ.	(/ka/document/view/1387361#)
საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი	5171 - ვებგვერდი,	07.11.2011წ.	(/ka/document/view/1504792#)
საქართველოს 2011 წლის 11 ნოემბრის კანონი	5265 - ვებგვერდი,	24.11.2011წ.	(/ka/document/view/1514990#)
საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი	5668- ვებგვერდი,	16.01.2012წ.	(/ka/document/view/1561418#)
საქართველოს 2012 წლის 30 მარტის კანონი	5978 – ვებგვერდი,	19.04.2012წ.	(/ka/document/view/1638061#)
საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი	1865 - ვებგვერდი,	30.12.2013წ.	(/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი	4628 - ვებგვერდი,	29.12.2015წ.	(/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 51. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი	210 - სსმ I,	17, 28.07.2008წ., მუხ.126	(/ka/document/view/18820#)
საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი	822 - სსმ I,	41, 30.12.2008წ., მუხ.300	(/ka/document/view/20572#)
საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი	3884- სსმ I,	72, 22.12.2010 წ., მუხ.438	(/ka/document/view/1147542#)
საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი	4827 - ვებგვერდი,	28.06.2011წ.	(/ka/document/view/1387361#)

მუხლი 52. ფასიანი ქაღალდები

ფასიანი ქაღალდებზე ვრცელდება მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადებისა და რეალიზაციის წესები.

მუხლი 53. სხვაგვარი რეალიზაცია

კრედიტორისა და მოვალის შეთანხმების შემთხვევაში, მათი განცხადების საფუძველზე, აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია დაადგინოს, რომ ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია უნდა მოხდეს სხვაგვარად, ვიდრე ამ კანონითაა განსაზღვრული.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი	210 - სსმ I,	17, 28.07.2008წ., მუხ.126	(/ka/document/view/18820#)
საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი	3884- სსმ I,	72, 22.12.2010 წ., მუხ.438	(/ka/document/view/1147542#)

მუხლი 54. მრავალჯერადი ყადაღის დადება და ფულად მოთხოვნათა აღსრულების რიგითობა

1. ქონებას ერთდროულად შეიძლება ყადაღა დაედოს მრავალი კრედიტორის სასარგებლოდ. ყადაღადადებულ ქონებას შეიძლება შემდეგ კიდევ დაედოს ყადაღა სხვა (შემდეგი) კრედიტორის სასარგებლოდ. თუ ქონებას პირველი ყადაღა დაადო სხვა აღმასრულებელმა, მას უნდა ეცნობოს ყადაღის დადების რეგისტრაციის შესახებ.

2. ერთი მოვალის მიმართ რამდენიმე სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ფულადი მოთხოვნების სხვადასხვა აღმასრულებლის მიერ აღსრულების შემთხვევაში მოვალის ერთი და იმავე ქონების აუქციონის წესით ან სხვაგვარ რეალიზაციის ახორციელებს ის აღმასრულებელი, რომელმაც ყველაზე ადრე დაარეგისტრირა ყადაღა იარაღსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოში, სამოქალაქო საპაერო ხომალდებზე – სამოქალაქო საპაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში, საზღვაო ხომალდებზე – საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში, ფასიანი ქაღალდებზე – ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებელ შესაბამის პირთან, ხოლო სხვა ქონებაზე – საჯარო რეესტრში. აღსრულების რიგითობა განისაზღვრება ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის დროის მიხედვით (სათობრივად და წუთობრივად).

2¹. ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების აღსრულების რეგითობის განსაზღვრის მიზნებისათვის, ამ კანონის მე-2 მუხლით (/ka/document/view/18442#part_5) გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების იძულებითი აღსრულებისას მოვალის ქონებაზე ყადაღა აღმასრულებლის მიერ დადებულად ითვლება აღნიშნულ ბრძანებასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყების მომენტიდან.

3. ყადაღის რეგისტრაცია ხდება უშუალოდ ყადაღის დადების დამადასტურებელი დოკუმენტის (აქტის), ამ დოკუმენტის (აქტის) ელექტრონული ასლის, აგრეთვე ყადაღის დადების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის საფუძველზე.

4. ამ კანონით გათვალისწინებული საფუძველებით ქონების რეალიზაციის შეჩერების შემთხვევაში ამ ქონებაზე აღსრულებას შემდეგი კრედიტორის სასარგებლოდ აგრძელებს ის აღმასრულებელი, რომლის ყადაღაც მომდევნო რიგშია რეგისტრირებული. ქონების რეალიზაციის შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შემდეგი კრედიტორის აღმასრულებელს.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1323 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.58 (/ka/document/view/89338#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2013 წლის 24 დეკემბრის კანონი 1834 - ვებგვერდი, 03.01.2014წ. (/ka/document/view/2169363#DOCUMENT:1;)

თავი X

მოთხოვნათა აღსრულება

მუხლი 55. ყადაღის დადების პრინციპი

1. მოვალის მოთხოვნაზე შეიძლება ყადაღის დადება, თუ კანონმდებლობა არ ზღუდავს მათ გადაცემას ან მათზე ყადაღის დადებას.
2. მოთხოვნებს, რომელიც მომავალში იქნება გადასახდელი, შეიძლება დაედოს ყადაღა, თუ მათი განსაზღვრა ნათლად შეიძლება.

მუხლი 56. ყადაღის დადების განკარგულება

1. თუ მოთხოვნას ყადაღა უნდა დაედოს, აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორის განცხადების საფუძველზე გამოსცემს განკარგულებას მასზე ყადაღის დადების შესახებ. განკარგულებაში აღნიშნული უნდა იყოს კრედიტორის პრეტენზიის საფუძველი, მის მიერ შესასრულებელი მოთხოვნები და ის, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული მოვალის მოთხოვნა (დავალებული პირი). ყადაღის დადებასთან ერთად გამოცემული უნდა იქნეს განკარგულება კრედიტორისათვის გადახდის თაობაზე.

2. ყადაღის დადების განკარგულება უნდა გადაეცეს დავალბულ პირს (პირი, რომელსაც იძულების წესით აღეწერება მასთან შენახული მოპასუხის ქონება). განკარგულება უნდა გაეგზავნოს კრედიტორსა და მოვალეს. დავალბული პირისათვის განკარგულების გადაცემით ყადაღა ქმედითი ხდება კრედიტორის პრეტენზიის ფარგლებში. მოვალეს აღარ აქვს უფლება, განკარგოს მოთხოვნები, დავალბულ პირს კი აღარ აქვს უფლება, შეასრულოს მოქმედება, რომელიც შეადგენს ვალდებულების შინაარსს. მან ყადაღადადებული თანხა უნდა გადაუხადოს კრედიტორს. სხვა მოქმედება, რომელიც შეადგენს ვალდებულების შინაარსს, უნდა შეასრულოს აღმასრულებელმა.

3. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების გამო გამოცემული ყადაღის დადების განკარგულება შეიძლება ამავე დროს შეეხოს კრედიტორის მოთხოვნის იმ ნაწილს, რომელიც მომავალში გახდება აღსასრულებელი.

4. ყადაღის დადების განკარგულება, რომელიც ეხება პრეტენზიებს ხელფასზე ან მსგავსი რეგულარული შემოსავლისაგან შემდგარ მოვალის პრეტენზიებს დავალბული პირის წინააღმდეგ, ვრცელდება აგრეთვე იმ თანხებზე, რომლებიც გადასახდელია ყადაღის დადების შემდეგ.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 57. ყადაღის დადების შედეგები

1. ყადაღის დადების შესახებ განკარგულება უფლებას ანიჭებს კრედიტორს მოთხოვოს მესამე პირს ისეთი მოქმედების მის სასარგებლოდ შესრულება, რომელიც მას უნდა შეესრულებინა თავისი მოვალის მიმართ.

2. ყადაღის დადების განკარგულება ძალაშია, თუნდაც ის უმართებულოდ იქნეს გაცემული დავალბული პირის სასარგებლოდ, მოვალის წინააღმდეგ, სანამ იგი არ გაუქმდება და ეს გაუქმება დავალბული პირისათვის არ გახდება ცნობილი.

3. მოვალე ვალდებულია კრედიტორს მისცეს პრეტენზიის აღმგვისათვის საჭირო ინფორმაცია და, აგრეთვე, ამ პრეტენზიის შესახებ არსებული დოკუმენტები. კრედიტორს შეუძლია მათ მიღებას მიაღწიოს იძულებითი აღსრულების გზით.

4. მოთხოვნაზე ყადაღის დადების შესახებ განკარგულების საფუძველზე კრედიტორს უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი დავალბული პირის წინააღმდეგ.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

მუხლი 58. დავალბული პირის განცხადება

დავალბულმა პირმა ყადაღის დადების განკარგულების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში აღმასრულებელსა და კრედიტორს უნდა განუცხადოს:

- ა) აღიარებს თუ არა პრეტენზიას და თუ აღიარებს, რამდენად არის მზად გადახდისათვის;
- ბ) აღძრავს თუ არა სხვა პირები პრეტენზიებს მოთხოვნაზე და თუ აღძრავს – რომელს;
- გ) მოხდა თუ არა მოვალის მოთხოვნაზე ყადაღის დადება და თუ მოხდა – რომელი პრეტენზიის გამო.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 59. მრავალჯერადი ყადაღა. უარი ყადაღადადებულ მოთხოვნაზე

1. მოთხოვნაზე მრავალჯერადი ყადაღის დადებისას კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილება იმ რეგითობის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მესამე დავალბულ პირს გადაეცა განკარგულება მოთხოვნაზე ყადაღის დადების შესახებ. მოთხოვნაზე ყადაღის დადების შესახებ განცხადების ერთდროულად წარდგენისას კრედიტორები დაკმაყოფილებიან მათი მოთხოვნების პროპორციულად.

2. მრავალჯერადი ყადაღის დადებისას დავალბული პირი ვალდებულია განახორციელოს გადახდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით, რომელიც ამოღებულ თანხას ანაწილებს ამ მუხლით დადგენილი წესით.

3. კრედიტორს უფლება აქვს, უარი თქვას ყადაღის დადების შესახებ განკარგულების გზით მოპოვებულ მოთხოვნებზე ისე, რომ არ დაირღვეს სააღსრულებო საბუთებში მოცემული მისი უფლებები. უარის თქმისას აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაეცემა განცხადება.

განცხადება აგრეთვე უნდა გადაეცეს დავალებულ პირს.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 60. ვინდიკაციების ყადაღის დადება

1. ნივთის გადაცემაზე მოთხოვნების დროს ყადაღის დადების შესახებ განკარგულებაში უნდა განისაზღვროს, რომ დავალებულმა პირმა ნივთი უნდა გადასცეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. იძულებითი ქმედება დავალებული პირის წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ კრედიტორი ნივთის გადმოცემაზე მოიპოვებს აღმასრულებელ დოკუმენტს დავალებული პირის წინააღმდეგ.

2. თუ ხდება მოძრავი ნივთის გადაცემა, მისი რეალიზაციისათვის გამოიყენება ყადაღად დადებული მოძრავი ნივთების რეალიზაციის წესი.

3. თუ გადასაცემა უძრავი ნივთი, მისი რეალიზაციისათვის გამოიყენება უძრავი ქონების მიმართ აღსრულების წესი.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი XI

აღსრულება უძრავ ქონებაზე

მუხლი 61. გამოყენების სფერო

უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

მუხლი 62. აღსრულების ექვემდებარება

1. აღსრულებას ახორციელებს ის სააღსრულებო ბიურო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც იმყოფება უძრავი ქონება.

2. უძრავი ქონების სხვადასხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში ან/და ერთი და იმავე მოვალის მიმართ ორი ან მეტი სააღსრულებო ბიუროს მიერ აღსრულების განხორციელებისას გადაწყვეტილებას აღსრულების ექვემდებარების შესახებ იღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

3. (ამოღებულია – 17.06.2011, 4827). (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 63. აღსრულების სახეები

1. უძრავ ქონებაზე აღსრულება ხდება იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციით, იძულებითი აუქციონით ან სეკვესტრით (ქონების იძულებითი მართვით).

2. კრედიტორი აღსრულების ეროვნულ ბიუროში იძულებითი აღსრულების დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენისას განსაზღვრავს აღსრულების სახეს. მას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ერთდროულად განხორციელდეს აღსრულების რამდენიმე სახე.

3. კრედიტორს მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე უფლება აქვს, რამდენჯერმე მოითხოვოს იძულებითი აღსრულების ერთი სახის სხვა სახით შეცვლა, მათ შორის, აღსრულების სახის შეცვლამდე გამოყენებული აღსრულების სახის გამოყენება.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

მუხლი 63¹. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება

1. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და შესაბამისად მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფურუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვნის, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადება – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. ზათილია ყადაღად დადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონი 2640 - სსმ I, 5, 20.01.2006წ., მუხ.48 (/ka/document/view/25750#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 63². უძრავი ქონების სხვაგვარი რეალიზაცია

1. მოვალეს, რომლის მიმართაც დაწყებულია სააღსრულებო წარმოება თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებით, უფლება აქვს, მიმართოს აღმასრულებელს და მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევა. ასეთი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს სარეალიზაციო ქონების ზუსტ აღწერილობას და ამ ქონების საწყის ფასს, რომელსაც განსაზღვრავს თავად შესაბამისი და რომელიც არ უნდა იყოს აღსრულებული მოთხოვნის, აღსრულების საფასურის, აღსრულების ხარჯებისა და სააუქციონო მომსახურების საფასურის ჯამზე ნაკლები. აღმასრულებელი ვალდებულია შეასრულოს წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნა. ეს მოთხოვნა აღმასრულებელს წერილობით წარედგინება. მას უნდა დაერთოს სააუქციონო მომსახურების საფასურის, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ მოთხოვნას ასევე უნდა დაერთოს ამ მოთხოვნით მიმართვამდე არაუმეტეს 2 სამუშაო დღით ადრე განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სარეალიზაციო უძრავი ქონების შესახებ და ამ ქონების აღწერილობის ამსახველი მასალა (ფოტოები, ნახაზები, რეალიზაციის ხელშეწყობისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია). მოვალის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სისწორისა და ნამდვილობისათვის პასუხისმგებელია თავად მოვალე.

აღმასრულებელი პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

2. წინმსწრები სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ აღმასრულებლისათვის წარდგენილი მოთხოვნა კმაყოფილდება მისი წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მომდევნო 2 სამუშაო დღის განმავლობაში დადგენილი წესით ცხადდება აუქციონი. თუ აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაუცველად, აღმასრულებელი ვალდებულია მოთხოვნის წარმდგენ პირს აცნობოს ნაკლოვანების შესახებ, ნაკლოვანების ზუსტი მითითებით, და მოსთხოვოს მისი 3 სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრა. ნაკლოვანების ამ ვადაში აღმოფხვრელობის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა განუხილველი რჩება, რაც იმავე პირს არ ართმევს უფლებას, ხელმოკრედ წარადგინოს იგივე მოთხოვნა სათანადო ვადის გათვალისწინებით. ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადა აითვლება ამ კანონით დადგენილი წესით მოვალისათვის წერილობითი შეტყობინების ჩაბარების დღიდან, რაც ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ასეთი ვადის დაწყების შესახებ აღმასრულებლის წერილობითი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აისახება საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში. მოვალეს უფლება აქვს, ნაკლოვანების აღმოფხვრის ვადის განმავლობაში მოითხოვოს ამ ვადის არაუმეტეს 2 სამუშაო დღით გაგრძელება. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

3. წინმსწრები აუქციონი ტარდება აუქციონის ჩატარებისათვის ამ კანონით დადგენილი წესით. ქონების საწყის ფასად განისაზღვრება მოვალის მიერ წინმსწრები სააუქციონო მომსახურების შესახებ მოთხოვნაში მითითებული ფასი. წინმსწრები აუქციონი ერთხელ ტარდება და მისი უშედეგოდ დასრულება არ წარმოშობს აუქციონის ხელმოკრედ ან დამატებით ჩატარების ვალდებულებას.

4. წინმსწრებ აუქციონზე ქონების რეალიზაციის შემთხვევაში შემდგომი სასარგებლოდ გაიცემა განკარგულება ამ კანონით დადგენილი წესით. აუქციონში გამარჯვებულს წარმოეშობა ამავე კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

5. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის დღისათვის იმავე პუნქტში აღნიშნული მოვალის მიმართ დაწყებულია და მიმდინარეობს სხვა სააღსრულებო წარმოება, აუქციონზე სარეალიზაციო ქონების საწყისი ფასი არ უნდა იყოს ყველა ასეთი აღსასრულებელი მოთხოვნის, აღსრულების საფასურის, აღსრულების ხარჯისა და სააუქციონო მომსახურების საფასურის ჯამზე ნაკლები.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია აღსრულების დაწყების შესახებ მოვალის დადგენილი წესით ინფორმირების დღიდან მომდევნო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ამავე მუხლით განსაზღვრული წესით წინმსწრები აუქციონის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ კრედიტორის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

7. ამ მუხლით განსაზღვრული წესით წინმსწრები აუქციონის ჩატარება დასაშვებია ერთი სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მხოლოდ ერთხელ. ამ უფლების ყოველი შემდგომი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კრედიტორის წერილობითი თანხმობით.

8. ამ მუხლით განსაზღვრული წესით წინმსწრები აუქციონის ჩატარების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, თუ მოვალემ სხვა სააღსრულებო წარმოებაში გაუშვა ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ვადა და ეს სააღსრულებო წარმოება დასრულებული არ არის.

9. კრედიტორისა და მოვალის შეთანხმების შემთხვევაში, მათი განცხადების საფუძველზე, აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია დაადგინოს, რომ ყადაღადადებული უძრავი ქონება რეალიზებული იქნება ამ კანონით განსაზღვრულისგან განსხვავებული წესით.

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

თავი XII

იძულებითი იპოთეკა

მუხლი 64. იძულებითი იპოთეკის გამოყენება

1. იძულებითი იპოთეკის შეტანა რეესტრში ხდება კრედიტორის განცხადების საფუძველზე. იძულებითი იპოთეკა იწყება რეგისტრაციით. უძრავი ქონება ასევე წარმოადგენს რეგისტრაციის ხარჯების გარანტიას, რომელიც ეკისრება მოვალეს.

2. თუ იძულებითი იპოთეკით იტვირთება მოვალის რამდენიმე უძრავი ქონება, მაშინ მოთხოვნის თანხა უნდა განაწილდეს შესაბამის უძრავ ქონებაზე. განაწილების მოცულობას განსაზღვრავს კრედიტორი.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 - სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

მუხლი 65. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 66. იძულებითი იპოთეკის მოპოვება მესაკუთრის მიერ

თუ აღსასრულებელი გადაწყვეტილების მეშვეობით სააღსრულებო საბუთი უქმდება ან აღსრულება დაუშვებლად ცხადდება, მაშინ იძულებითი იპოთეკა გადადის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა მოვალე აკმაყოფილებს კრედიტორს.

თავი XIII

იძულებითი აუქციონი

მუხლი 67. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 - სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

მუხლი 68. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 69. იძულებითი აუქციონის პირობები

1. იძულებით აუქციონს ამ კანონით დადგენილი წესით ატარებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა პირი მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს იძულებითი აუქციონის ჩატარებას. ამ შემთხვევაში იძულებითი აუქციონი ტარდება ქონებაზე ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით (/ka/document

/view/18442#part_96) გათვალისწინებულ შემთხვევაში – სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში.

1¹. თუ მოვალე საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრედ, აღსრულების ეროვნული ბიურო საჯარო რეესტრის მეშვეობით უზრუნველყოფს ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ინფორმაციის მოძიებას უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის ან/და ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში მოვალის სახელზე რიცხული ქონების თაობაზე.

1². თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან მოძიებული შესაბამისი ცნობით დადასტურდება, რომ მოვალის სახელზე ირიცხება უძრავი ქონება, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონებას და განახორციელოს აღსრულება ამ კანონით დადგენილი წესით. მოვალე ან პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ქონება მას ეკუთვნის, უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინოს საკუთრების უფლების დამდგენი მტკიცებულებები, რომელთა სარწმუნოდ მიჩნევის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო არ განახორციელებს ან/და გააუქმებს ამ ქონების მიმართ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ქონების რეალიზაციის შემთხვევაში მისი შემძენი ხდება ამ ქონების მესაკუთრე. მესამე პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქონების რეალიზაციის შედეგად მისი უფლება დაირღვა ან/და მას მიაღდა ზიანი, უფლებამოსილია მოვალეს წაუყენოს პრეტენზია.

1³. თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით და მოვალის რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებულ ქონებაზე საკუთრების უფლება დაუდგენელია, აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ამ ქონებაზე მოვალის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის საფუძველზედაც აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს ქონების რეგისტრაციის (მათ შორის, დაუზუსტებელი მახასიათებლებით რეგისტრაციის) შესახებ.

2. (ამოღებულია).

3. ყადაღადადებულ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ წარმოებაში მიღებული სხვა აღსასრულებელი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იძულებითი აუქციონის შედეგად შემოსული თანხა აჭარბებს საფასურს, აღსრულების ხარჯს და იმ კრედიტორთა მოთხოვნებს, რომელთა სასარგებლოდაც ტარდება იძულებითი აუქციონი. ამასთანავე, დარჩენილი თანხა აღარ უზრუნველავს მოვალეს და მას აღსრულების ეროვნული ბიურო ყადაღას ადებს სხვა კრედიტორის სასარგებლოდ.

4. ქონებაზე სხვადასხვა აღმასრულებლის მიერ მრავალჯერადი ყადაღის დადების შემთხვევაში ამ ქონებაზე აუქციონს ატარებს ის აღმასრულებელი, რომელმაც ყველაზე ადრე დაარეგისტრირა ყადაღა მარეგისტრირებელ ორგანოში.

4¹. ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში სარეალიზაციო ქონებაზე აუქციონს ატარებს ამ გადაწყვეტილების აღმასრულებელი, მიუხედავად სხვა აღმასრულებლის მიერ აღნიშნულ ქონებაზე დარეგისტრირებული ყადაღისა.

5. (ამოღებულია).

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი	2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)
საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი	636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი	210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი	822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი	2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი	3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი	4207- ვებგვერდი, 10.03.2011წ. (/ka/document/view/1232802#)
საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი	4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი	5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)
საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი	6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)
საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი	4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 70. აუქციონის შეჩერებისა და შეწყვეტის დაუშვებლობა

1. იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით (/ka/document/view/18442#part_80) გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

(მაღადაკარგულია 70-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების: „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კოტროლის გარეშე) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება 1/2/596 - ვებგვერდი, 12.10.2016წ. (/ka/document/view/3410240#)

2. (ამოღებულია).

3. მოვალე ან მოვალის ინტერესებისათვის სხვა პირი უფლებამოსილია გადაიხადოს საფასურის, აღსრულების ხარჯისა და კრედიტორის მოთხოვნის დასაფარავად საჭირო თანხა იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე. იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ მოვალის ან მოვალის ინტერესებისათვის სხვა პირის მიერ საფასურის, აღსრულების ხარჯისა და კრედიტორის მოთხოვნის დაფარვის მიზნით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო აუქციონის დასრულების შემდეგ გაანაწილებს თანხას საერთო წესით. თუ მოვალის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხული თანხის და აუქციონზე ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის ჯამი გადააჭარბებს აღსრულების საფასურის, აღსრულების ხარჯისა და კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას, აღსრულების ეროვნული ბიურო ნამეტ თანხას დაუბრუნებს მოვალეს, თუკი მოვალის მიმართ არ მიმდინარეობს სხვა სააღსრულებო წარმოება იმავე ან/და სხვა კრედიტორის სასარგებლოდ და ასეთი წარმოების ფარგლებში მოვალეს არ ეკისრება რაიმე სახის გადახდევინება.

4. (ამოღებულია).

საქართველოს 2007 წლის 28 მარტის კანონი	4524 - სსმ I, 9, 31.03.2007წ., მუხ.89 (/ka/document/view/23584#)
საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი	210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი	2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი	3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება 1/2/596 - ვებგვერდი, 12.10.2016წ. (/ka/document/view/3410240#)

მუხლი 71. იძულებითი აუქციონის ჩატარების წესი

იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმები, წესი და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1193802#).

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 - სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

მუხლი 72. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2798 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.85 (/ka/document/view/91870#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

მუხლი 73. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

მუხლი 74. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

მუხლი 75. აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების მიღება

1. (ამოღებულია - 17.06.2011, 4827). (/ka/document/view/1387361#)

2. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

(შეჩერდეს 75-ე მუხლის მე-3 პუნქტის იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც უშვებს მათსავე მფლობელობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირის წილზე საკუთრების უფლების შესახებ განკარგულების ისეთ სუბიექტზე გამოცემას, რომლის მიერ წილის შეძენაც მათსავე მფლობელობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებულ პირს აქცევს „მათსავე მფლობელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით (/ka/document/view/32866#part_46) გათვალისწინებულ სუბიექტად) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის განმწესრიგებელი სხდომის საოქმო ჩანაწერი 2/1/1311 - ვებგვერდი, 13.02.2019წ. (/ka/document/view/4478385#DOCUMENT:1;)

4. თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ არის უზრუნველყოფილი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება. თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს იპოთეკარი/მოფინანსებელი, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა სანივთო უფლება (გარდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებისა), რომლებიც ქონებაზე რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. თუ იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი იპოთეკარები არიან საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სადაზღვევო ორგანიზაცია, საერთაშორისო ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის (/ka/document/view/32962#part_3) შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ქონებაზე ასეთი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება. ქონებაზე ადრე რეგისტრირებული უფლებები (მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება) ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩება.

4¹. (ამოღებულია).

5. სააღსრულებო წარმოებისას გაყიდული ქონების ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში ამ ქონების ფლობასთან ან/და ამ ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

6. ქონების ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ქონებაზე.

7. (ამოღებულია - 17.06.2011, 4827). (/ka/document/view/1387361#)

8. თუ დადგენილი წესით ჩატარებული აუქციონი, რომელიც შედეგად პირველი აუქციონისა და ორი განმეორებითი აუქციონისაგან, უშედეგო აღმოჩნდა და ქონება არ გაიყიდა, ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან. ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოება ადარ განხორციელდება. აღნიშნული ქონება უზრუნველდება მოვალეს, გარდა ამ კანონის 69-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც ქონებაზე აღსრულებას გააგრძელებს ის აღმასრულებელი, რომლის ყადაღაც მომდევნო რიგშია

რეგისტრირებული.

8¹. თუ ქონების საბაზრო ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ტარდება მხოლოდ ერთი აუქციონი, რომლის საწყისი ფასი დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1193802#). იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი წესით ჩატარებულ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, მოქმედებს ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესი.

9. (ამოღებულია – 28.10.2011, 5171) (/ka/document/view/1504792#).

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 - სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)
 საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2798 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.85 (/ka/document/view/91870#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
 საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)
 საქართველოს 2011 წლის 11 ნოემბრის კანონი 5265 - ვებგვერდი, 24.11.2011წ. (/ka/document/view/1514990#)
 საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)
 საქართველოს 2012 წლის 30 მარტის კანონი 5978 – ვებგვერდი, 19.04.2012წ. (/ka/document/view/1638061#)
 საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)
 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის განმეორებული სხდომის საოქმო ჩანაწერი 2/1/1311 – ვებგვერდი, 13.02.2019წ. (/ka/document/view/4478385#DOCUMENT:1;)

მუხლი 76. აუქციონის შედეგების გაუქმება

თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონის 75-ე მუხლით (/ka/document/view/18442#part_129) დადგენილ ვადაში, იგი კარგავს აუქციონის ჩატარების დღეს გარანტიის სახით წარმოდგენილ თანხას, რომელიც მიეკვევა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას ჩატარებული აუქციონის შედეგის გაუქმების შესახებ და მისი გამოცემიდან 3 დღის ვადაში აცხადებს ხელახალ აუქციონს, რომელიც არ ჩაითვლება განმეორებით აუქციონად.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 76¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2798 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.85 (/ka/document/view/91870#)
 საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
 საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

მუხლი 77. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
 საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)
 საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)
 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
 საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

მუხლი 77¹. ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში ნატურით გადაცემა

1. თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ (მათ შორის, ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით) და პირველ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება აღნიშნულ ვადაში არ გამოიცა, აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს პირველი განმეორებითი აუქციონის (თუ პირველ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი) ან ხელახალი აუქციონის (თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა) ჩატარებას.

2. თუ პირველ განმეორებით აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება არ გამოიცა აღნიშნულ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს მეორე განმეორებითი აუქციონის (თუ პირველ განმეორებით

აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი) ან ხელახალი აუქციონის (თუ გამარჯვებულმა პირმა ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა ქონების ფასი) ჩატარებას.

2¹. თუ მეორე განმეორებით აუქციონზედაც არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა ამ კანონით დადგენილ ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება არ გამოიცა აღნიშნულ ვადაში, ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და უბრუნდება მოვალეს.

2². თუ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ (მათ შორის, ამ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით) და ჩატარდა ამ კანონის 75-ე მუხლის 8¹ პუნქტით განსაზღვრული ერთი აუქციონი და მასზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ან თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, რომელიც ეგზავნება მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონებაზე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნით. თუ განკარგულება აღნიშნულ ვადაში არ გამოიცა, ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და მოვალეს უბრუნდება.

3. სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულების ასლი ეგზავნება სახელმწიფო ქონების მართვაზე/განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს და იმ ორგანოს, რომელიც მონაწილეობდა სააღსრულებო წარმოებაში.

4. სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება უნდა შეიცავდეს:

- ა) ქონების მესაკუთრის (მოვალის) მონაცემებს;
- ბ) ქონების დასახელებას (მდებარეობას) და მოკლე დახასიათებას;
- გ) ქონების მიმღების დასახელებას;
- დ) ქონების ღირებულებას.

5. ნატურით გადაცემისას ქონების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს (/ka/document/view/1193802#) იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1193802#).

6. არაუბრუნველყოფილი მოთხოვნის შემთხვევაში სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას ამ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სანივთო უფლებები უცვლელი რჩება.

7. უბრუნველყოფილი მოთხოვნის, მათ შორის, ქონებაზე რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას უქმდება ამ გირავნობის/იპოთეკის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სანივთო უფლებები.

8. ქონების ნატურით მიღების შემთხვევაში სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში ამ ქონების ფლობასთან ან/და ამ ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი	636 – სსმ I,	48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი	210 - სსმ I,	17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)
საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი	822 - სსმ I,	41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)
საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი	1321 - სსმ I,	12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)
საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი	1323 - სსმ I,	12, 29.06.2009წ., მუხ.58 (/ka/document/view/89338#)
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი	2459 - სსმ I,	49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი	2798 - სსმ I,	14, 30.03.2010წ., მუხ.85 (/ka/document/view/91870#)
საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი	2797 - სსმ I,	14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)
საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი	3167 - სსმ I,	34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)
საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი	3884 - სსმ I,	72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)
საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი	4827 - ვებგვერდი,	28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი	5171 - ვებგვერდი,	07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)
საქართველოს 2011 წლის 11 ნოემბრის კანონი	5265 - ვებგვერდი,	24.11.2011წ. (/ka/document/view/1514990#)
საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი	5668- ვებგვერდი,	16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)
საქართველოს 2012 წლის 30 მარტის კანონი	5978 – ვებგვერდი,	19.04.2012წ. (/ka/document/view/1638061#)
საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი	1865 - ვებგვერდი,	30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)
საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი	4628 - ვებგვერდი,	29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 7². სამართლებრივი აქტების გამოცემა მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს სამართლებრივი აქტები, მათ შორის, ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის, აუქციონის შედეგის გაუქმების შესახებ განკარგულებები, შეიძლება გამოიცეს მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით და გამოქვეყნდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ან სხვა ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელსაც განსაზღვრავს (/ka/document/view/1193802#) საქართველოს იუსტიციის მინისტრი (/ka/document/view/1193802#).

2. (ამოღებულია - 21.04.2017, 652) (/ka/document/view/3648296#DOCUMENT:1;).

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი	4827 - ვებგვერდი,	28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)
საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი	5668- ვებგვერდი,	16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)
საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი	652 - ვებგვერდი,	10.05.2017წ. (/ka/document/view/3648296#DOCUMENT:1;)

თავი XIV

სეკვესტრი (იძულებითი მართვა)

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

მუხლი 78. სექცეპტრი

1. იძულებითი აღსრულების ყველა ეტაპზე, კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე და ამ კანონით დადგენილი წესით, აღსრულებას დაქვემდებარებული მოვალის კუთვნილი ქონება იძულებითი სამართავად შეიძლება გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველს, ხოლო თუ საქმე აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნულ მმართველს, ან თვით მესაკუთრეს.

2. იძულებითი მართვის მიზანია ვალდებულების შეძლებისდაგვარად მცირე დროში შესრულება მოვალის საკუთრებაში არსებული ქონების სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებით მიღებული შემოსავლების ხარჯზე, რითაც, მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, თავიდან იქნება აცილებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია.

3. თუ იძულებითი მართვით მოსალოდნელია აღსასრულებელი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში და მოვალის საკუთრებაში არსებული სარეალიზაციო ქონების საზაზრო ღირებულება არანაკლებ ათჯერ აღემატება აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობას, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოვალის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით, კრედიტორის თანხმობის მიუხედავად, მიიღოს გადაწყვეტილება იძულებითი მართვის არაუმეტეს 3 თვის ვადით გამოყენების შესახებ. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 1 თვით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, თუ საქმე კერძო აღმასრულებლის წარმოებაშია, მოვალე უფლებამოსილია კერძო აღმასრულებელს მოსთხოვოს იძულებითი მართვის გამოყენება. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია გამოიყენოს იძულებითი მართვა კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებულ საქმეზე სააუქციონო მომსახურების გაწევის სტადიაზე, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე. კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებულ საქმეზე იძულებით მართვას აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ამ თავით დადგენილი წესით.

5. ამ კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილი ქონების იძულებითი მართვა არ ხორციელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვალე თანახმაა, რომ ეს ქონება გამოიყენებულ იქნეს იძულებითი სამართავად, თუ იძულებითი მართვის შედეგად შესაძლებელია ვალდებულების შესრულება.

6. იძულებითი მართვის შედეგად ამოღებული თანხები (მიმდინარე ხარჯების გამოკლებით) შეტანილი უნდა იქნეს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, რის შესახებაც მმართველი აცნობებს აღმასრულებელს.

7. მმართველი და აღმასრულებელი ვალდებული არიან, აცნობონ სასამართლოს, ხოლო თუ იძულებითი მართვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ – აღსრულების ეროვნულ ბიუროს, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიურო იღებს გადაწყვეტილებას იძულებითი მართვის შეწყვეტის შესახებ.

8. ამ მუხლის თანახმად სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნული იძულებითი მართვის დროს გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 310-ე მუხლის ნორმები.

9. იძულებითი მართვის გამოყენება დაუშვებელია, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია, ან თუ ის არ უზრუნველყოფს იმ პირობების შექმნას, რომლებიც აუცილებელია იძულებითი მართვის ნორმალურ პირობებში განსახორციელებლად.

10. იძულებითი მართვის გამოყენების შემთხვევაში იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიებები ჩერდება იძულებითი მართვის პერიოდით. ამ პერიოდში მოქმედებს ქონების მიმართ იძულებითი მართვის გამოყენებამდე დაწესებული შეზღუდვები.

11. იძულებითი მართვა წყდება და აღსრულება ზოგადი წესის შესაბამისად გრძელდება, თუ:

ა) იძულებითი მართვის შედეგად არ დაიფარა ვალდებულება და, იმავდროულად, არ არსებობს იძულებითი მართვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი;

ბ) დაირღვა იძულებითი მართვის პირობები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია დარღვევის მცირე დროში, იძულებითი მართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტამდე აღმოფხვრა);

გ) იძულებითი მართვის პერიოდში გამოვლინდა სხვა გარემოება, რომელიც სამართლებრივი ან ფაქტობრივი თვალსაზრისით გამორიცხავს იძულებითი მართვის გამოყენებას.

12. იძულებითი მართვის გამოყენება დაუშვებელია, თუ იძულებითი მართვის განხორციელების პროცესში რაიმე ფორმით იზღუდება მესამე პირის ინტერესები. ამ შემთხვევაში იძულებითი მართვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მესამე პირის წინასწარი თანხმობით. მესამე პირის ინტერესების შეზღუდვის თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე იძულებითი მართვა წყდება.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

მუხლი 79. მმართველი

1. მმართველს ნიშნავს იძულებითი მართვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები. მმართველი არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს წევრი ან ამ გადაწყვეტილების მიმღების ახლო ნათესავი.

2. იძულებითი მართვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ამ გადაწყვეტილების მიღებისას კრედიტორისა და მოვალის მოსმენის შემდეგ მმართველს აძლევს საჭირო მითითებებს, ადგენს მმართველის კუთვნილ ანაზღაურებას და თვალყურს ადევნებს მის მიერ საქმის წარმოებას. მას შეუძლია გაათავისუფლოს მმართველი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო.

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებითი მართვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მმართველად ინიშნება აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი. მმართველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის ოდენობის განსაზღვრის წესი მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. თუ იძულებითი მართვის განხორციელების პროცესში აუცილებელია სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტის მონაწილეობა, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია იძულებითი მართვით მიღებული შემოსავლების ნაწილი გამოიყენოს იძულებითი მართვის განხორციელების პროცესში ამ პირის მონაწილეობის დასაფინანსებლად ან მმართველად დანიშნოს ეს პირი.

4. მმართველად კრედიტორის დანიშვნისთვის საჭიროა მისი თანხმობა. სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიურო მმართველად დანიშნულ კრედიტორს იძულებითი მართვის განხორციელების პროცესში უნიშნავს ზედამხედველს და ადგენს მის კუთვნილ ანაზღაურებას. თუ კრედიტორი არღვევს როგორც თავის, ისე მმართველის მოვალეობებს, ზედამხედველი ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სასამართლო/აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ზედამხედველად შეიძლება დანიშნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი. ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის ოდენობის განსაზღვრის წესი მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884 - სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

მუხლი 80. ხარჯები

ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონების მართვასთან და მიწის ნაკვეთის ჩვეულებრივ სამეურნეო გამოყენებასთან, მმართველმა უნდა აანაზღაუროს უშუალოდ შემოსავლებიდან.

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

მუხლი 81. მმართველის პასუხისმგებლობა. ანგარიშის წარდგენა

მმართველი პასუხს აგებს ყველა ვალდებულებისათვის, რომლებიც მას აქვს ყველა მონაწილე მხარის მიმართ. ის ვალდებულია ნახევარ წელიწადში ერთხელ და მმართველობის დასასრულს წარადგინოს ანგარიში. მმართველის ანგარიში წარედგინება აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც, თავის მხრივ, მას წარუდგენს კრედიტორსა და მოვალეს.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

მუხლი 82. მოვალე მმართველის როლში

1. სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო მეურნეობის ანდა საბაღე მიწის ნაკვეთის სეკვესტრის დროს მმართველად ინიშნება მოვალე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელი არ არის მის მიერ მმართველობის წესიერად წარმართვა.

2. სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიურო მმართველად დანიშნულ მოვალეს უნიშნავს ზედამხედველს და ადგენს მის კუთვნილ ანაზღაურებას. თუ მოვალე არღვევს როგორც თავის, ისე მმართველის მოვალეობებს, ზედამხედველი ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სასამართლოს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ზედამხედველად შეიძლება დანიშნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი. ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის ოდენობის განსაზღვრის წესი მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

3. მოვალე, როგორც მმართველი, არ იღებს ანაზღაურებას. საჭიროების შემთხვევაში სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიურო ზედამხედველის მოსმენის შემდეგ ადგენს, თუ რა რაოდენობით შეიძლება მოიხმაროს მოვალემ მიწის ნაკვეთის შემოსავალი და მისი ამონაგები თავისი და ოჯახის წევრების აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი 1865 - ვებგვერდი, 30.12.2013წ. (/ka/document/view/2169333#DOCUMENT:1;)

თავი XIV¹

გადახდევინებული თანხების განაწილება კრედიტორთა შორის

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

მუხლი 82¹. მოვალისაგან ამოღებული თანხის განაწილების წესი

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალისათვის გადახდევინებული (მისი ქონების რეალიზაციიდან მიღებული) თანხით ჯერ დაიფარება საფასური და ამ კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_85) გათვალისწინებული აღსრულების ხარჯი, ხოლო დანარჩენი თანხა გაიცემა იმ კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელთა სასარგებლოდაც განხორციელდა იძულებითი აღსრულება. ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა უზრუნველდება მოვალეს ან მას ედება ყადაღა სხვა კრედიტორის სასარგებლოდ.

2. მოვალისათვის გადახდევინებული თანხა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შეიტანება თავის სადეპოზიტო ანგარიშზე და შემდეგ გაიცემა დადგენილი წესით.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 82². კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგი

1. თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა კრედიტორთა შორის ნაწილდება ამ კანონის 82³ მუხლით (/ka/document/view/18442#part_144) დადგენილი რიგის დაცვით.

2. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

3. თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილება თითოეული კრედიტორისათვის მიკუთვნილებული თანხის პროპორციულად.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

მუხლი 82³. პირველი, მეორე და მესამე რიგის მოთხოვნები

1. იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარმოდგენილი მოთხოვნები, მათი არსებობის შემთხვევაში, ხოლო შემდეგ – იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი სხვა მოთხოვნები მათი რიგითობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულების პროცესში კრედიტორების სახით ერთდროულად მონაწილეობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნით და საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის (/ka/document/view/32962#part_3) შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა გირავნობის/იპოთეკის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილება ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში,

1¹. თუ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის (/ka/document/view/32962#part_3) შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობას იპოთეკას, რომელიც რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, უსწრებს სხვა პირის გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაცია,

მაშინ ამ პირის მოთხოვნები უპირატესად დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე ამ პუნქტით გათვალისწინებული საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის (/ka/document/view/32962#part_3) შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების რეგისტრირებული, გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნების იმ ნაწილში, რომლის დაკმაყოფილების ვალდებულებაც არსებობდა რეალიზებულ ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე. ნივთის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის დანარჩენი ნაწილით დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, ხოლო შემდეგ დაკმაყოფილდებიან დარჩენილი

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული თანხიდან მეორე რიგში, ხოლო სხვა თანხებიდან პირველ რიგში დაკმაყოფილდება მოთხოვნები:

ა) ალიმენტის გადახდევინების შესახებ;
 ბ) შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე;
 გ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ;

დ) დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ;

ე) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში თანხების გადახდის შესახებ;

ვ) ჩვეისა და თამასუქის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული თანხიდან მესამე რიგში, ხოლო სხვა თანხიდან მეორე რიგში დაკმაყოფილდება ყველა სხვა მოთხოვნა.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2798 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.85 (/ka/document/view/91870#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი 4827 - ვებგვერდი, 28.06.2011წ. (/ka/document/view/1387361#)

საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი 5171 - ვებგვერდი, 07.11.2011წ. (/ka/document/view/1504792#)

საქართველოს 2012 წლის 30 მარტის კანონი 5978 – ვებგვერდი, 19.04.2012წ. (/ka/document/view/1638061#)

მუხლი 82⁴. გაანგარიშების შედეგადა

1. მრავალი კრედიტორის არსებობისას, თუ მოვალისათვის გადახდევინებული თანხა არ არის საკმარისი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღსრულების ეროვნული ბიურო ადგენს კრედიტორთა შორის თანხის განაწილების გაანგარიშებას და თანხას გასცემს მის შესაბამისად.

2. თუ რომელიმე კრედიტორი შედგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით გამოთქვამს პრეტენზიას, აღსრულების ეროვნული ბიურო გაანგარიშებას დასამტკიცებლად 3 დღის ვადაში წარუდგენს სასამართლოს.

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი გაანგარიშების დამტკიცების ან შეცვლის შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი XV

აღსრულება ნივთების გადაცემისა და მოქმედების შესრულების მიზნით

მუხლი 83. მოძრავი ნივთის გადაცემა

1. თუ მოვალემ უნდა გადასცეს მოძრავი ნივთი, მაშინ აღსრულების ეროვნული ბიურო ნივთს ჩამოართმევს მოვალეს და გადასცემს მას კრედიტორს.

2. თუ გადასაცემ ნივთს ვერ იპოვიან, მაშინ მოვალემ უნდა აცნობოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სად იმყოფება ნივთი. თუ მოვალე განაცხადებს, რომ მას ეს არ შეუძლია, მაშინ ის ვალდებულია სააღსრულებო მოქმედების ოქმში წერილობითი გარანტიის სახით მიუთითოს, რომ ის არ ფლობს ამ ნივთს.

3. მოვალეს, რომელიც არ ასრულებს თავის მოვალეობას, ეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 83¹. გირავნობის მოწმობის საფუძველზე მოგირავნისათვის მოძრავი ნივთის გადაცემა

1. მოგირავნის მიერ აღსრულების ორგანოში გირავნობის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში დაგირავებული „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება მას მფლობელობაში გადაეცემა მოძრავი ნივთის გადაცემისათვის ამ კანონით დადგენილი წესით.

2. გირავნობის მოწმობის აღსრულების ორგანოში წარდგენის მართლობიერებისთვის პასუხისმგებელია მოგირავნე.

საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი 1542 - სსმ I, 21, 03.08.2009წ., მუხ.125 (/ka/document/view/89692#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2013 წლის 24 დეკემბრის კანონი 1834 - ვებგვერდი, 03.01.2014წ.

მუხლი 83². ლიზინგის მოწმობის საფუძველზე მოძრავი ნივთის ლიზინგის გამცემისთვის მფლობელობაში დაბრუნება

1. ლიზინგის გამცემის მიერ აღსრულების ორგანოსთვის ლიზინგის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო

მანქანის დამზარე ტექნიკური საშუალება, რომელზედაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულია ლიზინგი, ლიზინგის გამცემს მფლობელობაში დაუბრუნდება მოძრავი ნივთის გადაცემისათვის ამ კანონით დადგენილი წესით.

2. ლიზინგის მოწოდების აღსრულების ორგანოსთვის წარდგენის მართლზომიერებისათვის პასუხისმგებელია ლიზინგის გამცემი. საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი 1198 - ვებგვერდი, 14.07.2017წ. (/ka/document/view/3737676#DOCUMENT:1;)

მუხლი 84. სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვა

1. სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეზე, როდესაც აღსარულზელი გადაწყვეტილება ითვალისწინებს უძრავი ქონების კრედიტორის მფლობელობაში და სარგებლობაში გადაცემას ან/და უძრავი ქონებიდან პირთა გამოსახლებას (გამოყვანას), აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს უძრავი ქონების გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში კრედიტორისათვის გადაცემას.

2. სააღსრულებო ფურცელში მითითებული უძრავი ქონებიდან მოვალის და მასთან მყოფი პირების გამოსახლება (გამოყვანა) ხდება მათ კუთვნილ მოძრავ ქონებასთან ერთად.

3. აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აბარებს მოვალეს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც აღნიშნება:

ა) გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა – 10 კალენდარული დღე;

ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოსახლების (გამოყვანის) იძულების წესით განხორციელების შესახებ;

გ) სააღსრულებო მოქმედების დღეს მოვალის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში გამოსახლების (გამოყვანის) მის დაუსწრებლად, იძულების წესით განხორციელების შესახებ;

დ) იძულების წესით გამოსახლების (გამოყვანის) თარიღი და დრო.

4. აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორს აცნობებს გამოსახლების (გამოყვანის) იძულების წესით განხორციელების თარიღსა და დროს. კრედიტორი ვალდებულია დაესწროს უძრავი ქონებიდან მოვალის გამოსახლებას (გამოყვანას). კრედიტორის გამოუცხადებლობა არის აღნიშნული სააღსრულებო მოქმედების გადადების საფუძველი. ამ სააღსრულებო მოქმედების კრედიტორის გამოუცხადებლობის გამო გადადების შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო მოქმედების მხარეებს აცნობინებს მოვალის იძულების წესით გამოსახლების (გამოყვანის) თარიღსა და დროს. კრედიტორის განმეორებით გამოუცხადებლობა იწვევს სააღსრულებო წარმოების დასრულებას და კრედიტორისათვის სააღსრულებო ფურცლის დაბრუნებას.

5. თუ მოვალე ან მისი წარმომადგენელი ესწრება უძრავი ქონებიდან გამოსახლებას (გამოყვანას) და არ ცლის უძრავ ქონებას, აღმასრულებელი უფლებამოსილია თავად უზრუნველყოს მოვალის ქონების გატანა. ასეთ შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო არ აგებს პასუხს ქონების დაკარგვისათვის, დაზიანებისათვის ან განადგურებისათვის.

6. თუ, გაფრთხილების მიუხედავად, მოვალე ან მისი წარმომადგენელი არ ესწრება უძრავი ქონებიდან გამოსახლებას (გამოყვანას), აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ნებართვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია უძრავი ქონების მესაკუთრის/მფლობელის თანხმობის გარეშე შეადწიოს უძრავ ქონებაში. აღსრულების ეროვნული ბიურო და აღმასრულებელი პასუხს არ აგებენ უძრავ ქონებაში შედგენის მიზნით განხორციელებული მოქმედებებით წარმოშობილი ზიანისათვის, თუ შეუძლებელი იყო სხვა საშუალებების გამოყენებით ამ ზიანის თავიდან აცილება. აღმასრულებელი ვალდებულია უძრავ ქონებაში შედგენისას ყველა ღონე იხმაროს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. აღმასრულებელი აღწერს უძრავ ქონებაში განთავსებულ ნივთებს, ადგენს ქონების აღწერის აქტს და მის ასლს გადასცემს კრედიტორს. კრედიტორის მიერ ქონების აღწერის აქტის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში აღმასრულებელი ამის შესახებ აღნიშნავს აქტში. კრედიტორმა უნდა უზრუნველყოს მოვალის ნივთების შენახვა ან მოვალისათვის მათი გადაცემა. მოვალეს ეკისრება უძრავი ქონებიდან გამოსახლების (გამოყვანის) და ნივთების შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები.

7. აღმასრულებელი უძრავი ქონებიდან გამოსახლების (გამოყვანის) შესახებ ადგენს ოქმს, რომელსაც მასთან ერთად ხელს აწერენ სააღსრულებო წარმოების მხარეები და დამსწრე პირები. სააღსრულებო წარმოების მხარეების მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში აღმასრულებელი შესაბამის აღნიშნავს აქტებში ოქმში.

8. უძრავი ქონებიდან გამოსახლებისას (გამოყვანისას) უძრავ ქონებაში მყოფი პირების მიერ აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე აღსრულების პოლიცია ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო ვალდებულია გაუწიოს მას სათანადო დახმარება.

9. (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;).

10. (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;).

11. (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;).

12. (ამოღებულია - 11.12.2015, 4628) (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;).

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 85. შენახვა მესამე პირის მიერ

თუ გადასაცემი ნივთი შესაძლებელია იმყოფება მესამე პირთან და იგი უარს ამბობს ნივთის ნებაყოფლობით გადაცემაზე, აღსრულების ეროვნული ბიურო კრედიტორის განცხადების საფუძველზე გამოსცემს განკარგულებას ყადაღის დადების თაობაზე.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 86. მოქმედება, რომელიც შეიძლება შესარულოს სხვა პირმა

თუ მოვალე არ ასრულებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც შეიძლება შესარულოს მესამე პირმა, მაშინ აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით კრედიტორს უფლება აქვს, თავისი ხარჯით, რომელიც სასამართლო წესით ეკისრება მოვალეს, თვითონ შესარულოს ეს მოქმედება.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 87. მოქმედება, რომელიც არ შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა

1. თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, რომელიც არ ასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ მოვალეს შეიძლება დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (/ka/document/view/16426#) გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, რომლებიც გამოტანილია საქორწინო ურთიერთობებზე და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევასზე.

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

თავი XVI

ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე აღსრულების წესები

მუხლი 88. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი 4073- სსმ I, 76, 29.12.2010 წ., მუხ.503 (/ka/document/view/1160274#)

მუხლი 89. გადაწყვეტილების აღსრულება ალიმენტის გადახდევინების საქმეზე

თუ ალიმენტის გადახდევინების საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულებისას გადასახდელი თანხა, რომელიც გადახდევინება მოვალეს ყოველთვიურად შეთანხმებისამებრ, კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარზე ნაკლებია, ალიმენტის გადახდის დავალიანებისას გადახდევინება შეიძლება მოხდეს მოვალის ქონებიდან, დადგენილი წესით.

მუხლი 89¹. პროდუქტის სავაჭრო ქსელიდან (ბაზრიდან) ამოღების შესახებ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების აღსრულება

1. პროდუქტის სავაჭრო ქსელიდან (ბაზრიდან) ამოღების შესახებ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების იძულებითი აღსრულების დაწყებისთანავე აღმასრულებელი მოვალეს აწვდის ინფორმაციას სააღსრულებო წარმოების დაწყების თაობაზე, ამასთანავე, აღწერს დადგენილებით განსაზღვრულ ქონებას, მას ადებს ყადაღას, საჭიროების შემთხვევაში ლუქავს და შესაძლავს გადასცემს კრედიტორს ან მის მიერ მითითებულ პირს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, – მესამე პირს.

2. ამ მუხლით განსაზღვრული დადგენილების იძულებითი აღსრულებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი სპეციალისტი.

3. ამ მუხლით განსაზღვრული დადგენილების იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს მოვალე.

4. პროდუქტის სავაჭრო ქსელიდან (ბაზრიდან) ამოღების შესახებ დადგენილების მიმღები უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით, აღსრულების ეროვნული ბიურო დადგენილებით განსაზღვრულ ქონებას ყადაღისგან ათავისუფლებს და მფლობელობაში გადასცემს მოვალეს.

5. პროდუქტის სავაჭრო ქსელიდან (ბაზრიდან) ამოღების შესახებ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების აღსრულების საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

6. პროდუქტის სავაჭრო ქსელიდან (ბაზრიდან) ამოღების შესახებ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების აღსრულების საფასურის მოვალისთვის დაკისრებას უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული დადგენილება.

7. თუ დადგენილების გაუქმების ან სხვა საფუძვლის გამო დადგენილების აღსრულება შეწყდება, დადგენილების აღსრულების საფასურის ნახევარი გადაიხდება და იმავე სააღსრულებო საქმეზე გაწეული ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საქართველოს 2018 წლის 29 ივნისის კანონი 2758 – ვებგვერდი, 19.07.2018წ. (/ka/document/view/4253347#DOCUMENT:1;)

მუხლი 90. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 – სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2006 წლის 10 ნოემბრის კანონი 3648 – სსმ I, 44, 27.11.2006წ., მუხ.296 (/ka/document/view/24706#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 90¹. მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილების აღსრულება

[**მუხლი 90¹**. მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილების აღსრულება (ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან)]

1. მშენებლობის შეჩერების და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ დადგენილების იძულებით აღსრულებას აღსრულების ეროვნული ბიურო იწყებს დამრღვევის მიერ დადგენილების დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემდეგ.

2. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ დადგენილების იძულებით აღსრულებას აღსრულების ეროვნული ბიურო იწყებს იმ შემთხვევაში, თუ ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში დამრღვევმა ნებაყოფლობით არ შეასრულა ვალდებულება.

3. თუ დამრღვევი არ ემორჩილება აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნას, აღსრულების ეროვნული ბიურო დახმარებისათვის მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს ან/და აღსრულების პოლიციას.

4. მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების ან/და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის შესახებ დადგენილების იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება დამრღვევ პირს.

5. დადგენილება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ აღსრულებდა ამ კანონით დადგენილი წესით.

[5. სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილება აღსრულებდა ამ კანონით დადგენილი

წესით. (ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან)]

საქართველოს 2005 წლის 22 დეკემბრის კანონი 2407 - სსმ I, 1, 04.01.2006წ., მუხ.6 (/ka/document/view/27922#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

საქართველოს 2018 წლის 20 ივლისის კანონი 3227 – ვებგვერდი, 13.08.2018წ. (/ka/document/view/4269931#DOCUMENT:1;)

მუხლი 90². სახელმწიფო ორგანოების მიერ პერიოდულად შესასრულებელი ფინანსური ვალდებულებების თაობაზე გადაწყვეტილებების აღსრულება

1. სახელმწიფო ორგანოების მიერ პერიოდულად შესასრულებელი ფინანსური ვალდებულებების თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში კრედიტორი უფლებამოსილია წერილობითი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს ვალდებულების შესრულება წინსწრებით, ერთჯერადი კომპენსაციის სახით. ერთჯერადი კომპენსაციის სახით თანხის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, რაც იძულებითი აღსრულების საფუძველია. ერთჯერადი კომპენსაციის სახით გასაცემი თანხის ოდენობას და გაცემის წესს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით ადგენს საქართველოს მთავრობა. ერთჯერადი კომპენსაციის სახით გასაცემი თანხაზე კრედიტორის მიერ ახალი სააღსრულებო ფურცლის წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ აღსრულება წყდება ამ კანონის 34-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის (/ka/document/view/18442#part_79) შესაბამისად.

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

მუხლი 90³. იძულებითი აღსრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში იწყება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ინფორმირებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილით (/ka/document/view/29962#part_296) გათვალისწინებული დაუყოვნებლივ აღსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებებისა.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 90⁴. იძულებითი აღსრულება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმართ

საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში იწყება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ინფორმირებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი 5668- ვებგვერდი, 16.01.2012წ. (/ka/document/view/1561418#)

მუხლი 90⁵. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი 2049 – ვებგვერდი, 17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

მუხლი 90⁶. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულება

1. ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება დადგენილებები:

ა) დაჯარიმების შესახებ;

ბ) სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ;

გ) (ამოღებულია - 05.03.2014, 2049) (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;).

2. ჯარიმის იძულებითი აღსრულება, აგრეთვე საურავის აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი 2049 – ვებგვერდი, 17.03.2014წ. (/ka/document/view/2277441#DOCUMENT:1;)

მუხლი 90⁷. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა და მისი აღსრულების წესი

1. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსასრულებლად მიაქცევს დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი).

2. ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე დადგენილება აღსრულება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებისათვის განსაზღვრული წესით.

3. ერთი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ რამდენიმე დადგენილების გამოტანისას თითოეული დადგენილება დამოუკიდებლად აღსრულება.

4. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსრულებს საამისოდ უფლებამოსილი პირი ამ კანონის შესაბამისად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 90⁸. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების შეწყვეტა

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი) დადგენილების აღსრულებას წყვეტს, თუ:

ა) გაუქმდა შესაბამისი დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტი;

ბ) გასაჩივრების საფუძველზე გაუქმდა დადგენილება;

გ) გარდაიცვალა ის პირი, რომლის მიმართაც იყო გამოტანილი დადგენილება.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 90⁹. დაჯარიმების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება

1. დამრღვევის მიერ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილება იგზავნება დამრღვევის სამუშაო ადგილზე მისი ხელფასიდან ან მისი სხვა შემოსავლიდან ჯარიმის თანხის იძულებითი წესით დასაქვითავად.

2. თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს ან ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია დამრღვევის ხელფასიდან ან მისი სხვა

შემოსავლიდან, ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების საფუძველზე ჯარიმა გადაიხდებინება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დამრღვევის პირად ქონებაზე გადახდებიან მიქცევის გზით, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მიმართოს დადგენილების გამომტან ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) ჯარიმის სხვა სახედო შეცვლის თაობაზე.

3. ჯარიმის გადახდები არ შეიძლება მიქცეულ იქნეს ისეთ ქონებაზე, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო დოკუმენტებით ასეთს არ ექვემდებარება.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884-სმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 90¹⁰. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წესი

1. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება აღსრულებს მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით.

2. თუ მძღოლი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, თავს არიდებს მძღოლის მოწმობის ჩაბარებას, აღმასრულებელი მას მძღოლის მოწმობას იძულების წესით ჩამოართმევს.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884-სმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 90¹¹. სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის დაჯარიმების შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოს თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულების აღსრულება

1. სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის დაჯარიმების შემთხვევაში დამრღვევა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოს თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მიერ განკარგულების გამოცხადებიდან ან ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

2. ჯარიმის იძულებითი აღსრულება, აგრეთვე საურავის აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884-სმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 90¹². ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების/ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების წესი და ვადები

1. ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ აღსრულებს ამ კანონით დადგენილი წესით.

2. ქონებრივი ზიანი დამრღვევა უნდა აანაზღაუროს მისთვის დადგენილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში – ამავე აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს), ხოლო დადგენილების/ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების შემთხვევაში – საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების/ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობისას ეს დოკუმენტები იძულებითი აღსრულების საფუძველია.

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884-სმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი 4073-სმ I, 76, 29.12.2010 წ., მუხ.503 (/ka/document/view/1160274#)

მუხლი 90¹³. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹³ თავით გათვალისწინებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების აღსრულება

1. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის მიზნით იგი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში თავსდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹³ თავით გათვალისწინებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

2. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის მიზნით მას შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ათავსებს აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹³ თავით გათვალისწინებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მითითებული მონაცემების საფუძველზე.

3. თუ პაციენტი არ დემორჩილება აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნას, აღსრულების ეროვნული ბიურო დახმარებისათვის აღსრულების პოლიციას მიმართავს.

4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹³ თავით გათვალისწინებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებული ცალკეული ღონისძიებები ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4632 - ვებგვერდი, 23.12.2015წ. (/ka/document/view/3097720#DOCUMENT:1;)

მუხლი 91. სხვა სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

1. საერთაშორისო კერძო სამართლის და სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი გადაწყვეტილება და საქართველოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ ამოწერილი სააღსრულებო ფურცელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით აღსრულებლად ეგზავნება აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

მუხლი 91¹. ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების ან ყადაღის გაუქმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების აღსრულება

1. ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადება და ამ პირის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

2. აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადებას და ამ პირის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციას ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანებაში მითითებული მონაცემების საფუძველზე.

3. ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ან ქონების ნაწილზე ყადაღა უქმდება მოსამართლის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. მთლიან ქონებაზე ყადაღის გაუქმების შემთხვევაში მოსამართლის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ეს პირი ამოირიცხება მოვალეთა რეესტრიდან.

საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი 5355 - ვებგვერდი, 08.12.2011წ. (/ka/document/view/1524870#)

საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი 4454 - ვებგვერდი, 11.11.2015 წ. (/ka/document/view/3039266#DOCUMENT.1;)

თავი XVI¹

გამარტივებული წარმოება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91². ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წარმოების ზოგადი პრინციპები

1. აღსრულების ეროვნული ბიურო ამ თავით დადგენილი წესით ახორციელებს გამარტივებულ წარმოებას ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

2. გამარტივებული წარმოება არ დაიშვება, თუ მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო ვალდებულებაზე.

3. გამარტივებული წარმოება აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაიშვება მაშინაც, როდესაც მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰქონდათ დავის განხილვისა და გადაწყვეტის განსხვავებული წესები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დავის არბიტრაჟის მიერ განხილვა.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91³. მხარეები გამარტივებულ წარმოებაში

1. მხარეები გამარტივებულ წარმოებაში არიან აპლიკანტი და რესპონდენტი.

2. აპლიკანტი არის პირი, რომელსაც აქვს დოკუმენტურად დადასტურებული ფულადი სახის ვადამოსული მოთხოვნა და რომელიც მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით, ხოლო რესპონდენტი არის პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აპლიკანტის მოთხოვნა.

3. გამარტივებულ წარმოებაში დაიშვება მხარეთა თანამონაწილეობა და წარმომადგენლობა.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91⁴. განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ

1. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძველია, მიზნად უნდა ისახავდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას.

2. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების (თუ საქმეში წარმომადგენელი მონაწილეობს) დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს (ფაქტობრივ საცხოვრებელ ან/და საქმიანობის ადგილს), სხვა ცნობილ საკონტაქტო მონაცემებს;

ბ) აპლიკანტის საბანკო რეკვიზიტებს;

გ) აპლიკანტის მოთხოვნას;

დ) დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელთა მეშვეობითაც აპლიკანტი ასაბუთებს თავის მოთხოვნას და რომლებიც ერთვის დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას;

ე) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი გამარტივებული წარმოებისას გაწეული დამატებითი ხარჯის (რომელიც შედგება სააპლიკაციო და ყადაღის დადებისათვის გათვალისწინებული საფასურებისაგან) ანაზღაურებას;

ვ) მითითებას იმის შესახებ, რომ დაყენებული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული აპლიკანტის მიერ რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მან ასეთი ვალდებულება უკვე შეასრულა;

ზ) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას;

თ) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებას;

ი) აპლიკანტის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.

3. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს დედნის ან/და დამოწმებული ასლების სახით.

4. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას უნდა ერთოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განცხადება წარმომადგენელს შეაქვს.

5. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების შეტანისას აპლიკანტი იხდის სააპლიკაციო საფასურს. აპლიკანტი სააპლიკაციო საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_84) გათვალისწინებულ შემთხვევებში. სააპლიკაციო საფასურის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

6. თუ აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას, აპლიკანტმა საგარანტიო თანხის სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე უნდა შეიტანოს ამ კანონით გათვალისწინებული აღსრულების წინასწარი საფასური. აღნიშნული საფასურის გადახდაზე არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_84) გათვალისწინებული შემთხვევები.

7. თუ აპლიკანტი ითხოვს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებას, მან უნდა მიუთითოს რესპონდენტის ქონება, ქონების საიდენტიფიკაციო მარკენებლები და გადაიხადოს ასეთი ღონისძიებისათვის განსაზღვრული საფასური.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91⁵. ხარვეზის დადგენა

1. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აღსრულების ეროვნული ბიურო ამოწმებს განცხადების და თანდართული დოკუმენტების ფორმალურ და შინაარსობრივ მხარეს და უფლებამოსილია ხარვეზის გამოსასწორებლად აპლიკანტს დაუდგინოს ვადა არა უმეტეს 10 კალენდარული დღისა, თუ, ხარვეზის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი გამოსწორება.

2. დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენამდე გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების ვადის დინება ჩერდება. იგი განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისთანავე.

3. აღსრულების ეროვნული ბიურო აპლიკანტის მოთხოვნის უფლების შემოწმებისას ეყრდნობა მხოლოდ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებასა და თანდართულ წერილობით მტკიცებულებებში არსებულ მონაცემებს.

4. აპლიკანტის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებაში მითითებული მოთხოვნის ოდენობა მიიჩნევა დავალიანების იმ ოდენობად, რომლის რესპონდენტისათვის გადახდევინებასაც ითხოვს აპლიკანტი.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91⁶. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების დაბრუნება

1. აღსრულების ეროვნული ბიურო დაუბრუნებს აპლიკანტს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას, თუ:

- ა) სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;
- ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე საქმესთან დაკავშირებით, ასევე გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- გ) არსებობს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ ან მორიგების პროცესის დამტკიცების თაობაზე ან გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე იმავე საქმესთან დაკავშირებით;

დ) აპლიკანტმა დადგინდეს ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი;

ე) განცხადება შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;

ვ) (ამოღებულია - 20.03.2015, 3383 (/ka/document/view/2787621#DOCUMENT:1;)).

2. განცხადების აპლიკანტისათვის დაბრუნება იწვევს გამარტივებული წარმოების დასრულებას.

3. განცხადების დაბრუნების შემთხვევაში აპლიკანტს დაუბრუნდება მის მიერ საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აღსრულების წინასწარი საფასური და ყადაღის დამფინანსების გადახდილი საფასური.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების, ასევე ხარვეზის შემდგომ გამოსწორების შემთხვევაში აპლიკანტი უფლებამოსილია ამ თავით დადგენილი წესით აღსრულების ეროვნულ ბიუროში ხელახლა შეიტანოს განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი 3383 - ვებგვერდი, 31.03.2015წ. (/ka/document/view/2787621#DOCUMENT:1;)

მუხლი 91⁷. შეტყობინება გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ

1. აღსრულების ეროვნული ბიურო განცხადების რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ატყობინებს რესპონდენტს მის წინააღმდეგ გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ.

2. გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

ა) გამარტივებული წარმოების ნომერს;

ბ) აპლიკანტის დასახელებას, დაყენებულ მოთხოვნას და მოთხოვნის საფუძველს;

გ) მითითებას იმის შესახებ, რომ რესპონდენტი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სრულად დაფაროს დავალიანება, თუ მოთხოვნას მართებულად მიიჩნევს, ან განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილ მოქმედებათაგან ერთ-ერთი:

გ.ა) დაფაროს დავალიანების ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს;

გ.ბ) განაცხადოს წერილობითი პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ, თუ არ ეთანხმება მოთხოვნას;

გ.გ) წერილობით აღიაროს მოთხოვნა სრულად, თუ მოთხოვნას მართებულად მიიჩნევს;

გ.დ) წერილობით აღიაროს მოთხოვნის ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს;

გ.ე) წარადგინოს განცხადება მორიგების შეთავაზების შესახებ;

დ) განმარტებას იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას;

ე) გამარტივებული წარმოების საფასურის ოდენობას, ანგარიშსწორების წესს და აღსრულების ეროვნული ბიუროს საბანკო რეკვიზიტებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად რესპონდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს:

ა) რესპონდენტის დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს;

ბ) გამარტივებული წარმოების ნომერს, აპლიკანტის დასახელებას;

გ) პროტესტის შემთხვევაში – მოთხოვნის სრულ უარყოფას (თუ რესპონდენტის წინააღმდეგ მიმართულია რამდენიმე აპლიკანტის მოთხოვნა – აღნიშვნას იმის შესახებ, თუ რომელ მოთხოვნას უარყოფს რესპონდენტი); მოთხოვნის სრულად აღიარების შემთხვევაში – მითითებას მოთხოვნის სრულად ცნობის შესახებ; მოთხოვნის ნაწილის აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის შესახებ, თუ მოთხოვნის რომელ ნაწილს ცნობს რესპონდენტი;

დ) რესპონდენტის (უფლებამოსილი პირის) ხელმოწერას.

4. აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ რესპონდენტი არ განახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ არც ერთ მოქმედებას – დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება გამოიცემა მოთხოვნის სრულ ოდენობაზე;

ბ) თუ რესპონდენტი სრულად აღიარებს მოთხოვნას – დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება გამოიცემა მოთხოვნის სრულ ოდენობაზე;

გ) თუ რესპონდენტი აღიარებს მოთხოვნის ნაწილს – დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება გამოიცემა მოთხოვნის აღიარებულ ნაწილზე;

დ) მხარეთა მორიგების პროცესის დარღვევის შემთხვევაში – მორიგების პროცესში აღნიშნული და რესპონდენტის მიერ დაუფარავი დავალიანების ოდენობაზე.

5. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებით აპლიკანტის ძირითად მოთხოვნასთან ერთად რესპონდენტს დაეკისრება ასევე გამარტივებული წარმოებისას აპლიკანტის მიერ გაწეული დამატებითი ხარჯის გადახდა, რომელიც შედგება სააპლიკაციო და ყადაღის დადებისათვის გადახდილი საფასურებისაგან. რესპონდენტს დამატებითი ხარჯის გადახდა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს მოთხოვნილი ჰქონდა ასეთი ხარჯის ანაზღაურება.

6. აღსრულების ეროვნული ბიურო იღებს გადაწყვეტილებას დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე:

ა) თუ რესპონდენტი წარადგენს პროტესტს მოთხოვნაზე – გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე მიიღება მოთხოვნის სრულ ოდენობაზე;

ბ) თუ რესპონდენტი დაფარავს დავალიანების ნაწილს – გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე მიიღება მოთხოვნის დარჩენილ ნაწილთან მიმართებით;

გ) თუ რესპონდენტი აღიარებს მოთხოვნის ნაწილს – გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე

უარის თაობაზე მიიღება მოთხოვნის დარჩენილ ნაწილთან მიმართებით.

7. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება ეცნობება აპლიკანტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილი წესით.

8. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება შემდგომ გამორიცხავს გამარტივებულ წარმოებას აღსრულების ეროვნულ ბიუროში იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

9. აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე არ ართმევს აპლიკანტს უფლებას, რესპონდენტის წინააღმდეგ აღძრას სარჩელი სასამართლოში საერთო წესით.

10. გამარტივებული წარმოებისას გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინება რესპონდენტს ჩაჰბარდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილი წესით. დაუშვებელია რესპონდენტისათვის გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების საჯარო გამოცხადების გზით ცნობება.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 9⁸. განცხადება მორიგების შეთავაზების შესახებ

1. რესპონდენტი უფლებამოსილია გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინოს განცხადება მორიგების შეთავაზების შესახებ. რესპონდენტის მხრიდან მორიგების შეთავაზებად ითვლება შემთხვევა, როდესაც რესპონდენტი მართებულად მიიჩნევს დავალიანების ოდენობას ან მის ნაწილს, მაგრამ ითხოვს დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვის ვადის გაზრდას ან განაწილვადებას.

2. მორიგების შეთავაზების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს რესპონდენტის დასახელებას, პირადსაიდენტიფიკაციო ნომერს, აპლიკანტის დასახელებას, გამარტივებული წარმოების ნომერს, აპლიკანტის მიერ დაყენებული მოთხოვნის სრულ ოდენობას, დავალიანების იმ ოდენობას, რომელსაც ეთანხმება რესპონდენტი, მისი დაფარვის ვადას, ხოლო განაწილვადების მოთხოვნის შემთხვევაში – გადახდის გრაფიკს.

3. აღსრულების ეროვნული ბიურო რესპონდენტის განცხადებას მორიგების შეთავაზების შესახებ უგზავნის აპლიკანტს და განუსაზღვრავს ვადას, რათა მან მორიგებაზე თანხმობა ან უარი განაცხადოს. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, აპლიკანტის თხოვნით, განსაზღვრული ვადა არა უმეტეს 30 დღით გაზარდოს. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს რესპონდენტის პროტესტის შემთხვევაში გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს. რესპონდენტის თანხმობის შემთხვევაში დასაშვებია დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა დავალიანების იმ ოდენობაზე, რომელსაც ცნობს რესპონდენტი, ხოლო მოთხოვნის ნაწილზე, რომელიც რესპონდენტმა არ აღიარა, მიიღება გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე, რაც არ ართმევს აპლიკანტს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ვადის განმავლობაში მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ დავალიანების სხვა ოდენობაზე და მისი დაფარვის პირობებზე. მხარეთა შეთანხმება წერილობით ფორმდება.

5. დავალიანების ოდენობისა და მისი დაფარვის პირობების შესახებ მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიურო ამტკიცებს მხარეთა მორიგების პირობებს. მორიგება არ უნდა შეიცავდეს აპლიკანტის მიერ რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულების პირობას.

6. რესპონდენტის მიერ მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო აპლიკანტის განცხადების საფუძველზე გამოსცემს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებას მორიგების პირობებში აღნიშნული და რესპონდენტის მიერ დაუფარავი დავალიანების ოდენობაზე.

7. მორიგების პირობების დარღვევის გამო დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში აპლიკანტს დაუბრუნდება საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აღსრულების წინასწარი საფასურის ის ნაწილი, რომელიც აღემატება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებაში აღნიშნულ დავალიანების ოდენობას. თუ რესპონდენტი ჯეროვნად შეასრულებს მორიგების პირობებს, რაც გამორიცხავს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას, აპლიკანტს დაუბრუნდება საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აღსრულების წინასწარი საფასური.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 9⁹. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება

1. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება უნდა შეიცავდეს:

ა) ბრძანების ნომერს და გამოცემის ადგილს;

ბ) გამარტივებული წარმოების ნომერს;

გ) ბრძანების გამოცემის თარიღს;

დ) მხარეების დასახელებას, პირადსაიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს (ფაქტობრივ საცხოვრებელ ან/და საქმიანობის ადგილს), სხვა ცნობილ საკონტაქტო მონაცემებს;

ე) დავალიანების ოდენობას;

ვ) აპლიკანტის მიერ გამარტივებული წარმოებისას გაწეული ხარჯის ოდენობას;

ზ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

2. აპლიკანტის მიერ გაწეული ხარჯის ოდენობა დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებაში მიეთითება და გადახდევინება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს მოთხოვნილი ჰქონდა ასეთი ხარჯის ანაზღაურება.

3. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გასაჩივრება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დარღვეულია გამარტივებული წარმოების ამ თავით დადგენილი პროცედურა.

4. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან. იგი მიექცევა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას და საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აქვს აღსრულების წინასწარი საფასური. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების ასლი ეგზავნება აპლიკანტსა და რესპონდენტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (/ka/document/view/29962#) დადგენილი წესით.

5. თუ აპლიკანტი არ ითხოვს დაუყოვნებლივ აღსრულებას, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა აპლიკანტს. მისი აღსასრულებლად წარდგენის ვადაა გამოცემიდან 5 წელი.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 9¹⁰. მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება

1. აპლიკანტის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით აღსრულების ეროვნული ბიურო მარეგისტრირებელ ორგანოში რესპონდენტის დარეგისტრირებულ ქონებას დაადებს ყადაღს ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში:

ა) აპლიკანტი ითხოვს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით რესპონდენტის ქონებაზე ყადაღის დადებას;

ბ) აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას და საგარანტიო თანხის სახით შეტანილი თანხა აკმაყოფილებს აღსრულების წინასწარი საფასურისათვის გათვალისწინებულ ოდენობას;

გ) აპლიკანტი თავად მიუთითებს, თუ რესპონდენტის რომელ ქონებაზე უნდა იქნეს გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება;

დ) აპლიკანტს გადახდილი აქვს ყადაღის დადებისათვის გათვალისწინებული საფასური.

2. მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქონებაზე ყადაღის დადებისათვის საფასურის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

3. ყადაღა გაუქმდება, თუ:

ა) აპლიკანტს დაუბრუნდება განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ;

ბ) აპლიკანტი გაიხმობს განცხადებას დავალიანების გადახდევინების შესახებ;

გ) აპლიკანტი მოითხოვს ყადაღის გაუქმებას;

დ) რესპონდენტი სრულად დაფარავს დავალიანებას ამ თავით დადგენილი წესით.

4. თუ რესპონდენტი დადგენილ ვადაში წარადგენს პროტესტს აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ ან დაფარავს დავალიანების ნაწილს, გამარტივებული წარმოებისას რესპონდენტის ქონებაზე დადებული ყადაღა გაუქმდება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების აპლიკანტისათვის ჩაბარებიდან 1 თვის შემდეგ, თუ აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ ეცნობა იმავე საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყების შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს ან შეცვალოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

5. მხარეთა მორიგების პირობების დამტკიცების შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო გააუქმებს ყადაღას, თუ ამას აპლიკანტი მოითხოვს.

6. აპლიკანტი პასუხისმგებელია რესპონდენტისთვის მიყენებული ზიანისათვის, თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ყადაღა გაუმართლებელი გამოდგა.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹¹. გამარტივებული წარმოების საფასური

1. გამარტივებული წარმოების საფასური არის გამარტივებული წარმოებისას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების საფასური, რომელიც გადაიხდევინება დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში. გამარტივებული წარმოების საფასურის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

2. გამარტივებული წარმოების საფასურს იხდის რესპონდენტი მის მიერ დავალიანების ან დავალიანების ნაწილის დაფარვის დროს.

3. გამარტივებული წარმოებისას მხარეებს შორის ანგარიშსწორება განხორციელებულად ჩაითვლება, თუ იგი აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით წარმოებს.

4. აღსრულების ეროვნული ბიურო მის ანგარიშზე რესპონდენტის მიერ შეტანილ თანხას წარმართავს აპლიკანტის საბანკო ანგარიშზე, გამარტივებული წარმოების საფასურის გამოკლებით. პერიოდულად შეტანილ თანხას გამარტივებული წარმოების საფასურის ოდენობა პროპორციულად გამოაკლდება.

5. რესპონდენტის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე თანხის შეტანის დღე ითვლება მის მიერ აპლიკანტისათვის გადახდის დღედ.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹². განცხადების გახმობა

1. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ან მორიგების პირობების დამტკიცებამდე აპლიკანტს უფლება აქვს, გაიხმოს თავისი განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილი განცხადებით.

2. რესპონდენტისათვის შეტყობინების ჩაბარების შემდეგ განცხადების გახმობის შემთხვევაში აპლიკანტს დაუბრუნდება წინასწარ შეტანილი საგარანტიო თანხის ნახევარი, ხოლო რესპონდენტისათვის შეტყობინების ჩაბარებამდე განცხადების გახმობის შემთხვევაში აპლიკანტს სრულად დაუბრუნდება წინასწარ შეტანილი საგარანტიო თანხა.

3. განცხადების გახმობის შემთხვევაში აპლიკანტს დაუბრუნდება ყადაღის დადებისათვის გადახდილი საფასური, თუ ამ დროისათვის მარეგისტრირებელ ორგანოში არ განხორციელებულა ყადაღის რეგისტრაცია.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

თავი XVI²

ფაქტების კონსტატაცია

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹³. ფაქტების კონსტატაციის ზოგადი პრინციპები

1. აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ფაქტების კონსტატაციას დაინტერესებული მხარის მიმართვის ან სასამართლო დავალების საფუძველზე.

2. ფაქტების კონსტატაცია გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არსებული მდგომარეობის ასახვას ამ თავით დადგენილი წესით.

3. ფაქტების კონსტატაცია გამოიყენება ისეთ გარემოებებთან მიმართებით, რომელთა აღქმა და აღწერა შესაძლებელია.

4. ფაქტების კონსტატაცია დასაშვებია დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

5. ფაქტების კონსტატაციასთან დაკავშირებული აღმასრულებლის ქმედება არ საჩივრდება.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹⁴. ფაქტების კონსტატაციის საფუძველი

1. ფაქტების კონსტატაციის საფუძველია ფაქტების კონსტატაციის მოთხოვნით დაინტერესებული მხარის მიმართვა.

2. დაინტერესებული მხარე, რომლის მიმართვის საფუძველზედაც აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ფაქტების კონსტატაციას, შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, პირთა გაერთიანება, ადმინისტრაციული ორგანო.

3. დაინტერესებული მხარის მიმართვა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დაინტერესებული მხარის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მისამართის, დასადგენი გარემოების, ადგილმდებარეობის, სადაც უნდა განხორციელდეს ფაქტების კონსტატაცია, ქონების მფლობელის, რომლის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში უნდა განხორციელდეს ფაქტების კონსტატაცია, შესახებ.

4. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ან/და ხელს შეუწყობს ფაქტების კონსტატაციას. ინფორმაციის მიუწოდებლობა ფაქტების კონსტატაციაზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹⁵. ფაქტების კონსტატაციის ხელის შეშლელი გარემოებები

1. ფაქტების კონსტატაციის ხელის შეშლელი გარემოებებია ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეუძლებელია მტკიცებულებების შეგროვება.

2. ფაქტების კონსტატაცია იმ პირის საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც არ არის დაინტერესებული მხარე, დაიშვება მისი თანხმობით. თანხმობა შესაძლებელია იყოს წერილობითი ან ადგილობრივი ტექნიკური საშუალებით.

3. თუ პირი უარს აცხადებს თავის საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე ფაქტების კონსტატაციის მიზნით აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის დაშვებაზე, გამოიყენება ამ კანონის 91¹⁷ მუხლის მე-2 პუნქტი. (/ka/document/view/18442#part_187)

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹⁶. ფაქტების კონსტატაცია საჯარო ადგილებში

აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია თანხმობის გარეშე განახორციელოს ფაქტების კონსტატაცია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე კერძო საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც საჯარო მოხმარების ობიექტია.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹⁷. ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ

1. ფაქტების კონსტატაციის შესახებ ოქმი უნდა შეიცავდეს:

ა) ოქმის შედგენის თარიღსა და დროს;

ბ) ფაქტების კონსტატაციის საფუძველს;

გ) დაინტერესებული მხარის მიმართვის შემთხვევაში – დაინტერესებული მხარის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს;

დ) მითითებას ადგილმდებარეობაზე, სადაც განხორციელდა ფაქტების კონსტატაცია, ხოლო კერძო საკუთრების ან/და კანონიერი მფლობელობის შემთხვევაში – პირის დასახელებას, რომლის საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზედაც განხორციელდა ფაქტების კონსტატაცია;

ე) მითითებას გარემოებაზე, რომლის დადგენაც იყო მოთხოვნილი;

ვ) ფაქტობრივი გარემოების ზუსტ აღწერას;

ზ) მითითებას ტექნიკურ მოწყობილობებზე, რომლებიც იქნა გამოყენებული, და თანდართული მასალების ჩამონათვალს;

თ) აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის, რომელმაც განახორციელა ფაქტების კონსტატაცია, ვინაობასა და ხელმოწერას.

2. ფაქტების კონსტატაციის შეუძლებლობის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი ადგენს ოქმს და მიუთითებს გარემოებებზე, რომლებმაც ხელი შეუშალა ფაქტების კონსტატაციას.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

მუხლი 91¹⁸. ანაზღაურება

1. ფაქტების კონსტატაცია არის აღსრულების ეროვნული ბიუროს ანაზღაურებადი საქმიანობა.

2. აღსრულების ეროვნული ბიურო დაინტერესებული მხარის ან სასამართლოს თხოვნით უზრუნველყოფს ფაქტების კონსტატაციის შედეგად მიღებული მტკიცებულებების შენახვას.

3. ფაქტების კონსტატაციის საფასურის ოდენობა და გადახდის პირობები, ასევე ფაქტების კონსტატაციის შედეგად მიღებული მტკიცებულებების შენახვის ვადა, საფასურის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (/ka/document/view/1027449#).

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი 6145 – ვებგვერდი, 17.05.2012წ. (/ka/document/view/1655791#)

თავი XVI³

სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია და გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლი

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

მუხლი 91¹⁹. სესხის ხელშეკრულების რეგისტრაცია

1. აღსრულების ეროვნული ბიურო მხარეთა შეთანხმების საფუძველზე არეგისტრირებს სესხის (მათ შორის, საბანკო კრედიტის) ხელშეკრულებას, რომელიც გირავნობით ან/და იპოთეკით არ არის უზრუნველყოფილი (შემდგომ – სესხის ხელშეკრულება), და აკონტროლებს მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების შესრულებას. სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციისა და გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

2. აღსრულების ეროვნული ბიურო არ დაარეგისტრირებს სესხის ხელშეკრულებას, თუ იგი არ შეიცავს სესხის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ძირითად პირობებს, მხარეებისა (გამსესხებლისა და მსესხებლის) და მათი წარმომადგენლების (თუ სესხის ხელშეკრულება იდება წარმომადგენლის მეშვეობით) დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს, გამსესხებლის საბანკო რეკვიზიტებს.

3. თუ სესხის ხელშეკრულება წარმომადგენლის მეშვეობით იდება, წარდგენილი უნდა იქნეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. დარეგისტრირებულ სესხის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ხორციელდება ასევე აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრაციით.

5. აღსრულების ეროვნული ბიურო აწარმოებს სესხის ხელშეკრულებების რეესტრს. რეესტრის მონაცემების გამყვანება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია შესაბამისი სესხის ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე. სესხის ხელშეკრულებების რეესტრის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

მუხლი 91²⁰. გადახდის ვალდებულების შესრულების წესი

მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების შესრულებისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ამ ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

მუხლი 91²¹. აღსრულების შესახებ ბრძანება

1. მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას აღსრულების შესახებ.

2. აღსრულების შესახებ ბრძანება გამოიცემა მსესხებლის მიერ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობიდან ან არაჯეროვნად შესრულებიდან 15 დღის შემდეგ, თუ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის უფრო ხანგრძლივი ვადა ან გამსესხებელი არ მოითხოვს აღნიშნული ვადის გაზრდას.

3. აღსრულების შესახებ ბრძანება უნდა შეიცავდეს:

ა) ბრძანების ნომერსა და გამოცემის ადგილს;

ბ) ბრძანების გამოცემის თარიღს;

გ) სესხის ხელშეკრულების ნომერს;

დ) გამსესხებლის (კრედიტორის) დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს;

ე) მსესხებლის (მოვალის) დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს;

ვ) დავალიანების ოდენობას;

ზ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

4. აღსრულების შესახებ ბრძანება მოქმედებს გამოცემის დღიდან. იგი მიეკეცება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ გამსესხებელი აღსრულების შესახებ ბრძანების გამოცემამდე არ განაცხადებს უარს მის დაუყოვნებლივ აღსრულებაზე. აღსრულების შესახებ ბრძანების აღსასრულებლად წარდგენის ვადა მისი გამოცემიდან 5 წელი. აღსრულების შესახებ ბრძანების ასლები ეგზავნება გამსესხებელსა და მსესხებელს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

(/ka/document/view/29962#)

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

მუხლი 91²². სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის და გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლისათვის დადგენილი საფასური

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის და გადახდის ვალდებულების შესრულების კონტროლისათვის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი 6433 – ვებგვერდი, 25.06.2012წ. (/ka/document/view/1683953#)

თავი XVII

(ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 92. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 92¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 13 ივლისის კანონი 485 – სსმ I, 30, 27.07.2000 წ., მუხ.95 (/ka/document/view/1738#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 92². (ამოღებულია)

საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი 3384 - სსმ I, 24, 29.06.2006წ., მუხ.192 (/ka/document/view/23914#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი XVIII

(ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 93. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 94. (ამოღებულია)

საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი 2963 - სსმ I, 15, 16.05.2006წ., მუხ.111 (/ka/document/view/26260#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 95. (ამოღებულია)

საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი 2963 - სსმ I, 15, 16.05.2006წ., მუხ.111 (/ka/document/view/26260#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 96. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

მუხლი 97. (ამოღებულია)

მუხლი 109⁷. (ამოღებულია)

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი 4210 - სსმ I, 12.01.2007წ., 4, მუხ.52 (/ka/document/view/22450#)
 საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი XIX**(ამოღებულია)**

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 110. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

მუხლი 111. (ამოღებულია)

საქართველოს 2010 წლის 7 დეკემბრის კანონი 3884- სსმ I, 72, 22.12.2010 წ., მუხ.438 (/ka/document/view/1147542#)

თავი XX**(ამოღებულია)**

საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი 940 – სსმ I, 20, 03.07.2001 წ., მუხ.67 (/ka/document/view/15406#)

მუხლი 112. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 – სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)
 საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი 940 – სსმ I, 20, 03.07.2001 წ., მუხ.67 (/ka/document/view/15406#)

თავი XXI**გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 113. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებამდე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება მხოლოდ ამ კანონით დადგენილი წესით.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების აღსრულება ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

3. ამ კანონით განსაზღვრულ სასამართლო აღმასრულებელთა მომზადება და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება განხორციელდეს 1999 წლის 1 სექტემბრამდე.

4. ამ კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტების მიღება მოხდეს 1999 წლის 15 მაისამდე.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კანონის მიღებისთანავე უზრუნველყოს სააღსრულებო სამსახურების შექმნა და სასამართლო აღმასრულებელთა სწავლების ორგანიზაცია.

6. სააღსრულებო ბიუროები განთავსდნენ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში.

7. (ამოღებულია).

8. (ამოღებულია).

9. 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღსრულების ფონდის მოცულობის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურმა ფინანსთა სამინისტროს 2000 წლის 15 აგვისტომდე წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი.

10. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის და იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში არსებული საქმეების აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

11. საქართველოს მთავრობამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით უზრუნველყოს:

ა) სათანადო ცვლილებების განხორციელება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებაში;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის საბიუჯეტო ასიგნებათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის.

12. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცება;

ბ) სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცება;

გ) აღმასრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცება;

დ) აღსრულების პოლიციელის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკის დამტკიცება;

ე) აღსრულების ხარჯების სახეობების დადგენა;

ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს შექმნასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

ზ) კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილის მოწყობის წესის დამტკიცება 2009 წლის 1 ივლისამდე;

თ) კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ოდენობისა და პირობების დადგენა 2009 წლის 1 ივლისამდე;

ი) კერძო აღმასრულებელთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცება 2009 წლის 1 ივლისამდე;

კ) სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის ფორმის დამტკიცება 2009 წლის 1 ივლისამდე;

ლ) კერძო აღმასრულებლისათვის აღსრულების პოლიციის სამმართველოს მიერ სააღსრულებო მოქმედებათა კატეგორიების მიხედვით

გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობის დადგენა 2009 წლის 1 ივლისამდე;

მ) იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის დამტკიცება 2010 წლის 1 აგვისტომდე;

ნ) ამ კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცება 2010 წლის 1 აგვისტომდე.

13. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ უზრუნველყოს აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულების დამტკიცება.

14. 2008 წლის 1 ოქტომბრამდე მოვალისათვის დაკისრებული სააღსრულებო მოსაკრებელი ამოიღება აღსრულებულ მოთხოვნასთან ერთად აღსრულების საფასურის სახით, საიდანაც ანაზღაურდება 2008 წლის 1 ოქტომბრამდე კრედიტორის მიერ გაწეული წინასწარი ხარჯები, ხოლო საფასურის დარჩენილი ნაწილი მიემართება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე.

15. ამ კანონის 38-ე მუხლის მე-11 პუნქტით (/ka/document/view/18442#part_84) გათვალისწინებულ საქმეებზე, რომლებზეც წარმოებაში იყო 2008 წლის 1 ოქტომბრამდე, აღსრულების საფასური არ გადახდებოდა.

16. 2009 წლის 1 ივლისამდე წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეები, რომლებზედაც დანიშნულია იძულებითი აუქციონი, დასრულდეს 2009 წლის 1 ივლისამდე არსებული წესით.

17. (მოქმედების ვადა დასრულებულია).

18. 2009 წლის 2 ივლისამდე ყადაღადებული მოძრავ ნივთზე აღსრულების რიგითობა განისაზღვრება ყადაღის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით.

19. 2009 წლის 1 სექტემბრამდე სააღსრულებო ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებულ საქმეებზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით (/ka/document/view/29962#part_296) განსაზღვრული გადაწყვეტილებების, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესებით დაკისრებული ჯარიმების აღსრულების საფასურია აღსრულებული ფულადი მოთხოვნის 2%, რომელიც ეკისრება მოვალეს.

20. სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებულ იმ საქმეებზე, რომლებზედაც ამ კანონის 2009 წლის 1 ივლისამდე არსებული წესით ჩატარდა პირველი და განმეორებითი უშედეგო აუქციონები და არ განხორციელებულა კრედიტორისათვის ქონების ნატურით გადაცემა, შესაძლებელია კრედიტორის განცხადების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარდეს აუქციონი (პირველი, განმეორებითი), ხოლო თუ ამ აუქციონზე არ მოხდება ნივთის რეალიზაცია – განხორციელდეს კრედიტორისათვის ნივთის ნატურით გადაცემა.

21. მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ საბანკო ანგარიშის გახსნის თაობაზე ელექტრონული შეტყობინების მიწოდების პირობების განსაზღვრის მიზნით საქართველოში მოქმედმა საბანკო დაწესებულებებმა უზრუნველყონ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან შესაბამისი ხელშეკრულების დადება 2010 წლის 1 მარტამდე.

22. 2010 წლის 1 აპრილამდე სააღსრულებო ბიუროს მიერ წარმოებაში მიღებულ შესაბამის საქმეზე მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციას სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისთვის ეძლევა სამი თვის ვადა.

23. 2011 წლის 1 იანვრამდე იარაღის სახელმწიფო კადასტრის, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის, სამოქალაქო საპაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრის, საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის, ფასიანი ქაღალდების რეესტრისა და საჯარო რეესტრის მწარმოებელმა ორგანიზებმა (პირებმა) უზრუნველყონ საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის შესაბამისი მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა.

24. 2010 წლის 1 აგვისტომდე სააღსრულებო ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებულ საქმეებზე უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი ნაწილის გადახდა, აგრეთვე უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის ნივთის ნატურით გადაცემა განხორციელდეს 2010 წლის 1 აგვისტომდე არსებული წესით.

25. 2010 წლის 1 აგვისტომდე სააღსრულებო ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული სააღსრულებო საქმეები, რომლებზედაც დანიშნულია იძულებითი აუქციონი, დასრულდეს 2010 წლის 1 აგვისტომდე არსებული წესით.

26. სასამართლოს ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ (გადახდის ბრძანება), სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში აღასრულოს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი 2394 - სსმ I, 44(51), 29.09.1999 წ., მუხ.232 (/ka/document/view/16564#)

საქართველოს 2000 წლის 13 ივლისის კანონი 485 - სსმ I, 30, 27.07.2000 წ., მუხ.95 (/ka/document/view/1738#)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი 822 - სსმ I, 41, 30.12.2008წ., მუხ.300 (/ka/document/view/20572#)

საქართველოს 2009 წლის 10 მარტის კანონი 1028 - სსმ I, 5, 24.03.2009წ., მუხ.18 (/ka/document/view/17914#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1321 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.57 (/ka/document/view/89332#)

საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი 1323 - სსმ I, 12, 29.06.2009წ., მუხ.58 (/ka/document/view/89338#)

საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი 1542 - სსმ I, 21, 03.08.2009წ., მუხ.125 (/ka/document/view/89692#)

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს 2010 წლის 23 მარტის კანონი 2797 - სსმ I, 14, 30.03.2010წ., მუხ.84 (/ka/document/view/91864#)

საქართველოს 2010 წლის 28 ივნისის კანონი 3167 - სსმ I, 34, 09.07.2010წ., მუხ.203 (/ka/document/view/92578#)

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი 4628 - ვებგვერდი, 29.12.2015წ. (/ka/document/view/3109034#DOCUMENT:1;)

მუხლი 113¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

საქართველოს 2005 წლის 7 ივლისის კანონი 1865 - სსმ I, 38, 15.07.2005წ., მუხ.261 (/ka/document/view/27142#)

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი 210 - სსმ I, 17, 28.07.2008წ., მუხ.126 (/ka/document/view/18820#)

მუხლი 113². სააღსრულებო სამსახურების ლიკვიდაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ამ კანონის მიღებისთანავე უზრუნველყოს სააღსრულებო სამსახურების ლიკვიდაციისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება.

საქართველოს 2000 წლის 5 დეკემბრის კანონი 636 - სსმ I, 48, 16.12.2000 წ., მუხ.136 (/ka/document/view/17746#)

მუხლი 113³. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედულუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი

რეგულირება გარდამავალ პერიოდში

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე არ განიხილავს საჩივარს, თუ საჩივარი 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედულუნაროდ ცნობილმა პირმა შეიტანა, სანამ მისი ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.

2. აღსრულების ეროვნული ბიურო დაუბრუნებს აპლიკანტს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას, თუ განცხადება 2015

წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ ცნობილმა პირმა შეიტანა, სანამ მისი ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება. საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი 3383 - ვებგვერდი, 31.03.2015წ. (/ka/document/view/2787621#DOCUMENT:1;)

მუხლი 114. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 15 მაისიდან.

2. ამ კანონის 19 (/ka/document/view/18442#part_56) ² (/ka/document/view/18442#part_56) მუხლის მე-3 პუნქტი (/ka/document/view/18442#part_56) ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი 2459 - სსმ I, 49, 30.12.2009წ., მუხ.371 (/ka/document/view/91204#)

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1999 წლის 16 აპრილი.

1908-ილს

90. 07/02/2019 - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - 2/1/1311 - ვებგვერდი, 13/02/2019 (/ka/document/view/4478385)
89. 20/07/2018 - საქართველოს კანონი - 3227-რს - ვებგვერდი, 13/08/2018 (/ka/document/view/4269931)
88. 21/07/2018 - საქართველოს კანონი - 3307-რს - ვებგვერდი, 06/08/2018 (/ka/document/view/4276852)
87. 20/07/2018 - საქართველოს კანონი - 3159-რს - ვებგვერდი, 06/08/2018 (/ka/document/view/4269939)
86. 29/06/2018 - საქართველოს კანონი - 2758-ილს - ვებგვერდი, 19/07/2018 (/ka/document/view/4253347)
85. 23/12/2017 - საქართველოს კანონი - 1904-რს - ვებგვერდი, 11/01/2018 (/ka/document/view/3980542)
84. 30/06/2017 - საქართველოს კანონი - 1198-ილს - ვებგვერდი, 14/07/2017 (/ka/document/view/3737676)
83. 21/04/2017 - საქართველოს კანონი - 652-ილს - ვებგვერდი, 10/05/2017 (/ka/document/view/3648296)
82. 21/12/2016 - საქართველოს კანონი - 145-რს - ვებგვერდი, 28/12/2016 (/ka/document/view/3503949)
81. 30/09/2016 - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - 1/2/596 - ვებგვერდი, 12/10/2016 (/ka/document/view/3410240)
80. 11/12/2015 - საქართველოს კანონი - 4628-ილს - ვებგვერდი, 29/12/2015 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/3109034)
79. 11/12/2015 - საქართველოს კანონი - 4632-ილს - ვებგვერდი, 23/12/2015 (/ka/document/view/3097720)
78. 28/10/2015 - საქართველოს კანონი - 4454-ილს - ვებგვერდი, 11/11/2015 (/ka/document/view/3039266)
77. 27/10/2015 - საქართველოს კანონი - 4367-ილს - ვებგვერდი, 11/11/2015 (/ka/document/view/3008498)
76. 20/03/2015 - საქართველოს კანონი - 3383-ილს - ვებგვერდი, 31/03/2015 (/ka/document/view/2787621)
75. 19/02/2015 - საქართველოს კანონი - 3095-ილს - ვებგვერდი, 27/02/2015 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/2741932)
74. 12/12/2014 - საქართველოს კანონი - 2939-ილს - ვებგვერდი, 24/12/2014 (/ka/document/view/2631338)
73. 05/03/2014 - საქართველოს კანონი - 2049-ილს - ვებგვერდი, 17/03/2014 (/ka/document/view/2277441)
72. 24/12/2013 - საქართველოს კანონი - 1834-რს - ვებგვერდი, 03/01/2014 (/ka/document/view/2169363)
71. 25/12/2013 - საქართველოს კანონი - 1865-რს - ვებგვერდი, 30/12/2013 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/2169333)
70. 20/11/2013 - საქართველოს კანონი - 1589-რს - ვებგვერდი, 03/12/2013 (/ka/document/view/2091228)
69. 04/10/2013 - საქართველოს კანონი - 1467-ილს - ვებგვერდი, 16/10/2013 (/ka/document/view/2044997)
68. 25/03/2013 - საქართველოს კანონი - 466-რს - ვებგვერდი, 05/04/2013 (/ka/document/view/1885869)
67. 12/06/2012 - საქართველოს კანონი - 6433-რს - ვებგვერდი, 25/06/2012 (/ka/document/view/1683953)
66. 25/05/2012 - საქართველოს კანონი - 6310-ილს - ვებგვერდი, 12/06/2012 (/ka/document/view/1672612)
65. 22/05/2012 - საქართველოს კანონი - 6255-ილს - ვებგვერდი, 06/06/2012 (/ka/document/view/1668412)
64. 08/05/2012 - საქართველოს კანონი - 6145-ილს - ვებგვერდი, 17/05/2012 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/1655791)

63. 30/03/2012 - საქართველოს კანონი - 5978-ის - ვებგვერდი, 19/04/2012 (/ka/document/view/1638061)
62. 20/03/2012 - საქართველოს კანონი - 5916-რს - ვებგვერდი, 30/03/2012 (/ka/document/view/1624925)
61. 16/03/2012 - საქართველოს კანონი - 5851-ის - ვებგვერდი, 23/03/2012 (/ka/document/view/1618518)
60. 28/12/2011 - საქართველოს კანონი - 5668-რს - ვებგვერდი, 16/01/2012 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/1561418)
59. 28/12/2011 - საქართველოს კანონი - 5665-რს - ვებგვერდი, 11/01/2012 (/ka/document/view/1558546)
58. 27/12/2011 - საქართველოს კანონი - 5641-რს - ვებგვერდი, 12/01/2012 (/ka/document/view/1558789)
57. 25/11/2011 - საქართველოს კანონი - 5355-ილს - ვებგვერდი, 111208021, 08/12/2011 (/ka/document/view/1524870)
56. 11/11/2011 - საქართველოს კანონი - 5265-ილს - ვებგვერდი, 111124017, 24/11/2011 (/ka/document/view/1514990)
55. 28/10/2011 - საქართველოს კანონი - 5171-ილს - ვებგვერდი, 111107009, 07/11/2011 (/ka/document/view/1504792)
54. 17/06/2011 - საქართველოს კანონი - 4827-ის - ვებგვერდი, 110628021, 28/06/2011 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/1387361)
53. 19/04/2011 - საქართველოს კანონი - 4566-ის - ვებგვერდი, 110505019, 05/05/2011 (/ka/document/view/1321762)
52. 22/02/2011 - საქართველოს კანონი - 4207-ის - ვებგვერდი, 110310026, 10/03/2011 (/ka/document/view/1232802)
51. 15/12/2010 - საქართველოს კანონი - 4073-რს - სსმ, 76, 29/12/2010 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/1160274)
50. 07/12/2010 - საქართველოს კანონი - 3884-ილს - სსმ, 72, 22/12/2010 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/1147542)
49. 17/09/2010 - საქართველოს კანონი - 3598-ილს - სსმ, 54, 12/10/2010 (/ka/document/view/1043815)
48. 24/09/2010 - საქართველოს კანონი - 3619-რს - სსმ, 51, 29/09/2010 (/ka/document/view/1027497)
47. 21/07/2010 - საქართველოს კანონი - 3520 - სსმ, 48, 09/08/2010 (/ka/document/view/93184)
46. 21/07/2010 - საქართველოს კანონი - 3542 - სსმ, 46, 04/08/2010 (/ka/document/view/93016)
45. 06/07/2010 - საქართველოს კანონი - 3374 - სსმ, 39, 19/07/2010 (/ka/document/view/92764)
44. 28/06/2010 - საქართველოს კანონი - 3167 - სსმ, 34, 09/07/2010 (/ka/document/view/92578)
43. 23/03/2010 - საქართველოს კანონი - 2797 - სსმ, 14, 30/03/2010 (/ka/document/view/91864)
42. 23/03/2010 - საქართველოს კანონი - 2798 - სსმ, 14, 30/03/2010 (/ka/document/view/91870)
41. 25/12/2009 - საქართველოს კანონი - 2461 - სსმ, 49, 30/12/2009 (/ka/document/view/91216)
40. 25/12/2009 - საქართველოს კანონი - 2459 - სსმ, 49, 30/12/2009 (/ka/document/view/91204)
39. 01/12/2009 - საქართველოს კანონი - 2183 - სსმ, 38, 01/12/2009 (/ka/document/view/90700)
38. 03/11/2009 - საქართველოს კანონი - 1945 - სსმ, 35, 19/11/2009 (/ka/document/view/90406)
37. 03/11/2009 - საქართველოს კანონი - 1914 - სსმ, 35, 19/11/2009 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/90226)
36. 24/09/2009 - საქართველოს კანონი - 1687 - სსმ, 29, 12/10/2009 (/ka/document/view/89932)
35. 17/07/2009 - საქართველოს კანონი - 1542 - სსმ, 21, 03/08/2009 (/ka/document/view/89692)
34. 19/06/2009 - საქართველოს კანონი - 1282 - სსმ, 13, 02/07/2009 (/ka/document/view/89296)
33. 12/06/2009 - საქართველოს კანონი - 1323 - სსმ, 12, 29/06/2009 (/ka/document/view/89338)
32. 12/06/2009 - საქართველოს კანონი - 1321 - სსმ, 12, 29/06/2009 (/ka/document/view/89332)
31. 10/03/2009 - საქართველოს კანონი - 1028 - სსმ, 5, 24/03/2009 (/ka/document/view/17914)

30. 19/12/2008 - საქართველოს კანონი - 824 - სსმ, 41, 30/12/2008 (/ka/document/view/20584)
29. 19/12/2008 - საქართველოს კანონი - 822 - სსმ, 41, 30/12/2008 (/ka/document/view/20572)
28. 15/07/2008 - საქართველოს კანონი - 210 - სსმ, 17, 28/07/2008 (/ka/document/view/18820)
27. 28/03/2007 - საქართველოს კანონი - 4524 - სსმ, 9, 31/03/2007 (/ka/document/view/23584)
26. 29/12/2006 - საქართველოს კანონი - 4285 - სსმ, 51, 31/12/2006 (/ka/document/view/1162)
25. 29/12/2006 - საქართველოს კანონი - 4230 - სსმ, 50, 30/12/2006 (/ka/document/view/22696)
24. 29/12/2006 - საქართველოს კანონი - 4210 - სსმ, 4, 12/01/2007 (/ka/document/view/22450)
23. 10/11/2006 - საქართველოს კანონი - 3648 - სსმ, 44, 27/11/2006 (/ka/document/view/24706)
22. 25/07/2006 - საქართველოს კანონი - 3534 - სსმ, 37, 07/08/2006 (/ka/document/view/24532)
21. 13/07/2006 - საქართველოს კანონი - 3437 - სსმ, 32, 31/07/2006 (/ka/document/view/24160)
20. 23/06/2006 - საქართველოს კანონი - 3384 - სსმ, 24, 29/06/2006 (/ka/document/view/23914)
19. 28/04/2006 - საქართველოს კანონი - 2963 - სსმ, 15, 16/05/2006 (/ka/document/view/26260)
18. 28/04/2006 - საქართველოს კანონი - 2939 - სსმ, 14, 15/05/2006 (/ka/document/view/26122)
17. 28/12/2005 - საქართველოს კანონი - 2640 - სსმ, 5, 20/01/2006 (/ka/document/view/25750)
16. 22/12/2005 - საქართველოს კანონი - 2407 - სსმ, 1, 04/01/2006 (/ka/document/view/27922)
15. 28/07/2005 - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - 1/4/184,228 - სსმ, 19, 29/07/2005 (/ka/document/view/1093472)
14. 01/07/2005 - საქართველოს კანონი - 1865 - სსმ, 38, 15/07/2005 (/ka/document/view/27142)
13. 30/06/2005 - საქართველოს კანონი - 1828 - სსმ, 41, 19/07/2005 (/ka/document/view/27040)
12. 29/12/2004 - საქართველოს კანონი - 885 - სსმ, 6, 19/01/2005 (/ka/document/view/28840)
11. 23/12/2004 - საქართველოს კანონი - 784 - სსმ, 5, 18/01/2005 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/32890)
10. 25/06/2004 - საქართველოს კანონი - 248 - სსმ, 18, 09/07/2004 (/ka/document/view/688)
9. 14/08/2003 - საქართველოს კანონი - 2988 - სსმ, 26, 05/09/2003 (/ka/document/view/12946)
8. 25/06/2002 - საქართველოს კანონი - 1596 - სსმ, 22, 13/07/2002 (/ka/document/view/13954)
7. 07/05/2002 - საქართველოს კანონი - 1397 - სსმ, 13, 28/05/2002 (/ka/document/view/16378)
6. 14/02/2002 - საქართველოს კანონი - 1284 - სსმ, 4, 05/03/2002 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას (/ka/document/view/15934)
5. 19/06/2001 - საქართველოს კანონი - 941 - სსმ, 20, 03/07/2001 (/ka/document/view/15412)
4. 19/06/2001 - საქართველოს კანონი - 940 - სსმ, 20, 03/07/2001 (/ka/document/view/15406)
3. 05/12/2000 - საქართველოს კანონი - 636 - სსმ, 48, 16/12/2000 (/ka/document/view/17746)
2. 13/07/2000 - საქართველოს კანონი - 485 - სსმ, 30, 27/07/2000 (/ka/document/view/1738)
1. 09/09/1999 - საქართველოს კანონი - 2394 - სსმ, 44(51), 29/09/1999 (/ka/document/view/16564)